



ქავებასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი



წიგნი გამოცემულია შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ
დაფინანსებული პროექტით: “ქართულ-
ოსური თანაცხოვრების პერსპექტივა
ყაზბეგის რეგიონში” გრანტი №384/2

ლავრენტი ჯანიაშვილი

ოსთა საკითხი ყაზბეგის რეგიონში

(ქართულ-ოსური თანაცხოვრების პერსპექტივა ყაზბეგის რეგიონში)

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2017

INTERNATIONAL RESEARCH INSTITUTE FOLK CAUCASUS
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

Publication of This book was made possible to
The Shota Rustaveli National Science Foundation.
Project “Perspectives of Georgian-Ossetian
relations in Kazbegi region „, Grant # 384/2

Lavrenti Janiashvili

The Question Ossetians in Kazbegi Region

Perspectives of Georgian-Ossetian relations in Kazbegi region

Publishing House “Mtsignobari”
Tbilisi 2017

რედაქტორები

ლა მელიქიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს

ეროვნული აკადემიის წევრ კორესპონდენტი

ნათა ჯალაბაძე

ისტორიის დოქტორი

რეცეზენტები:

ზათუნა იოსელიანი

ისტორიის დოქტორი

გიორგი მამარდაშვილი

ანთროპოლოგიის დოქტორი

დამპაპადონებელი

თამარ ტყაბლაძე

EDITED BY

Lia Melikishvili

The doctor of historical sciences, Corresponding Member of Georgian National Academy of Sciences

Natia Jalabadze

The Doctor of History

REVIEWED BY

Khatuna Ioseliani

The Doctor of History

Giorgi Mamardashvili

The Doctor of Anthropology

IMPOSER

Tamar Tkabladze

ISBN 978-9941-473-19-7

შესავალი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მცხეთა-მთიანეთის შხარეში შედის. მას სამხრეთ-და-სავლეთით ესაზღვრება ე.წ. "სამხრეთ ოსეთი" – ახალგორის და ჯავის რაიონები, ხოლო ჩრდილოეთით, ჩრდილო ოსეთი (რუსეთის ფედერაცია). მე-20 საუკუნის ბოლო ხანებამდე აქ ცხოვრობდნენ ქართველები და ოსები. თანამედროვე ეთნოდემოგრაფიულ ვითარებაზე მყაფიოდ აისახა ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, რეგიონი თითქმის მთლიანად დაიცალა ოსების-გან, მცირერიცხოვანი მოსახლეობა აქაური ოსური სოფლებიდან მხოლოდ რამდენიმეში დარჩა.

რაიონში არსებული ეთნიკური სიტუაცია მჭიდროდ უკავშირდება მის სასაზღვრო მდებარეობას. კრიზისულ სიტუაციაში აქედან შედარებით ადვილი იყო საცხოვრებლად გადასვლა მეზობელი ჩრდილოკავკასიის ტერიტორიაზე. ჩრდილოეთ ოსეთთან გაადვილებული კომუნიკაცია, ეკონომიკური სარგებელი, შედარებით ხელმისაწვდომი განათლება, ნათესაური და მეგობრული კავშირების ინტენსივობა განაპირობებდა არა მარტო ოსების, არამედ მოხევების (ყაზბეგის რ-ნის მკვიდრი ქართველების) ჩრდილოეთისაკენ ლტოლვას.

საზოგადოდ, სასაზღვრო რაიონებში "ეთნიკური უმცირესობა", პოტენციური კონფლიქტის (ირიდენტული ან სეპარატისტული) რისკის მქონედ ითვლება. ექსტრაორდინალური (კრიზისული) სიტუაცია განაპირობებს ერთის მხრივ ამ ჯგუფების მაღალ მობილურობას და კონსოლიდაციას, მეორე მხრივ მათ მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას როგორც ოფიციალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ასეთი ჯგუფები ხშირად იქცევიან პოლიტიკური პროცესების ინდიკატორებად. ამიტომ გასაკვირი არაა რომ გარკვეული ძალები მათი გამოყენებით ცდილობენ საკუთარი მიზნების მიღწევას.

ამ ბოლო ხანებში, გასულ საუკუნეში ყაზბეგის რაიონიდან ჩრდილოეთ ოსეთში (რუსეთის ფედერაცია) გადასული ოსები და

მათი დაცლილი სოფლები რუსულ//ოსური და ქართული საინ-ფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში მოექცა. ერთის მხრივ ოსური მხარე (მირითადად და ფაქტო ხელისუფების წევ-რები, ცალკეული მეცნიერები და ჟურნალისტები) აცხადებს, რომ "ცხინვალის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიები ოსი ხალხის საკუთრებაა და საქართველოსგან ოკუპირებულ ამ ტერიტორიებ-საც გაანთავისუფლებენ"; მეორე მხრივ, ქართული მედიის წარ-მომადგენლები და ცალკეული ექსპერტები თვლიან, რომ ყაზბეგის რეგიონი ფეთქებადსაშიშ ადგილად იქცა, სადაც მოსახლოდნელია რუსეთის ახალი აგრძესია აქედან "დევნილი" ოსური მოსახლეობის დაბრუნების საბაბით.

საკითხს კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შესძინა პოლიტიკურმა (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივის გაურკვევ-ლობა), სასაზღვრო (საზღვრის დემარკაციის ჩიხური მდგომა-რეობა, ლარსის საბაჟო-გამსვლელი პუნქტის ამოქმედება), ეკო-ლოგიურმა (ლარსიპესის და მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მშენებლობა) და ეკონომიკურმა (ყაზბეგის რაიონიდან შრომითი მიგრაციის მაღალი დონე რუსეთის ფედერაციაში, რეგიონის ეკო-ნომიკური პროფილის რამდენჯერმე შეცვლა და ა.შ.) ასპექტებმა. ამგვარ ვითარებაში ჩნდება საშიშროება სიტუაცია გამწვავდეს ეთნიკურ ნიადაგ ზე. მდგომარეობას ართულებს როგორც ოსებში, ისე ქართულ მოსახლეობაში ძლიერი ეთნოცენტრისტული გან-წყობების არსებობა, რაც, როგორც წესი, ისტორიული რეალიების არაობიექტურ ინტერპრეტაციას ემყარება. ამასთანავე, აპრილრად მიჩნეულია, რომ ტერიტორიის პოლიტიკური კუთვნილება ისტო-რიული პრინციპით განისაზღვრება.

ზემოხსნებული ვითარება იქცა პროექტის, "ქართულ-ოსური ურთიერთობის პერსპექტივა ყაზბეგის რეგიონში", განხორციელე-ბის მთავარ ინსპირატორად. მიზნის მისაღწევად საჭიროდ მივიჩ-ნიეთ ყაზბეგის რეგიონში მცხოვრები ქართველების და ოსების ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკის შესწავლა; ურთიერთო-ბის ტრადიციული ფორმების, ყოფისა და კულტურის როლის დადგენა მათ შორის შევიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების საქმეში, განსხვავებულ ჯგუფთა განწყობების, ეთნიკური სტერეო-

ტიპების, სოციალური დისტანციის და სოციალური ქცევის თავი-სებურებათა გამოკვლევა. ოსურ-ქართული ურთიერთობის განვი-თარების პროგნოზირების მიზნით, კომპლექსურად (ეთნოლოგიური და ფსიქოლოგიური კუთხით) შევისწავლეთ რეგიონში ქართვე-ლი და ოსი ეთნოსის წარმომადგენელთა ურთიერთობის დინამიკა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ყოფის რაკურსით. ჩავატარეთ ერთი დაზვერვითი და სამი კომპლექსური საველე ექსპედიცია; გაანალიზდა რეგიონის შესახებ და ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიის ამსახველი სამეცნიერო ლიტერატურა; დაგამუშავეთ საარქივო მასალა; პროექტის ფარგლებში მომზადდა სამი ეთნოგრაფიული ფილმი: “ქართულ-ოსური ურთიერთობა და წეს-ჩვეულებები ყაზბეგის რეგიონში”, “ვაჩილობა” და “ათენგენობა კობში.” გამოკვლევების მომზადებაში მნიშვნელოვანი დახმა-რება გაგვიწია მეცნიერ-კონსულტანტმა, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ლია მელიქიშვილმა. ძირითად შემსრულებლებთან ერთად პროექტში მონაწილეობდნენ: ისტორი-ის დოქტორი ირმა კვაშილავა, საველე ასისტენტები – ანა ჯანი-კაშილი, ირაკლი შარვაძე, ანა რუაძე.

რეგიონის ყოფისა და კულტურის, მისი ისტორიის შესახებ, მრავალი მეცნიერული გამოკვლევა გამოცემული. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი, სადაც საინტერესო ცნობებია ხევისა და თრუსოს გეოგრაფიის, ეთნიკური შემადგენ-ლობის, მატერიალური კულტურის ძეგლებისა და მოსახლეობის წეს-ჩვეულებების თაობაზე. ასევე, მეტად ღირებულია XIX საუ-კუნის ქართველი კლასიკოსის ალ. ყაზბეგის ცნობები ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე. გასული საუკუნის 30-იან წლებში გა-მოქვეყნდა სერგი მაკალათიას წიგნი “ზევი”, რომელშიც საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი თერგის ხეობის მოსახლეობა, მატერია-ლური ძეგლები, დღეობები, მეურნეობის ფორმები და ა.შ.

თერგის ხეობის ეთნოგრაფიული კვლევისათვის საყურადღებოა გალერიან ითონიშვილის ნაშრომები. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული მან 20-ზე მეტი გამოკვლევა მიღვანა ხევს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2015 წელს გამოცემული მო-

ნოგრაფია “მოხევების ყოფა-ცხოვრება”. რამდენიმე საყურადღებო სტატია გამოაქვეყნა რეგიონის ეთნოსოციალური პრობლემატიკის და მეურნეობის შესახებ გ. ჯალაბაძემ. საინტერესოა თერგის, ლი-ახვისა და არაგვის ხეობებში მიმდინარე ეთნოსტორიული პრო-ცესების ვახტანგ იოონიშვილისეული ანალიზი. მისი გამოკვლევე-ბის, უმეტესობაში განიხილულია ჩვენთვის საინტერესო რეგიონის ტოპონიმიკის, დავლთა ეთნიკური კუთვნილების და ქართულ-ოსუ-რი ურთიერთობის ისტორიის საყურადღებო საკითხები.

ყაზბეგის რეგიონის ეთნომიგრაციული პროცესების და ონო-მასტიკის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა აქვს რ. თოფქიშვილს. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი შეიცავს, ასევე, ოს-თა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიას და ოსური საისტო-რიო მწერლობისათვის დამახასიათებელი მითოლოგების კვალი-ფიციურ და არგუმენტირებულ კრიტიკას. აქვე უნდა აღინიშნოს ბ. გამყრელიძის, გ. ჩიქვანანის, ჯ. გვასალიას, დ. გვრიტიშვილის, კ. ხარაძის, თ. პაპუაშვილის, გ. ოთხმეზურის, ნ. აფხაზავას და მრა-ვალი სხვა მეცნიერის დამსახურება ეთნოსტორიული რეალობის რეკონსტრუქციის საქმეში.

უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია ოსი ეთნოგრაფების: ბ. კა-ლოევის, ზ. ვანეევის, ლ. ჩიბიროვის და სხვათა წვლილი ოსთა მიგრაციული პროცესების შესახებ საველე ეთნოგრაფიული მა-სალის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის საქმეში. მათ მიერ მოპოვებული და გამოქვეყნებული მასალა გარკვეულ ცნობებს გვაძლევს თერგის ხეობის ზემო წელში ოსთა ჩამოსახლების დროის დასაზუსტებლად. თუმცა, იგივე მასალის ინტერპრეტირე-ბის დროს ოსი ავტორები ტენდენციურობას ამჟღავნებენ, რაც მათ დასკვნებში აისახება. ეს დასკვნები კი, თავის მხრივ, ახალი ცრუ ეთნოგრენეტიკური კონცეფციების და ფანტასტიკური მითოლოგე-ბის საფუძვლი გახდა.

საბჭოთა ხელისუფლება, პროცესების სასურველი მიმართულე-ბით მართვის მიზნით საკმაოდ ეფექტურ კონტროლის ახორცი-ელებდა ისტორიული ხასიათის ლიტერატურაზე. კომუნისტური სისტემის მოშლის შემდეგ მეცნიერებას საშუალება მიეცა ცენზუ-რისგან განთავისუფლებულიყო, მაგრამ სრული უკონტროლობის

პირობებში გახშირდა არაპროფესიონალ პოპულისტთა პუბლიკა-ციები და ტენდენციური ნაშრომები. ქართულ და რუსულენოვან საისტორიო საზოგადოებებში გაჩნდა ოსთა ეთნოგენეზის, მათი პოლიტიკური ისტორიისა და მიგრაციების შესახებ განსხვავე-ბული მოსაზრებები. განსაკუთრებით მწვავე პოლემიკის საგა-ნად იქცა ოსთა საქართველოში ჩამოსახლებისა და დამკვიდრების ეტაპები. ბოლო ზანებში გამოცემული და რუსულ პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში ფართოდ მხარდაჭერილი პუბლიკაციების მთავარი მიზანი მდ. ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობის, თერგის ზემო წელის და შიდა ქართლის (ზოგჯერ მას ბორჯო-მის ხეობას და ქვემო ქართლსაც უმატებენ) ოსთა ავტოქთონო-ბის დამტკიცება.

ბოლო ღრომდე დამკვიდრებული იყო თვალისაზრისი, რომ ირა-ნულენოვანი ოსები ჩრდილოკავკასიური ველებიდან გამოაძევეს თავდაპირველად ხაზარებმა, ხოლო შემდგომ თურქულმა ტაღლებ-მა. გადავიდნენ რა, კავკასიის ქედზე ოსები კონტაქტობდნენ ნა-ხური და ქართველური მოდგმის ხალხებთან, რომელთან შერევის შედეგადაც სათავე დაედო ე.წ. "სამხრეთ ოსი" ხალხის ჩამოყალი-ბებას. ზოგი ოსი ავტორი, კავკასიაში ოსთა ისტორიის დამგე-ლების მიზნით, ირანული მოდგმის ხალხების კავკასიის მთებში ინფილტრაციის პერიოდად ადრე რკინის ხანას მიიჩნევდა. ამგვა-რი მოსაზრებების დასამტკიცებლად კი ეყრდნობოდა ძირითადად არქეოლოგიურ მასალას და ლინგვისტურ მონაცემებს. ამ მხრივ აღსანიშნავია თლიის სამაროვანი. თლიის მასალის ანალიზისას თავდაპირველად გვერდს ვერ უვლიდნენ ყობანურ და კოლხურ კულტურას შორის არსებულ პარალელებს, მაგრამ არ ეხებოდნენ ხსენებულ კულტურათა მატარებელი ერთობების ეთნიკურ ნათე-საობას და ამჯობინებდნენ საუბარს კულტურულ კონტაქტებზე. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის დამოკიდებულე-ბა შეიცვალა და წინ წამოიწა ჰიპოთეზა ყობანური კულტურის ინდოევროპული, კერძოდ კი ირანულენოვანი მოდგმის ხალხების კუთვნილების შესახებ, რომლებიც დღევანდელი ოსების უშუა-ლო წინაპრებად ჩაითვალა. ამ ჰიპოთეზას ბევრი ოსი მკვლევარი იზიარებს. ქართველი მეცნიერები სრულიად განსხვავებულ დასკ-

ვნებს აკეთებენ. მიუხედავად იმისა, რომ არ უარყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული ინდოევროპული წარმომავლობის (სკითების, კიმერიელების) მომთაბარე ხალხების ინფილტარციას, მიაჩნიათ, რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენიათ საქართველოსა და კერძოდ, შიდა ქართლში ეთნიკური სიტუაციის კონსტრუირებაში. ქართველ მეცნიერთა ზემოხსენებულ დებულებებს ამყარებს შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული ეპიგრაფიკული მასალა.

ამრიგად, საბჭოთა პერიოდის მერე, ოსი ავტორების დამოკიდებულება საქართველოში მათი წინაპრების მიგრაციის შესახებ რადიკალურად შეიცვალა. ახალი ჰიპოთეზის დასამტკიცებელი წერილობითი წყაროების სიმწირიდან გამომდინარე, იმულებული იყვნენ არქეოლოგიური მასალის თავისებური გააზრება მოეხდინათ და ოსთა ავტოქთონობის არგუმენტაციისათვის ახალი კონცეპტუალური საფუძვლები ექვენათ. მათ სრულიად აწყობდათ ახალი თეორია ოსების ავტოქთონობისა და ირანულენოვანობის შეთავსების შესახებ. ამდენად, ოსები გამოცხადდნენ კავკასიის უძველეს ხალხად, ადგილობრივი ყობანური კულტურის შემოქმედებად. შეიძჩნევა ოსი ავტორების მიერ ახალი მითოლოგების შექმნის პროცესი. შედარებით ზომიერ ისტორიკოსებიც კი ზუსტ ციტირებას არ ახდენენ, რასაც საქართველოში დაცული ისტორიული წყაროების განადგურების შეშით ხსნიან. ხსენებულ ნაშრომებს, როგორც წესი, სხვები იმოწმებენ. ასე იქმნება შთაბეჭდილება, რომ ახალ ნაშრომს სოლიდური სამეცნიერო აპარატი გააჩნია. ამ ტიპის პუბლიკაციები მტკიცნეულად აღიქმება ქართულ საზოგადოებაში და ნეგატიურ განწყობებს კიდევ უფრო ამწვავებს, ოსებში კი ეროვნული სიამაყის და ისტორიული გამორჩეულობის შეგრძნებას აცხოველებს და ყოველგვარი კომპრომისის სურვილს კლავს. პოპულარობა მოიპოვა “ისტორიული ოსეთის” აღდგნის და მისთვის ძირძველი “ოსური მიწების”, პირველ რიგში კი ყაზბეგის რეგიონის და ღუდას ხეობის, დაბრუნების იდეამ, რაც “ოსთა საკითხის” გადაწყვეტის შესაძლებლობას და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მათი დაბრუნების პერსპექტივას მნიშვნელოვნად ამცირებს.

თავი I

ყაზბეგის რეზონი და ოსთა საკითხები სამეცნიერო ლიტერატურაში

§1. ყაზბეგის რეგიონი

თანამედროვე ყაზბეგის მუნიციპალიტეტში გაერთიანებულია ისტორიული ხევი, თრუსო (თერგის ხეობის ზემო წელში მდებარე ამჟამად გაუკაცრიელებული ეთნოგრაფიული კუთხი) და მთიულეთის მცირე ნაწილი ჯვრის უღელტეხილის სამხრეთით (კურორტი გუდაური მიმდებარე პუნქტებით). რეგიონის ძირთადი ნაწილი (ხევი და თრუსო) კავკასიონის წყალგამყოფი ქედის იქთ მდებარეობს და დარიალის გასასვლელით ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაციას (ინგუშეთს და ჩრდილო ოსეთს) ესაზღვრება; დასავლეთით – თრუსოს ხეობით, ისტორიულ დვალეთს; სამხრეთ-დასავლეთით – ეწ. სამხრეთ ოსეთს; სამხრეთით – მთიულეთსა და გუდამაყარს; ხოლო აღმოსავლეთით, მდ. სნოს ხეობით – ხევსურეთს.

რაიონის მთავარ ეთნოგრაფიულ კუთხეს ხევი წარმოადგენს. გახუშტი ბატონიშვილი წერს: ”მთიულეთს ჩრდილოთ არს ხევი. გარდავალს გზა ხევს ხადის დასავლეთიდამ, კავკასია ზედა. არა-მედ არს დაბალი და უტყეო; ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი თოვლის სიდიდითა; ზაფხულს არს ბალაზიანი, ყვავილიანი.”¹ რეგიონს თითქმის მთლიანად კვეთს მდინარე თერგი, რომელიც სათავიდან თრუსოს ხეობით აღმოსავლეთით მოედინება, ხოლო ხევისთავში, სოფ. კობთან ჩრდილოეთისკენ უხვევს, გაივლის დაბა სტეფანწმინდას და დარიალის ვიწროებით შედის რუსეთის ტერიტორიაზე. მოხევები თერგს ბოლო ხანებამდე არაგვს უწოდებდნენ. ”მდინარესა ხევისასა ეწოდების არგუვე ჩერქეზამდე და მუნლომეკის-მდინარე ძუელადვე, და აწ უწოდებენ თერგსა.”²

დარიალის ხეობით, ჩრდილოეთით, ხევი მიბჯენილი იყო ”ფრიად მაგარი მდებარეობის” მქონე გორის ციხეზე. ციხის ლოკალი-

1 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტ. IV, გამოც. „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1973, გვ. 356.

2 იქვე, გვ. 356.

ზებას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი სოფ. გველეთის მახლობლად, თერგისა და მდინარე ქისტურას შესართავთან ვიწრო ზევში მე-20 საუკუნის დასაწყისამდე შემორჩენილ ციხის ნანგრევებთან ახდენს, რომლის აგებასაც საიტორით ტრადიცია დავით აღმაშენებელს უკავშირებს. ამ ადგილის ჩრდილოეთით ახლანდელი სოფელ ლარსის მიდამოებში ყოფილა ოს-ხაზარებისათვის გზის შემკრავი “დარიალის კარი”, კიდევ უფრო ჩრდილოეთით “ჯარიახთან” – ქართული სახელმწიფოს ბოლო წერტილი “ნასასახლევი მეფეთა”.³ ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ქართული სახელმწიფოს საზღვარი დღევანდელი საქართველო-რუსეთის სასაზღვრო-გამშვები ლარსის ჩრდილოეთით, სოფ. ბალთასათან, მოგვიანებით კი სოფელ ჩიმთან გადიოდა.⁴

დარიალის კარი ათასწლეულების მანძილზე, ქართული სახელმწიფოს ხელში მყოფი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი კარიბჭე იყო. საერთოდ, ქვეყნაში შემომავალ უმთავრეს გზას ან სიმაგრეს, რომლის ხელში ჩაგდებაც მეომარს მოელი სანახების, ზოგჯერ მთელი ქვეყნის დაპყრობასაც უადვილებდა “კარი” ერქვა. ასეთ ადგილას ან ციხე-სიმაგრეები იყო აშენებული, ან თუ ზევის ვიწროები ბუნებრივ ზღუდედ გამოდგებოდა, ხეობაში იქ სადაც გზა ვიწროვდებოდა, კედელს და კარს აგებდნენ ხოლმე.⁵



3 ჯავახიშვილი ივანე, საქართველოს სამზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ისტორიული რარიტეტები, თბილისი, 1989, გვ. 12-13.

4 იონიშვილი ვალ. ქრისტეფორი ური მარტინის შედევრები”, თვალსაზრისი, თბილისი 2017, გვ. 18; მაჭარაძე ვალ. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, III/1, თბილისი, 1988, გვ. 361.

5 ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი 2012, გვ. 19.

“ქართლის ცხოვრება” კავკასიაში თარგამოსის დამკვიდრების ამბების თხრობისას ქართლოსის წილის შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კარი ზღვისა ანუ დარუბანდი და კარი არაგვისა ანუ დარიალი, კავკასიის გასავლელი ორი მნიშვნელოვანი ზღუდე სწორედ ქართლოსის განმგებლობაში ყოფილა.⁶ ქართულ ისტორიოგრაფიაში, VII ს-ის ისტორიულ მატიანეზე, “მოქცევაი ქართლისაზე” დაყრდნობით, გამოთქმულია საპირისპირო მოსაზრებაც, რომ თავდაპირველად ქართული სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვარი კავკასიონის მთავარი ქედის წყალგამყოფს მიუყვებოდა. ამრიგად, თუშეთი, პირიქეთი ხევსურეთი, ხევი და დვალეთი, რომელიც შეუ საუკუნეებში საქართველოს განუყოფელი პროვინციები იყნენ, იმთავითვე ქართულ სამეფოში შემავლად არ იგულისხმებოდა. თუმცა მოგვიანებით, ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, შეიძლება უფრო ადრეც, ხევი დარიალის ხეობით ქართლის შემადგენლობაში შევიდა. ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში კი აქ დარიალის გზის ჩამქეტი ციხესიმაგრეა დადასტურებული. კიწრო გასასვლელის გაღება-ჩაკეტვა და ჩრდილო კავკასიელ მომთაბარეთა სამხრეთით შემოშვება ქართველთა ნებასურვილზე იყო დამოკიდებული, რის გამოც ძველ წყაროებში მას ხშირად “იბერიის კარი” ეწოდება.⁷

ისტორიული წყაროების მიხედვით ჩვენთვის საინტერესო რეგიონში მეორე საუკუნეში წანარები მკვიდრობდნენ,⁸ რომელთაც, მოგვიანებით, მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებიათ არაპთა წინააღმდეგ ბრძოლასა და კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების საქმეში.⁹ წანარების ეთნიკური კუთვნილების შესახებ სამეცნიერო

6 ბაქრაძე დ., საქართველო (ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკლევა), გაზეთ ივერიითგან, 1877/1873 წლების, გვ. 105; ჯანაშვილი მ., საქართველოს მოკლე ისტორია, თბილისი 1884, გვ. 10.

7 მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. 1, თბ., 1977, გვ. 77, 168.

8 ლომიური ნ., კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვეთი 32, თბილისი, 1955, გვ. 44; ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი 2012, გვ. 45.

9 ლორთქულანიძე მ., უკანასკნელი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბილისი, 1963, გვ. 139-150; პაპუაშვილი თ., რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI ს.), თბილისი, 1982, გვ. 26.

ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული. მკვლევართა ნაწილი მათ ქართული წარმოშობის სვანურ (ნ. მარი, ს კაკაბაძე, ჯ. გვასალია) ან ქალდეურ-ჭანურ (თ. პაპუაშვილი) ტომებად მიიჩნევს, ნაწილი კი – ჩრდილო კავკასიურად, ვაინახური (ვ. მინორსკი, ა. გენკო, ა ნოვოსელცევი, ა. მკრტუმიანი) ან დაღსტნური (ვ. ბარტოლდი) მოდგმის ხალხად.¹⁰ ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ წანარები ადრეფეოდალურ ეპოქაში ასრულებდნენ ქართული სამყაროს ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთაგან დაცვის და ქართული პოლიტიკური ერთეულის (კახეთის საქორეპისკოპოსონის) მაორგანიზებელ ფუნქციას, მათი განსახლების ტერიტორიაზე დარჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები (სოფ. სიონის სამავიანი ბაზილიკა, სოფ ახალციხის ეკლესია, სოფ. გარბანის ეკლესია,) ყველა ნიშნით მსგავსას ამჟღავნებენ იმავე პერიოდის კახეთის ძეგლებთან, ხოლო ეპიგრაფიკული მასალა მთლიანად ქართულია.¹¹ ყოველივე ეს კი ცხადყოფს, რომ არაბთა შემოსევების დროისათვის წანარები მთლიანად და განუყოფლად ეკუთვნოდნენ ქართულ ეთნოკულტურულ სამყაროს.

საზოგადაოდ, საქართველოს ისტორიაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როდესაც უცხოტომელების შემოსევების შედეგად გაპარტახებულ და გაუკაცრიელებულ ბარს მთის ჭარბი მოსახლეობა ავსებდა. ასე უნდა მომხდარიყო წანარების შემთხვევაშიც. წანარეთის ხევი მჭიდრო კავშირში იყო კახეთის ბართან. მომხვდლურთა თარეშის შედეგად გაჩანაგებული კახეთის ბარის ათვისება სწორედ წანარებმა დაიწყეს და არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც აქტიურად ჩაეწენ.

კახეთის მთისწინეთში და ბარში ჩამოსახლების შემდეგ ბუნდოვანია, რა მდგომარეობაა თერგის ხეობაში, დარჩა თუ არა იქ წანარული მოსახლეობა კომპაქტურად. გამოთქმულია მოსაზრება, რადგან წანარები, როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი, გაქრნენ ისტორიის სარბიელიდან ეს მიანიშნებს, რომ მათ თერგის ხეობაში კომპაქტური დასახლება არ შეუნარჩუნებიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სახელი არ გაქრებოდა და სხვა მთიელებ-

10 პაპუაშვილი თ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 26-39.

11 იქვე, გვ. 50-53.

თან ერთად სახელდებული იქნებოდნენ. ბარში ჩამოსახლებული მთიელები (წანარები) კი ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქმიფნენ.¹² ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ მოგვიანებითისტორიულ წყაროებში “მოქცევაი ქართლისაიში” დადასტურებული “წანარეთის ხევი“ აღარ გვხვდება. ს. კაკაბაძეს მის გადმონაშთად მიაჩნდა ტოპონიმი “ხევი”, რომელიც ყოფილი წანარეთის ხევის ერთი ნაწილის დასახელებად, თერგის ზემო წელზე, დღემდეა შემორჩენილი.¹³ იგივე მოსაზრებას ემზრობიან თ. პაპუაშვილი, ს. ერემიანი, რ. თოფჩიშვილი. ქართული სახელმწიფოს დაცვის საქმეში ჩრდილოეთ საზღვრის გამაგრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ მთლად სარწმუნო არ ჩანს მოსაზრება წანართა კახეთში ჩასახლების შემდეგ რეგიონის სრული გაუკაცრიელების შესახებ. უეჭველია, რომ საქართველოში გაბატონებულ არაბებსაც და შემდგომ პერიოდში გაძლიერებულ ქართულ სამეფო სამთავროებსაც ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთა შემოსევებისაგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებად დარიალის გადმოსასვლელის გამაგრება და სანაპირო ზოლზე ერთგული მოსხლეობის შენარჩუნება უნდა მიეჩნიათ. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ XII საუკუნიდან თერგის ზემო წელის აღსანიშნავად (დღევანდელი სოფ. კობიდან საზღვრამდე) გამოიყენება ტოპონიმი ხევი, ხოლო აქ მოსახლეთა სახელწოდებად – მოხევე. “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის” ავტორი გვამცნობს, რომ ფხოვისა და დიდოეთის განდგომის დროს “მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჭართალელთა, ერწოთიანელთა. მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა”¹⁴

ხსენებული მონაკვეთი „ქართლის ცხოვრებიდან“ საინტერესო მასალას იძლევა თერგის ზემო წელის მოსახლეობის ვინაობის განსაზღვრისათვის. ცხადია, რომ ზემომოტანილი ცნობის თანახ-

12 თოფჩიშვილი რ., დვალეთი და დვალები, თბილისი, 2016, გვ49; თოფჩიშვილი რ., მოხეური ვარსახელები, თბილისი, 1998 გვ. 17.

13 კაკაბაძე. С. ОплеменыЦанар, საისტორიო კრებული, 1928 წ. III, გვ. 112.

14 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 2012, გვ. 95.

მად მთეულებში“ ანუ ქართველ მთიელებში თანაბარმნიშვნელოვანი ჯგუფებია: დვალები, მოხევები, ხადელები, ცხავატელები, ჭართლელები და ერწოთიანელები.

XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევამ შეასუსტა ცენტრალური ხელისუფლების გავლენა მთის რეგიონებში. ამიტომ გიორგი ბრწყინვალის გმეფების შემდეგ ქართული სამეფო ხელისუფლების განტკიცების პარალელურად სამეფო ხელისუფლება შეეცადა თავისი სოციალ-პოლიტიკური გავლენა აღედგინა ყველგან სადაც იყი გარკვეული ფაქტორების ზეგავლენით შესუსტებული იყო. მთის მოსახლეობაზე გავლენის აღდგენის ამგვარი მცდელობის მაგალითია გიორგი ბრწყინვალის “ძეგლის დადება მთიულთათვის”¹⁵. ამ სამართლის ნორმათა შედგენა საქართველოს მთიანეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობით იყო გამოწვეული. მთის მოსახლეობასა და მეფის მოხელეებს შორის ურთიერთობა იმდენად დაძაბულა, რომ დაწყებულა ადგილობრივ მოხელეებზე თავდასხმები და მკვლელობები, რაშიც ზოგჯერ მთელი სოფელი, თემი და ხევი იღებდა მონაწილეობას. ხშირი იყო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა, მომრავლებულა შურისძიების მიზნით ურთიერთავდასხმები, რომელშიც ზოგჯერ შურისმაძიებულთა გარდა, გარეშე პირები და, ქალებიც კი მონაწილეობდნენ.¹⁶ საქმე იქამდე მისულა, რომ მეცე იძულებული გამხდარა ადგილზე გასცნობოდა მდგომარეობას. დაიწყო ღონისძიებათა ძიება აჯანყებული მოსახლეობის დასამშვიდებლად და არეულობის ჩასაქრობად. სწორედ ასეთ ღონისძიებად მიუჩნევიათ სახელმწიფო დარბაზის მონაწილეებს მთის მოსახლეობისათვის საგანგებო კანონთა კრებულის შედგენა, რადგანაც მანამდე სახელმწიფოს საქართველოს მთიანეთისათვის მსგავსი კანონთა კრებული არ ჰქონია.¹⁷

ცხადია, იმ დროისათვის საქართველოს მთელი სამეფოსათვის განკუთვნილი საკანონმდებლო ძეგლები რომ არ ყოფილიყო, გიორგი V მარტო მთიულთათვის კი არ შეადგენდა კანონთა კრებულს, არამედ მთელი სამეფოსათვის. ამასთანავე აშკარაა, რომ საქართველოს ბარის რეგიონისათვის მოქმედი კანონმდებლობა

15 ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, თბილისი 1988.

16 იქვე, გვ. 36-52.

17 იქვე, გვ. 35.

შეუსაბამო იყო მთისათვის, სადაც ადამიანთა სამართლებლივ ურთიერთობებს ადათობრივი სამართალი აწესრიგებდა. სამართლის კრებულები კი გარკვეულწილად ერგებოდა არსებულ მდგომარეობას.

"ძეგლის დადება" სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნიმუშია, სადაც სამოქალაქო უფლებრივ მდგომარეობას მხოლოდ რამდენიმე მუხლი ეხება. ძეგლში ფართოდაა გამოყენებული ადათობრივი სამართლის ნორმები, განსაკუთრებით სასჯელთა დარგში. ადათობრივი სამართლიდანაც შესული შურისძიების უფლება, სისხლის დაურვება, გაძევება, გაპარსვა და ა.შ. მართალია, კანონმდებელი ცდილობს, ერთგვარად შეზღუდოს შურისძიების დრო და ფარგლები, მაგრამ მთელ რიგ მუხლებში პირდაპირ აღიარებულია შურისძიების კანონიერი უფლება დამნაშავის მიმართ. "ძეგლის დადებაში" ადათობრივი სამართლისაგან გადმოვიდა მთელი რიგი ნორმები. თუმცა, ყველა იქ ვერ მოხვდა. მაგალითად, ასეთია სისხლის აღების საკითხი. "ძეგლის დადებაში" ადათობრივი სამართლისაგან აიღო სისხლის დაურვება, რომლითაც შეცვალა სისხლის აღება. თუ შურისძიება დანაშაულისათვის დამნაშავის მოკვლას მოითხოვს, სისხლის დაურვება მხოლოდ დანაშაულის გამოსყიდვას გულისხმობს ფულადი ან ქონებრივი საზღაურით, რომელიც დამნაშავემ უნდა მისცეს დაზარალებულ მხარეს. სისხლის ოდენობას განსაზღვრავს დანაშაულის სიმძიმე და დაზარალებული პირის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობა. ადათობრივი სამართლიდანაც შეტანილი ძეგლით გათვალისწინებული სასჯელი – გაძევება.

"ძეგლის დადების" ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამეფო ხელი-სუფლებამ ადგილებზე დაადგინა მეფის სამსახურში მდგომი მოხელე – "ხევისბერი" – ფეოდალის წოდება, რომლის მოვალეობაშიც შედიოდა ხეობის სამხედრო რაზმის სარდლობა. მოგვიანებით, სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და მთაში სამართლებლივი კონტროლის მოშლის პირობებში, "ხევისბერი" სახელმწიფო მოხელიდან თემის საერო-რელიგიურ ხელმძღვანელად იქცა, რომელსაც ადგილებზე ირჩევდნენ.

დაახლოებით XIII-XIV საუკუნიდან თერგის სათავეში, დღე-ვანდელ თრუსოში, შემოსვლას იწყებენ დვალები. თავდაპირველად ადგილი უნდა ჰქონოდა ბუნებრივ მიგრაციას, როდესაც ნამატი მოსახლეობა თერგის ზემო წელს ითვისებდა¹⁸. XVI საუკუნიდან ამ პროცესმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. კავკასიის მთი-



თრუსო

ანეთში, და მათ შორის დვალეთშიც, მონღოლებისაგან ჩრდილო კავკასიის ველებიდან გამოდევნილი ოსები მკვიდრდებოდნენ და ავიწროებდნენ იქაურ მოსახლეობას, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში და პირველ რიგში კი მეზობელ თრუსოში გადადიოდა.¹⁹ თავადაპირველად მაღრან-დვალეთიდან შემოსულმა კონტინენტურმა, როგორც ჩანს, დაიკავა სივრცე კასარამდე. მოგვიანებით კი, ოსთა ზეწოლის გამო ისინი თერგის ხეობის გასწვრივ უფრო აღმოსავლეთითაც გადმოვიდნენ. დვალების კვალდაკვალ მიმდინარეობდა ქურთათის ხეობიდან ოსების ინფილტრაცია თერგის ხეობის ზემო წელში. XVII საუკუნემდე თრუსოში ოსური მოსახლეობა არ გვხვდება, იქ ძირითადად დვალები ცხოვრობდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ტოპონიმ „თრუსო“ ძველი ქართული ენის საშუალებით ხსნიან. სულხან-საბას ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ „დრუსო არს ზღუდე ქვისა კოშკიანი, დიდი და კეთილადშენებული“. „დრუსო არს ზღუდე ქვისა მაღალი კეთილადნაგები კოშკ-კოშკოვანი“.²⁰ ანალოგიურად განმარტავს ამ სიტყვას დავით

18 თოფჩიშვილი რ., დვალეთი და დვალები, თბილისი, 2016, გვ. 50; ითონიშვილი ვახ. დვალები და დვალეთი, ტ. II, თბილისი, 2016, გვ. 86.

19 თოფჩიშვილი რ., დვალეთი და დვალები, თბილისი, 2016, გვ. 50.

20 ითონიშვილი ვახ. დვალები და დვალეთი, ტ. I, თბილისი 2016, გვ. 165; თოფჩიშვილი რ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 52.

ჩუბინაშვილი: „დრუსო — ზღუდე ქვისა მაღალი, ნაგები კოშკ-კოშკებად“. თრუსოში სხვა მთის კუთხეების მსგავსად სწორედ კოშკოვანი ზღუდეები იგებოდა. რაც შეეხება იმას, რომ რეგიონს სახელად „თრუსო“ ჰქვია და ზღუდის სახეობას — „დრუსო“, აქაც ისეთივე მონაცემეობა გვაქვს „დ“ და „თ“ თანხმოვნებისა, როგორც „დვალეთისა“ და „თუალეთის“ შემთხვევაში.²¹

XVII საუკუნეში თერგის სათავეებში ოსები შემოვიდნენ და აქ გადმოსული დვალების ასიმილაციის პროცესი დაიწყო. უფრო გვიან მათ კასარის გადმოლმაც გადმოაღწიეს და სოფ. კობამდე ტერიტორია დაიკავეს. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ



XVIII საუკუნის დასაწყისში თრუსოში 8 ოსური სოფელი იყო.²² ოსებისაგან შევიწროებულმა დვალების ნაწილმა შესძლო ხევის სოფლებში (ყანობი, ხურთისი, გორისციხე, სიონი) გადასახლებით დაეღწია თავი ასიმილაციისაგან. იმის მიუხედავად, რომ შემოსული ოსები სახელს უცვლიდნენ ტოპონიმებს, რამდენიმე სოფელმა მარც შემოინახა ქართული სახელწოდება (აბანო, შევარდენი, ადო, ოქროყანა, მნა, ალმასიანი). ვ. იოონიშვილმა ყურადღება მიაქცია, რომ სოფ. ადოს ოსებმა ნოგყაუ (ოსურად ახალსოფელი) დაარქვეს, რაც თვალნათლივ აჩვენებს, რომ ეს მათთვის ახალი ადგილი იყო და ძველად ოსების სამოსახლოს არ წარმოადგენდა.²³

21 თოფჩიშვილი რ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.

22 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეცნისა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტ. IV, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973, გვ. 647.

23 იოონიშვილი ვ. თემა და თემობრიობა საქართველოში, თბილისი, 2017, გვ. 43.

პარალელურად ოსები ჩასახლდნენ ზევის რამდენიმე სოფელ-შიც (კობი, აჩხოტი, უხათი, თოთი). მათი ჩასახლების ინიციატორებად ხშირად დაწინაურებული ღუდუშაურები, შემდეგ კი ყაზბეგები გვევლინებიან.²⁴

დროთა განმავლობაში თრუსოს ხეობაში ოსური სოფლები მომრავლდა. გ. თოვოშვილმა გამოაქვეყნა 1780 წლის თრუსოს ხეობის აღწერის მასალა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ თრუსოში შედიოდნენ სოფლები: რეში (5 საკომლო მამულით), ტეფი (6 საკომლო მამული), გიძარა (11 საკომლო მამული 12 კომლზე), ყაყიდური (7 საკომლო მამული 8 კომლზე), ყარათყავი (8,5 საკომლო მამული 9 კომლზე), დენცე (6 საკომლო), ქვემო დენცე (4 საკომლო), ჯახაგორი (2 საკომლო), საოტი (5 საკომლო), აბანო (7 საკომლო), ქეთერი (9 საკომლო). სულ თრუსოს ხეობაში აღწერილი 11 სოფელში აღწერილია 73 კომლი.²⁵ თრუსოს 8 სოფელი სრულიად ოსებით დასახლებულად მიაჩნია იოანე ბატონიშვილსაც.²⁶

გიულდენშტედტი თრუსოში 13 სოფელს აღწერს: რესი, სივერაუტი, გიძარა, ცოცოლტა, ბურმასეკი, ხუძანი ან ყარათყაუ, ვალანდენბე, დალაგდენბე, ბარსი, სუათისი, აბანო, კეთრისი.²⁷

ს. მაკალათიას მონაცემებით XX საუკუნის 30-იან წლებში კობის თემში, რომელშიც ძირითადად ოსებით დასახლებული პუნქტები შედიოდა, 29-30 სოფელი იყო: აბანო, ბურმასეკი (ბურმასიგი), გიძრა, დესი, ერეტი (ერეტო), ერხოტი, ალმასიანი, უხათი, კარალყაუ (კარატყავი), ზაკაგორი, კეტროხი (კეთრისი), კობი, მნა, (მექეთი), ნავაგყავი (ნოგყაუ), ზემო ოქროყანა, ქვემო ოქროყანა, რესი, სივევტა (სივრაუტა), სუათისი, საყურთ-კარი (სოყურიანი), ტეპი, ფალგყავი, (ურმისსოფელი), ქუმლის ციხე, ზემო განისი, ქვემო განისი, შავარდენი, ცოცოლდა, (ციხის სოფ), ბუარყევი, აგათკარი²⁸. ამ მონაცემების მიხედვით, რომელიც 1926 წლის აღწერის

24 იქვე გვ. 44.

25 თოვოშვილი გ., საქართველო ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბილისი, 1969, გვ. 196.

26 ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, 1986, გვ. 35.

27 გიულდენშტედტის მიერთულობა საქართველოში, ტ. II, თბილისი 1964, გვ. 65.

28 მაკალათიას, ს. ხევი, თბილისი, 1934, გვ. 20-21, 78-82 (ფრჩხილებში მიცემული სოფლის სახელები გვ. 20-21 ზოგჯერ არ ემთხვევა ქვემო გვერდებზე დასახლებულ სოფლებს ღ. ჯ.).

მასალებს ეყრდნობა, დასახელებულ სოფლებში აღწერილი 3127 ადამიანიდან მხოლოდ სოფ. აღმასიანში ცხოვრობდა 14 ქართველი, დანარჩენი 3115 კი ოსია.

ეთნოდემოგრაფიული ცვლილებები მიმდინარეობდა ქართული სამეფო ხელისუფლების, ცალკეული ფეოდალური სახლების, ადგილობრივი თემების და უცხო ეთნიკური ჯგუფების ინტერესთა დაპირისპირების ფონზე. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ სამეფო კარი სათანადო ყურადღებას ვეღარ იჩენდა მთის მიმართ, რაც ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური დაქსაქსულობის, ეკონომიკური იზოლირებულობის და შეზღუდული კომუნიკაციის პირობებში ადგილობრივი თემობრივი მმართველობის გაძლიერების საშუალებას ქმნიდა. ზევში ჩამოყალიბებული ტერიტორიული თემის მმართველობის ცენტრი იმავდროულად, რელიგიური ცენტრიც იყო. ვ. იოონიშვილის თანახმად ზევში ამგვარი ცენტრი რამდენჯერმე შეცვლილა. იგი თავდაპირველად სოფ. სათარგმნოს წითელ ეკლესიაში ყოფილა. მოგვიანებით, სოფ. სიონის ეკლესიაში, სადაც თემის ბჭეებისათვის განკუთვნილი, თლილი ქვისაგან გამოკვეთილი, სკამები დღემდეა შემორჩენილი. გერგეტის სამების აგების შემდეგ კი ტერიტორიული თემის ცენტრს აქ გადმოუნაცვლებია.²⁹



თემის ბჭეებისთვის
ბანკურების სამები

²⁹ იოონიშვილი ვ. თემი და თემობრიობა საქართველოში, თბილისი, 2017, გვ. 45; იოონიშვილი ვ., მოხევეების ყოფა-ცხოვრება, თბილისი, 2016, გვ. 132-139; თოფჩიშვილი რ., დგალეთი და დგალები, თბ., 2017, გვ. 48-49.

XV საუკუნის 30-იან წლებში შექმნილი „გერგრეტელ საყდრისშვილთა საბუთით“ ირკვევა, რომ ამ დროისათვის უკვე არ-სებობს ტერმინი „თრუსლოელნი,“ რომელშიც, იმ ეპოქაში, წანა-რულ-დვალური სიმბიოზი უნდა იგულისხმებოდეს. თრუსოელნი გარკვეულ ვალდებულებას კისრულობდნენ გეგატელ საყდრისშვილთა წინაშე³⁰. მოგვიანებით, თრუსოელთა ხევის ტერიტორიული ცენტრისადმი მსგავსი დამოკიდებულების დამადასტურებელი საბუთი უცნობია, რაც იქ მოხდარი ეთნიკური ცვლილების შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ოსურმა ელემენტმა შეძლო ეთნიკური დო-მინანტობის მოპოვება და სავარაუდოდ, ცალკე ტერიტორიული თემის ჩამოყალიბებაც. თუმცა პოლიტიკურად თრუსო ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში რჩებოდა.

თემობრივი მმართველობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აღ. ყაზბეგის რომანი „ხევისბერი გოჩა“³¹. ხევისბერი უკვე ხევის ფაქტობრივ მმართველად ქცეულა და მის განმგებლობაში შედიოდა სამხედრო მმართველობა, სამართალწარმოება და სასულიერო სფერო.³² სახალხო ყრილობა, რომელიც ხევის საჭირბოროტო საკითხებს წყვეტდა, სამეცნიერო მიღების საბჭოში იმართებოდა. აქ მიღებულ გადაწყვეტილებას „ყველა მთიელი ემონებოდა და განუკითხველად ემორჩილებოდა.“ სწორედ აქ გამოასვენებდნენ „დროშის თავს“, რომელთან შეხების უფლბა მხოლოდ ორი კვირით „საწმენდად გასულ ხევისბერს“ და მის თანაშემწევებს ჰქონდათ.³³

უნდა ითქვას, რომ აღ. ყაზბეგი ამ დროისათვის თრუსოს ხევისგან განცალკევებულ ერთეულად მიიჩნევს. აქაური ოსები აღარც გერგეტის სახალხო ყრილობას ესწრებიან და აღარც მოხევეთა მომსრუებად მოიაზრებიან. პირიქით, თრუსოელ ოსებს „გულით უნდოდათ გადახდევინება იმ ხალხისა, რომელიც მათსა და ქისტეთს შორის სოლივით შეჭრილიყო და დამეზობლებულ ხალხისათვის საშუალება მოესპონ გადაუხდევინებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხებს დასცემოდა.“³⁴

30 ითონიშვილი ვ., მოხევეების ყოფა-ცხოვრება, თბილის, 2016, გვ. 139-140.

31 ითონიშვილი ვ., აღვენსახდრე ყაზბეგი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები, თბილისი, 2006, გვ. 202-205.

32 ყაზბეგი აღ., ხევისბერი გოჩა, თხზულებანი, თბილისი, 1985, გვ. 619-622; 650-656.

33 იქვე, გვ. 619.

34 იქვე, გვ. 634.

შესაბამისად, თრუსოს ტერიტორიული თემის ცენტრიც გვიან-დელი წევის გარეთ უნდა ვეძებოთ. ალ. ყაზბეგის მოთხრობაში, ნუგზარ ერისთავის შესახვედრად გამოსული თრუსოს მოსახლეობა სოფ. ოქროყანაშია შეკრებილი. სავარაუდოდ, მწერალს მათი თემის ცენტრიც აქ უნდა ეგულებოდეს.

ზემოხსენებული მოთხრობა საინტერესოა იმითაც, რომ ასახავს შინაფეოდალური პოლიტიკური ბრძოლის დამამთავრებელ ეტაპს, როდესაც არაგვის წეობაში გაბატონებული ფეოდალური სახლი ცდილობდა თავის უფლებები ფეოდალური ურთიერთობებისაგან განზე გამდგარი მთის თემებისთვისაც მოეხვია თავზე. ამ ბრძოლის პირველი ეტაპი კი „„ძეგლი ერისთავთა“-ში აღწერილი მოვლენები უნდა იყოს. როდესაც ვირშელ ერისთავი აქტიურად ჩაება თერგის წეობის ცალკეულ თემებს შორის გაჩაღებულ და-პირისპირებაში.³⁵

არაგვის ერისთავებს ბრძოლაში, როგორც ჩანს, მხარს უჭერდა ოსური მოსახლეობა, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ოსების საარსებო სივრცის მოპოვებას, ძველი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობა უნდა შეხვედროდა. ტერიტორიული თემი ორგანიზებულ წინააღმდეგობას უწევდა მის ხელთ არსებულ მიწებზე უცხო ელემენტის დამკვიდრებას. ამ ბრძოლაში მოკავშირედ ოსებს არაგვის ერისთავთა ფეოდალური სახლი ეგულებოდა. არაგვის ერისთავები მოხევეებს შორისაც ეძებდნენ მოკავშირეებს. სწორედ ამ ბრძოლაში წამოსწიეს მათ წინ შიოლა ღუდუშაური. ხევში გაბატონებულმა ზურაბ ერისთავმა იგი მოურავად დანიშნა და გადასახადების აკრება და ერისთავის გადაწყვეტილებების აღსრულება დაავალა.³⁶ ზოგჯერ ამგვარი კავშირის აუცილებლობას საგარეო საფრთხე განაპირობებდა. 1732 წელს თრუსოელი ოსები, მოხევეები და მთიულები თავდებად დაუდგნენ არაგვის ერისთავ ბარბიშს, რათა თურქებისაგან მომავალი საფრთხე აერიდებინათ.³⁷

1743 წ. მოსახლეობის აჯანყების შემდეგ არაგვის საერისთავო გაუქმდა და საუფლისწულოდ გამოცხადდა. იგი ჯერ ვახტანგ

35 თოფჩიშვილი რ., დვალება და დვალეთი, თბილისი, 2017, გვ. 46-47; თოფჩიშვილი რ., მოხური გვარსახლები გვ. 54.

36 იონიშვილი გ., მოხევეების ყოფა-ცხოვრება, თბ., 2015, გვ., 148.

37 თოფჩიშვილი გ., საქართველო-ოსეთის უერთიერთობა XV-XVIII ს. გვ. 193-194.

ერეკლეს ძის საუფლისწულო მამული იყო, შემდეგ – ლევან ბატონიშვილის, ხოლო XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან – ვახტანგ ბატონიშვილის. ბატონიშვილები თარხანთა კატეგორიის შექმნით ქვეშევრმდომების ოცხვის ზრდას ცდილობდნენ და ამ გზაზე არც თაგაურელი ოსების გადმოსახლებას ერიდებოდნენ. მაგალითად 1776 წელს ვახტანგ ბატონიშვილმა თაგაურელ ქუნდუხიშვილ თომას და მის შვილს იოანეს ქაიყუბად კობიაშვილისგან ორნახევარი საკომლო მამულის ნასყიდობა დაუმტკიცა. აღსანიშნავია, რომ თომა ერეკლე მეფის ნათლული ყოფილა, მისი შვილი კი ვახტანგ ბატონიშვილისა.³⁸

საქართველოში რუსთა გაბატონების დროისათვის თერგის ზე-მო წელზე მცხოვრები ოსები, ქართულ სოციალ-პოლიტიკურ სივრცეში სრულიად იყვნენ ინტეგრირებული და აქტიურად მონაწილეობდნენ აյ მიმდინარე პროცესებში. მდგომარეობა გარკვეულად შეიცვალა XIX საუკუნიდან.

საქართველოს სამეფოს დაქვემდებარებულ და ჩრდილოკავკა-სიელ მთიელებს შორის ძალიან დიდი განსხვავება იყო, რაც კარგად ჩანს გიულდენშტედტის მოგზაურობის ერთ ფრაგმენტში. სტეფანწმიდიდან რუსეთში მიმავალ მოგზაურს თერგი ხუთ ადგილას უნდა გადაეკვთა. ამ ადგილის მცხოვრები გარკვეული საფასურის სანაცვლოდ დროებით გადასასვლელებს აკეთებდნენ მგზავრებისათვის. მონევეებს პირნათლად შეუსრულებიათ მოგზაურის თხოვნა, ხოლო თაგაურელ ოსებს ორჯერ მეტი თანხა მუთხოვიათ საზღაურად და თანაც 300 კაციანი ჩასაფრება მოუწყვიათ მის გასაძარცვად. რუსები იძულებული იყვნენ აქაური ოსებიდან მუდმივად ჰყოლოდათ მძევლები, რადგან ხშირი იყო ყაჩაღიანია–ძარცვის ფაქტები არა მარტო მოგზაურების, არამედ რუსული რაზმების მიმართაც.³⁹

სოციალური დასაყრდენის გაჩენის მიზნით საქართველოში გაბატონებულმა რუსეთმა აქაური ზედაფენის გაერთგულება დაიწყო. მათი ნაწილი რუსულ სამსახურში განუზომლად დაწინაურდა. თუმცა, ქვედაფენას გაორმაგებულ ტვირთად დააწვა

38 თოვოშვილი გ., საქართველო-ოსეთის უერთიერთობა XV-XVIII ს. გვ. 195.

39 გაულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბილისი 1962, გვ. 179-180.

ცარისტული რეჟიმი. უქმაყოფილებას იწვევდა ახალი ფულადი გადასახადები, აქამდე არნაზული გზათამშენებლობა და მასზე შეწერილი ბეგარა, რუსული ჯარის ამუნიციით მომსახურება და მათი სურსათით უზრუნველყოფა. უნდა ითქვას, რომ უკვე XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს მთიანეთში და მათ შორის თერგის ხეობაშიც გახშირდა ანტირუსული გამოსვლები. ყველაზე მასშტაბური მათ შორის იყო 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, რომელშიც ქართველებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ არა მარტო თერგის ხეობის და ლიახვის ხეობის მკვიდრი ოსები, არამედ თაგაურელი (ჩრდილოკავკასიური ოსური თემი) ოსებიც ახმატ დუდაროვის წინამდოღობით.⁴⁰

პირველ ხანებში ოსების აჯანყებები რუსთა მპყრობელობის წინააღმდეგ სისტემატურ და შეურიგებელ ხასიათს ატარებდა. საქართველოში ისინი ქართველ მეამბოხეთა მხარდამხარ იბრძოდნენ რუსული მპყრობელობის წინააღმდეგ. მოგვიანებით, რუსულმა სახელმწიფომ შესძლო მტრულად განწყობილი ოსები თავისკენ გადაებირებინა და დიდ კავკასიურ დაპირისპირებაში საკუთარ პოლიტიკურ იარაღად ექცია.

§2 ოსთა ავტოქთონობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში

ქართულ და რუსულენოვან საისტორიო საზოგადოებებში ოსთა ეთნოგენეზის, მათი პოლიტიკური ისტორიისა და საქართველოში მიგრაციის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. განსაკუთრებით მწვავე პოლემიკის საგანია ოსთა საქართველოში ჩამოსახლებისა და დამკვიდრების ეტაპები. XX საუკუნეში ოს მკვლევართა ნაწილი მათი მიგრაციის „უძველეს დროდ“, III-IV ან VI-VII სს. მიიჩნევდა, სხვანი საქართველოში ოსთა ინფილტრაციის პირველ პერიოდს ჩრდილო კავკასიაში მონალლთა გაბატო-

40 ქოქრაშვილი ხ., რუსეთს პოლიტიკა შიდა ქართლის მთიანეთში, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი II, თბილისი, 2016, გვ. 10; თქავაშვili M., Русско-осетинское противостояние в грузии в начале XIX века, Некоторые вопросы истории осетин Шида картли Тбилиси 2010, с. 218-251.

ნებას უკავშირებდნენ. იყო ცდა, ოსური გვარების გენეალოგიებზე დაყრდნობით მათი მიგრაცია XV-XVI სს-ით განესაზღვრათ. ქართველი და რუსი მეცნიერების ნაწილის კვლევათა შედეგები მიუთითებენ, რომ ქართლის მთიანეთში ოსების დასახლება ძირითადად XVII ს-ში მოხდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში მიგრაცია მიმდინარეობდა XVIII ს-ში. თანდათანობით კომპაქტური დასახლებები გაჩნდა შიდა ქართლის ჩრდ. ნაწილში, მდ. ლიახვისა და ქსნის ხეობებში, თუმცა ოსების დიდი ნაწილი დისპერსულად განსახლდა მთელ საქართველოში.

აზრთა სხვადასხვაობაა საქართველოში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულის წარმოშობის ისტორიაზეც. უნდა ითქვას, რომ XIX ს-მდე, წერილობით წყაროებში ოსეთთან დაკავშირებით განსაზღვრება „სამხრეთი“ ან „ჩრდილოეთი“ არ ფიქსირდება. ეს ტერმინი მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაჩნდა. იმპერატორისადმი გაგზავნილ რაპორტებში რუსი სამხედროები — მდ. ლიახვის მთიანი რეგიონების ოსებით დასახლებულ ტერიტორიას უწოდებდნენ „ოსეთს“, „Грузинская Осетия“-ას, „Карталинская Осетия“-ს (1812-1837 წწ.). შემდეგ გაჩნდა ოპოზიციური წყვილი — „Южная Осетия—Северная Осетия“. XIX ს-ის 40-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე „Осетинский округ“-ი დაწესდა. სწორედ ეს დაედო საფუძვლად შიდა ქართლში ბოლშევიკების მიერ შექმნილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაყოფისათვის სახლის მინიჭებას (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.)

საბჭოთა მეცნიერებაში დამკვიდრებული იყო თვალსაზრისი, რომ ირანულენოვანი ოსები ჩრდილოკავკასიური ველებიდან გამოაძევეს თავდაპირველად ხაზარებმა, ხოლო შემდგომ თურქულმა ტალღებმა. კავკასიის ქადზე გადმოსვლის შემდეგ ოსები ხვდებოდნენ ნახური და ქართველური მოდგმის ხალხებს, რომელთან შერევის შედეგადაც სათავე დაედო „სამხრეთ ოსი“ ხალხის ჩამოყალიბებას.⁴¹

ოსური წარმომავლობის მეცნიერთაგან ოსთა ეთნოგენეზისა და მათი სამხრეთული მიგრაციების შესწავლის პირველი ცდა ზ. ვა-

41 Пчелина Е.Г. Краткий историко-археологический очерк страны Ирон-Хусар // Материалы по изучению Грузии: Юго-Осетия, Тиф, 1925, с 237-238.

ნეევის სახელს უკავშირდება. სწორედ ვანეევის მოსაზრებები იქცა დღევანდელი ოსური ისტორიოგრაფიის ამოსავალ პრინციპად, თუმცა თავად ვანეევის კონცეფციამ ამ საკითხებთან დაკავშირდებით რამდენჯერმე განიცადა ცვლილება.

ზ. ვანეევი კრიტიკის გარეშე ღებულობდა სენ მარტენის დებულებას ოსთა სამხრეთ კავკასიაში ქრისტეს შობამდე III საუკუნეში შემოსვლის შესახებ. იგი მიუთითებდა დვალების და ოსების იგივეობაზე. მართალია, მას საქართველოში ოსების მასობრივი ჩამოსახლების პერიოდად XV-XVI სს მიაჩნდა, მაგრამ მათი და დვალების გაიგივება საშუალებას აძლევდა ემტკიცებინა, რომ ეთნიკური სურათი შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში ამ მიგრაციის შედეგად არ შეცვლილა და დვალეთს ოსთა უძველეს საცხოვრისად აცხადებდა.⁴² ვანეევი თავის პირველ შრომებში ვერ უარყოფდა, რომ ოსთა გადაადგილება კავკასიის ქედს გადმოღმა თათარ-მონღოლთა შემოსვებს უკავშირდება. მოგვიანებით იგი შეეცადა კავკასიაში ირანულენოვანი მოსახლეობის გამოჩენის დაძველებას, რაც საშუალებას მისცემდა, გამოეცხადებინა ოსები მათ ენობრივ-კულტურულ მემკვიდრეებად. ვანეევის აზრით, ოსთა ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ყობანურ კულტურას, რომელიც კავკასიის ქედის ორივე მხარეს იყო გავრცელებული. იგი ასევე ცდილობდა, ოსების მიგრაციებთან დაეკავშირდინა სკვითებისა და კომერციელების შემოსვები სამხრეთ კავკასიაში. ვანეევი ირანულენოვან ტომებს კავკასიაში ეთნიკურად გაბატონებულად მიიჩნევდა. იგი წერდა, რომ ძველმა ირანულებმა კავკასიაში მოიტანეს მაღალგანვითარებული კულტურა და კავკასიელები მეტალურგიას აზიარეს. ქართული საკუთარი სახელების თავისუფალი ინტერპრეტირებით კი ამტკიცებდა, რომ ოსები წარმოადგენდნენ ქართული არისტოკრატიის ნაღებს. რაც შეხება თათარ-მონღოლების და ომურ-ლენგის მიერ შევიწროებული ოსების სამხრეთისაკენ მიგრირებას და საქართველოში შემოსვლას, ეს იყო უძველეს დროში დაწყებული პროცესის გაგრძელება, კიდევ ერთი ახალი ტალღა. ეთნონიმ ოსის გჩენა სრულიადაც არ მოას-

42 Ванети З.Н. К вопросу времени заселения Юго-Осетии Изв. Юго-Осет. НИИ АН Грузии, 1936, вып 3, с. 270-278.

წვავებდა აქ მცხოვრებთა ეთნიკურ ცვლილებას, ესენი იგივე ძველი ალანები იყვნენ, რომელთაც უცხოტომელები უბრალოდ ახალი სახელით მოიხსენიებდნენ. ამასთანვე, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, ვანეევი ჩრდილოკავკასიელ მთიელებს აკუთვნებდა აღმო-სავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობას (ხევსურებს, ფშაველებს თუშებს და სხვა).⁴³

ზ. ვანეევის აზრით ირანულენოვანი ალან-ოსურ-სკვითურ-სარ-მატული სამყარო იმდენად მძლავრი და აგრესიული იყო, რომ მან ჯერ კიდევ ძველი და ახალი საუკუნეების მიჯნაზე შეძლო ჩრდილოკავკასიის ცენტრალური ნაწილის მოსახლეობის ასიმი-ლირება.⁴⁴ როგორც ვ. შნირელმანი აღნიშნავს, იმ პერიოდის ოთა ავტორებისათვის უკვე დამახასიათებელია სამხრეთ კავკასიაში თა-ვიანთი ხალხის ისტორიის დამველება და იმის მტკიცება, რომ ოს-თა გამოჩენამდე საქართველოს ჩრდილოეთ რეგიონში ქართველები არ ცხოვრობდნენ.⁴⁵

ქართულ ისტორიოგრაფიაში ოთა საქართველოში ჩამოსახ-ლების პროცესის შესწავლა ბევრად უფრო ადრე დაიწყო. რომ არაფერი ითქვას XVIII სუკუნის ქართველი გეოგრაფისა და ის-ტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლზე ამ საკითხების შეს-წავლაში, მოგვიანებით ოთა საქართველოში მივრაციის საკითხებს ყურადღება მიაქციეს სხვა მკლევრებმაც.⁴⁶ ზ. ჭიჭინაძე შემდეგ-ნაირად აღწერს გიორგი ბრწყინვალის მიერ ოსების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებას – მოხდა მაღლ ის, რომ ქართლში ოსებს კარგი დღე არ დაუდგათ, მთელის ქართლის სოფლებიდან ოსები აკყარა, ქართველთაგან წართმეული სახლები წაართვა, ყველა ეს სახლები თავიანთ ძველ სახლის ჰატრონებს დაუბრუნდა, მთელი აყრილი ოსები ერთ ალაგას შეყარა. მერე მიჰყევა ქართლის დიდი ჯარით და ყველა ეს მცარცველნი ისე გადარეკა ოსეთში, რომ ქარ-

43 Ванеев З. Избранные работы по истории осетинского народа, Цхинвали, 1989, с. 335-364.

44 Ванеев З. Избранные работы по истории осетинского народа, Цхинвали, 1989, с. 335-364.

45 Шнирелман В.А., Войны Памяти, М. 2003, с. 476.

46 ურბნელი (ხიზან-შვილი) ნ., გიორგი ბრწყინვალე მეუე საქართველოსი, ტფილისი, 1889; ჭიჭინაძე ზ., ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ღვაწლი და ამაგი მათზე, ტფილისი, 1916 (თბილისი, 1990)და სხვები.

თლში ერთი ოსი აღარ დასტოვა. ამ გვარათ გიორგი ბრწყინვალებ დაამშეიდა ქართლი. გიორგი ბრწყინვალე მარტო ამ გაძევებას არ დასჯერდა, იუიქრა: ვაი თუ კიდევ მერე შემოესიონ ქართველ-საო, ამიტომ იგი ქართველის ჯარით შუა გულ ოსეთამდის მიჰყვა, იქ ჩარეკა და მასთან პირობა ჩამოართვა, რომ დღეის შემდეგ თქვენ აღარ გაბედოთ და ქართლს აღარ შემოესიოთ, თორემ მე სასტი-კად დაგსჯით. ამის პირობა ოსებმა დიდის სიხარულით მისცეს და სთქევს, რომ დღეიდან ჩვენი ფეხი ქართლში აღარ შემოვა. მხოლოდ ოსებმა სთხოვეს გიორგი ბრწყინვალეს, რომ ჩვენ თქვენს ბრძანებას შევასრულებთ, თქვენც ერთი სიკეთე გვიყავითო, ჩვენს ქვეყანაში, ოსებს არა გვყავს არც ხაბაზები, არც მეტუსტე, მეწუდე, მექალამანე, არც ჭონი, არც თერძი, ფეიქარი, არა გვყავს და დალა-ქი და სხვაც ასეთი საჭირო ხელოსნები, უგება გვიშველოთ თქვენა, თფილისიდამ გვიბოძოთ სამ-სამი კაცით თითო ხელობის, რომ მათ დაიწყონ აქ მუშაობა და ჩვენც გვექმნეს ყველა საჭირო სახმარებ-ლიო. გონიერმა გიორგი ბრწყინვალემ ამ დავალებას თავისებურის კეთილის თვალით შეხედა, იგი მაღლე ჩამოვიდა ოსეთიდან თფილის-ში, შეკრიბა ყველა ხელოსნები, ყველა მათ მისცა დახმარება, ულუ-ფა და მაღლე გაბრუნდა ოსეთში და ყველა ეს ხელოსნებიც თან წაიყვანა, მაღლე ჩავიდა ოსეთში, ყველა ესწინი დაამკვიდრა იქ, ამათ გაუხსნა სახელოსნოები და ამ გვარით შემოსა ტიტლიკანა და ფეხშიშველა ოსები.⁴⁷ ზ. ჭიჭინაძეს აზრით ოსების ჩამოსახლება მე-16 საუკუნის ბოლოს დაიწყო, როდესაც რამდენიმე მოუსავლიანი წელი ზედიზედ დაემთხვა და შიმშილობისა და მოუსავლიანობას-თან თავის არიდების მიზნით მათი ერთი ნაწილი საქართველოს (ქართლს) შემოეხიზნა.

XII საუკუნის ბოლოს ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხს ნ. ბერძენიშვილიც შეეხო. „ოსთა ჩამოსახლება, ბუნებრივია, სასტიკ და დაუნდობელ სამამულო ბრძოლის ხასიათს იღებს. ოსთა მთა-ვარი "აოხრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განასხამდა მამულისგან აზნაურთა" და აზნაურებიც, რა თქმა უნდა, თავს არ ზოგავერ.. მონღოლები ამ ბრძოლისას გარევევით ოსებს უჭერენ მხარს. აჯან-

47 ჭიჭინაძე ზ., ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ღვაწლი და ამაგი მათზე, ტფილისი, 1916, გვ. 6-7.

ყებულ ქართლში ოსების მომდლავრება მათ პოლიტიკურ ანგარიშ-ში შედის. ისინი მფარველობენ გადმოსახლებულთ და ქართველ ფეოდალთა მიერ განადგურებისაგან იცავენ მათ".⁴⁸

გ. თოვოშვილი ქართული საისტორიო წყაროების ანალიზის შედეგად მივიღა დასკვნამდე, რომ XIII საუკუნემდე, ალან-ოსებთან საქართველოს ურთიერთობას ძირითადად სამხედრო-პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, რაც ერთობლივ ლაშქრობებში ან პირიქით სამხედრო დაპირისპირებაში იყო გამოხატული. მდგომარეობა შეიცვალა დავით აღმაშენებლის, განსაკუთრებით კი გიორგი III ის მეფობის პერიოდიდან, როდესაც ოვსები საქართველოს ყმაღნაფიცები უნდა გამხდარიყვნენ. იყო ასევე დინასტიური ქორწინებებიც, რაც ხელს უწყობდა ქართულ-ოსური ურთიერთობების განმტკიცებას, მაგრამ მასობრივი ოსური მიგრაციები წყაროებში არ ფიქსირდება.⁴⁹ ქართულ წყაროებზე დაყრდნობით იგი წერს, რომ ოსების პირველი მასობრივი შემოსვლა დავით ულუს მეფობის პერიოდში მომხდარა, როდესაც ბექა ყავნისაგან ლტოლვილი ოსები, ქართულ სამეფო კარს საქართველოში დმანისისა და ჟინვანის მიდამოებში დაუსახლებია. 1293 წ., როდესაც დავით მეფე ქეღათუ ყავნს ბიზანტიაში ლაშქრობაში ეხმარებოდა, ოსებს დაუწყიათ ქართლის აოხრება და რბევა, გორი აუღიათ და იქ დამსხდარან. ქართულ-ოსური დაპირისპირების ახსნას მკვლევარი კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლას უკავშირებდა.

ქართული ფეოდალური საზოგადოების თითოეული კლასი თუ ფენა თავისი ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა პოზიციებიდან უდგებოდა ოსთა გადმოსახლების საკითხს. მეფეს მათი საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა, თუ ისინი მას "კეთილად ემსახურებოდნენ," მონღოლთა შემოსევებმა ქვეყნის მოსახლეობა საგრძნობლად შეათხელა. მეფეს შეეძლო ოსები თავისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის გამოეყენებინა, დაეპირისპირებინა ისინი მსხვილი ფეოდალების სეპარატისტული ტენდენციებისათვის. ოსები ამ მხრივ მეფისათვის სამედო დასაყრდენი შეიძლება ყოფილიყვნენ, რადგანაც თავადაც საჭიროებდნენ მფარველს. ასეთი მფარველი კი

48 ბერძნიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 60-61.

49 თოვოშვილი გ., ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბილისი, მეცნიერება, 1977, გვ. 65-84.

შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ სამეფო ხელისუფლება უნდა ყოფილიყო (მონღოლებიც გარკვეული აზრით მფარველობდნენ თებეს გავიხსენოთ მათი შუამდგომლობა და გორის კონფლიქტთან დაკავშირებული ოს-ქართველთა შერიგების ფაქტი). რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, რომ ქართლში გადმოსახლებული ოსებიც სხვადასხვა ინტერესების მქონე საზოგადოებრივი ფენისაგან შედგებოდნენ. მოკავშირეთა არჩევისას კი ეს ინტერესები აუცილებლად იჩენდა თავს. ამასთანავე, ორივე მხრიდან ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის ან კლასის ინტერესებიც იცვლებოდა სხვადასხვა ფაქტორთან მიმართებაში. მაგ. თუ საქართველოში გადმოსახლებული ფარეჯან ოვსთა მთავარი დავით მეფეს ერთგულებდა, მისი იმა ბაჟათარი XIII საუკუნის მიწურულს და XIV-ს დამდეგს აქტიურ საქმიანობას აჩაღებდა ქართლში თეთა სამოქმედო არეალის გასაფაროებლად. იგი მოხერხებულად სარგებლობდა ერთის მხრივ, მონღოლებსა და დავით მეფეს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობით, მეორე მხრივ კი ქართულ ფეოდალურ წრეებს შორის არსებული წინააღმდევობით.⁵⁰ ნ. ბერძენიშვილი ხსენებული მომენტის აღწერისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოსების მომდავრება ქართლში თათარ-მონღოლთა ხელშეწყობით მომზდარა.⁵¹

რ. თოფჩიშვილის მოსახრებით, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ოსური ეთნოსი საკმაოდ გვიან, XVII საუკუნის შუა ხანებიდან განსახლდა. ისინი აქ ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან გადმოსახლდნენ. დაღვენილია, რომ ირანულენოვანი ოსები კავკასიის ოდინდელი მქოდრნი არ არიან, ისევე როგორც თურქულენოვანი ხალხები, ოსებიც კავკასიაში მოსული არიან. ოსთა წინაპარი ალანების კავკასიელებად ქცევა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დაძრული ჰუნების თარეშებთან იყო დაკავშირებული. თანამედროვე ოსეთის ოთხი საზოგადოებიდან (ხეობიდან) ადრე შუა საუკუნეებში ალან-ოსები მხოლოდ დიგორიაში ცხოვრობდნენ. მართალია, ალან-ოსების განსახლების არეალი ახლანდელი ბალყარეთი და ყარაჩაიც იყო, მაგრამ იალბუზის ირგვლივ, ანუ ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ალან-ოსები მონღოლთა შემოსე-

50 იქვე, გვ. 87.

51 ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბილისი, 1979, გვ. 249.

ვების დროს კავკასიის ბარიდან და სამხრეთის სტეპებიდან მიგრირებული თურქულენოვანი ყივჩაყების მიერ იქნენ ასიმილირებულნი. ასიმილაციას დიგორელები გადაურჩნენ, თუმცა თურქული მინარევი მათშიც საკმაოდ არის წარმოდგენილი. თანამედროვე ყარაჩაის და ბალყარეთის ტერიტორიაზე (დასავლეთ კავკასიაში) ალან-ოსების ცხოვრების ფაქტი ქართული საისტორიო წყაროებითაც დასტურდება. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, დასავლეთ კავკასიის მთიანეთში ალან-ოსების დასახლებარება პუნთა შემოსევების დროს მოხდა, ე. ი. ახ. წ. IV საუკუნის 70-იან წლების შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში ალან-ოსები ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში სახლდებან, მაგრამ მათი ნაწილი მთაში, იალბუზის მიდამოებშიც დასახლდა თუ არა – ამის დამადასტურებელი წერილობითი მონაცემები არ არსებობს. ავტორის ვარაუდით, აქ მათი შემოსვლა მოგვიანებით, VI-VII საუკუნეებში უნდა მომხდარიყო.⁵²

ოსთა ჩამოსახლების პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ნარ-მამისონის ქვაბულის დვალეთის მოსახლეობის "დვალთა ეთნიკური ვინაობის" საკითხს. დვალეთი საქართველოს ისტორიული პროვინცია იყო. XVIII ს-დან მისი დიდი ნაწილი შედიოდა ქართლ-კახეთის სამეფოში, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ XIX საუკუნის შუა ხანებამდე – ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში. დვალეთის დასავლეთი ნაწილი, მამისონის ხეობა, ჯერ რაჭის ერისთავებს ემორჩილებოდა, მოგვიანებით კი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა. XIX საუკუნის შუა ხანებში რუსებმა დვალეთი ადმინისტრაციულად ჩამოაშორეს საქართველოს, ამჟამად კი ჩრდილო ოსეთის (ალანის) შემადგენლობაშია.

ქართველი მეცნიერების უმეტესობა ამტკიცებს, რომ დვალები ქართული მოდგმის ხალხია, ოსები კი მათ “თუალებად”, წარმოშობით ოსებად თვლიან. ცხადია თუ დვალებს თებად მივიჩნევთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ოსები ძველთაგანვე ცხოვრობდნენ კავკასიის მთავარი ქედის პირიქითა კალთებზე. ხოლო თუ დამტკიცდება, რომ დვალები და ოსები სხვადასხვანი არიან, მაშინ ოსთა ჩამოსახლების საკითხებიც სხვანაირ გადაწყვეტას მოითხოვს, წერდა დ. გვრიტიშ-

52 თოფჩიშვილი რ. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბილისი, 2008, გვ. 4.

ვილი.⁵³ აკად. ივ. ჯავახიშვილი 1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“ საგანგებოდ შეჩერდა დვალეთზე. იგი წერდა: „დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უძლებელი იყოს ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული... ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთის მონაპირე ქვეყანა იყო. ძველთაგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა მაგრამ ამ სამზღვარს განსაკუთრებული ყურადღება XII საუკუნითვან მიეკცა... თვით საქართველოს დაუძლეურების დროსაც XVIII ს-ის დამდევსაც დვალეთი ქართველთა ხელში იყო, ვახტანგ VI-მ გვალვინდებურად მტკიცედ დაიპყრა დვალეთი და დასდონა ხარკი საუკუნეთა განმავლობაში... საქართველოს მთავრობა ამ კუთხეს (დვალეთს) საქართველო-სათვის ფრიად მნიშვნელოვან კარად სოვლიდა და მის გამო მას ფხიზელ დარაჯად უდგა, საგანგებოდ არდონის გასვალთა ზღუდეც კი ააგო, რომ თუ საჭირო იქნებოდა მტრის შემოსვლის მხრივ ამ სახიფათო კარის დახშვა ადგილად შეძლებოდა“.⁵⁴

პ. კეკელიძემ დვალები ოსებად მიიჩნია. მისი აზრით, „ნიკოლოზი (XIV-ს) იყო დვალი...ერ. გვალეთიდან, ან ჯავის ხეობის, დიდი ლიახვის, ოსეთიდან, ცხინვალის ზემოთ... ეს ძეგლი („ცხოვრებაი წმინდისა ნიკოლოზ დვალისაი) საინტერესოა მით რომ ცნობებს გვაწვდის ოსების ქრისტიანიზაციისა და ქართიზაციის შესახებ.“⁵⁵

ქართველ მკვლევართაგან გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, დვალეთის პრობლემას შეეხო: ვახ. იოონიშვილი, ბ. გამყრელიძე, რ. თოფჩიშვილი. ქართველ მეცნიერთა აზრით დვალეთში ოსთა დასახლება XV ს-ის ბოლოს დაიწყო და ის ძრითადად XVI ს-ში დასრულდა. XVII ს-ში დვალეთში მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება უკვე განხორციელებულია. მაგრამ როგორც ჩანს, ამ საუკუნეში ბევრ დვალს ეთნიკური თავისთავადობა კვლავ შენარჩუნებული აქვს, რადგან, მთის პირობებში კულტურულ-ეთნი-

53 გვრიტიშვილი დ., დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მმომზნდეველი, I, თბ. 1949, გვ. 115

54 ჯავახიშვილი ივანე, საქართველოს სამზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ისტორიული რარიტეტები, თბილისი, 1989, გვ. 10-12.

55 კეკელიძე პ. ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 542.

კური ასიმილაცია, ბარისაგან განსხვავებით, ერთობ გაძნელებულია. ოსები დვალეთში ალაგირის ხეობიდან გადმოსახლდნენ და მათი აქ (აგრეთვე შედა ქართლის მთიანეთში) მიგრაცია XVIII ს-ის 70-80-იან წლებამდე გრძელდებოდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოსურმა ეთნოსმა ადგილობრივთა ეთნონიმი – დვალი (ოსურად "თუალი") საკუთარ ეთნონიმად აქცია. ასეთი შემთხვევა მსოფლიოს ეთნოსტორიიდან არაერთად ცნობილი.⁵⁶ რ თოფჩიშვილი განიხილავს დვალების ეთნიკური ვინაობის შესახებ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს და პირველ რიგში მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობილ ფრაზას, რომ მათ "ენა აქუთ ძუელი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად". ავტორის აზრით, ვ. გამრეკელის საენციკლოპედიო სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებას დვალთა ზანური წარმომავლობის შესახებ რეალური საფუძველი ჰქონდა. თუმცა ფიქრობს, რომ დვალები არ იყვნენ ზანების იდენტურნი. ისინი ერთ-ერთი ქართველური ენის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ლაპარაკობდნენ ზანურსა და სვანურს შორის მდგომ ენაზე. ამავე დროს, დვალური ენა უფრო ახლოს იდგა ზანურთან.

ვ. გამრეკელს დვალები თავდაპირველად ვაინახებად, უფრო სწორად, ქართიზებულ ვაინახებად მიაჩნდა. მისი აზრით, დვალთა ქართიზაცია VII ს-ში უნდა მომზდარიყო, როდესაც, არაბობის გამო შეწუხებული ქართლის მოსახლეობა სხვადასხვა მიმართულებით მიკრინდებოდა." მან ბოლოს ეს შეხედულება შეიცვალა და დვალები, ქართველურ ტომად, ზანებად მიიჩნია.⁵⁷

ძველი დვალების ეთნიკურ ოსებად გამოცხადება საქმაოდ როგორც აღმოჩნდა, ამიტომ ზ. განევი წერდა, რომ დვალეთი მხოლოდ გეოგრაფიული ცნება იყო და არავითარი კავშირი არ ჰქონდა ეთნო-კულტურულ მიკუთვნებულობასთან, იმავდროულად კი, როდესაც ზოგიერთი მკვლევარი იგივე პრინციპის ალანებთან და-

56 თოფჩიშვილი რ., დვალეთი და დვალები, თბილისი, 2016, გვ. 73-76; თოფჩიშვილი რ., კვლევ დვალთა ეთნიკური ვნაობისათვის, ისტორიული ეტიკები, ტ. 1. თბ. 2005, გვ. 92; თონიშვილი ვახ. დვალები და დვალეთი, ტ. I, თბილის 2016, გვ. 240-245.

57 გამრეკელი ვ., ისტორიული მსალები დვალეთიდან, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV-B, 1963, გვ. 92-101; გამრეკელი ვ., დვალები, ქსე, ტ. 3, თბ. 1977.

კავშირებით გამოყენებას ცდილობდა, იგი ერთმნიშვნელოვნად აცხა-დებდა, რომ ალნები მკაფიოდ გამოხატულ კულტურულ-ენობრივ ერთობას წარმოადგენდნენ.⁵⁸ დვალთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხს შეეხო ბ. გამყრელიძე. მას მიაჩნდა, რომ დვალეთი "ძველ-თაგანვე ეთნიკურად, კულტურულად, ადმინისტრაციულად ქართული სამყაროს შემადგენლი ნაწილი იყო". მან დვალეთში დააფიქსირა საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალა ოსთა მიგრაცია-განსახლებისა და ადგილობრივი გვარების შესახებ.⁵⁹

კ. ხარაძე შიდა ქართლის ჩრდილო რეგიონის ტოპონიმების კვლევისას აღნიშნავდა, რომ ტოპონიმი დვალეთი ქართული წარმოშობისაა, ფუძეს დართული ქართული სუფიქსი -ეთ, ხოლო ანთ-როპონიმები – დვალი და დვალიშვილი ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, ასევე მიზნევს რომ თრუსო და დვალეთი გვიან საუკუნეებში დასახლეს ჩრდილოეთიდან მიგრირებულმა ოსებმა.⁶⁰

რ. თოფჩიშვილმა ოსთა საქართველოში ჩამოსახლების შემდეგი სქემა ჩამოაყალიბა – ოსები ქართველთა უშუალო მეზობლებად XIII-XIV საუკუნეებიდან გვევლინებიან. XIV ს-ში ოსების ერთმა ჯგუფმა ისარგებლა საქართველოს დასუსტებით და მონღოლთა მხარდაჭერით სცადა საქართველოს შიდა ქართლის მხარეში დასახლება. ოსების ეს ჯგუფი გიორგი V ბრწყინვალის მიერ განადგურებული და გაძევებულ იქნა საქართველოდან. ოსეთიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (დარიალი, კასრისკარი) მტკიცედ ჩაკეტეს, ამიტომ კარგა წნით შეჩერდა ოსთა საქართველოში მიგრაცია. კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე საქართველოს ისტორიულ პროვინციაში – დვალეთში, ოსების შემოსახლება კანტიკუნტად იწყება XV ს-ის ბოლოს. ეს პროცესი აქ ძირითადად განხორციელდა XVI ს-ში. XVII ს-ში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივი ქართველური ტომის –

58 Ванеев З. Избранные работы по истории осетинского народа, Цхинвали, 1989, с. 130-134.

59 გამყრელიძე ბ., კუდაროს ხეობა, კეკ, VIII, 2003; გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან (ეთნონიმების “ოსი” და “დვალი”-ს მიმართების საკითხისათვის). – “სახსტორი ძებანი”, I, თბილისი, 1998; გამყრელიძე ბ., ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში, კრ., ოსთა საკითხი, თბილისი, 1996.

60 ხარაძე კ., შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ, კრ. ოსთა საკითხი, თბილისი, 1995, გვ. 159.

დვალების ასიმილაცია ოსების მიერ. დვალეთში მოსახლეობის ეთნიკურ-ენობრივ ცვლილებას ამ პროვინციის საქართველოდან ჩამოცილება არ მოჰყოლია. საქართველოს სახელმწიფო გადაქცევის შემდეგაც დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო (1859 წლამდე).

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი და-სახლებები გაჩნდა თრუსოსა (ძდ. თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთში (ძდ. დიდი ლიახვის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII ს-ის შუა ხანებში განხორციელდა. მთელი რიგი ისტორიული მონაცემებით, XVII ს-ის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. აქედან აყრილი ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ბარში იყო საცხოვრებლად წასული. შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების: დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII ს-ის მეორე ნახევრიდან. ისინი თანდათან მოიწევენ სამხრეთისაკენ და XVIII ს-ის 30-იანი წლებისათვის ითვისებენ დასახელებული ორი ხეობის მთიან ნაწილს მთლიანად. აქ, დასახელებულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად.

XVIII ს-ის მთელ მანძილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში ფაქტობრივად არსად ცხოვრობდნენ. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დასაწყისში. XVIII ს-ის დასსრულსა და XIX ს-ის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX ს-ის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაუონვითი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში.⁶¹

61 ოფჩიშვილი რ., ქართულ-ოსური ენობრივ-ეთნიკური ურთიერთობა და ენობრივი სიტუაცია საქართველოში მცხოვრებ ოსებში, ისტორიული ეტიუდები, ტ. 1. თბილისი, 2005, გვ. 113-114.

დასავლეთ საქართველოში ოსური მოსახლეობის ინფილტრაციის საკითხებს შეეხო ქართველი ეთნოლოგი გ. ჩიქოვანი.⁶² იგი საველე ეთნოგრაფიული მასალის, სპეციალური ლიტერატურისა და საარქივო მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეეცადა, გარკვეული წარმოდგენა შეექმნა რაჭაში ოსების ჩამოსახლების პერიოდის, მარშუტების, მათი საზოგადოებრივი ცხოვრების და ქართულ-ოსური ურთიერთობის ასპექტებზე. გ. ჩიქოვანი ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ საქართველოში ოსთა ჩამოსახლების სამი გზა არსებობდა: ერთი, როდესაც იმიერკავკასიიდან წამოსული ოსები საქართველოს მთანეთში თვითნებურად, ძალით იკავებდნენ ადგილს (ამის ხშირი მაგალითებია დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, ლეხურის და სხვ. ხეობები); მეორე – როცა ქართველი მეფე ან თავადი თვითონ ასახლებდა ოსებს, მესამე – როცა ეკონომიკური პირობებით შეწუხებული ოსი გლეხი ნებით ეყმობოდა ქართველ თავადს.⁶³ რაც შეეხება ზემო რაჭის ტერიტორიას, აქ მკვლევარმა ოსთა ჩამოსახლების ორი გზა და მეოთხი დაადგინა – 1. თვითნებური, როდესაც ჩრდ. ოსეთის მამისონის ხეობიდან, ასევე დასავლეთ საქართველოს კუდაროს მხრიდან გადმოსულმა ოსებმა, ქართველებისაგან დაუკითხავად აითვისეს მდ. ჭანჭახისა და ლარულს სათავეები და დაარსეს სოფლები ღურშევი (დაახლოებით მე-19 ს. 20-იან წლებში) და კვაუა//კოზი (მე-20 საუკუნის დასაწყისში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველების მხრივ ოსები წინააღმდეგობას არ წაწყდომიან. 2. კუდაროელი ოსები იჯარით იღებდნენ მიწას ქართველი აზნაურებისაგან; თანდათანობით ფეხს იკიდებდნენ მდ. სონტარულის ხეობის სათავეებში, რის შედეგადაც დაარსდა ორი ოსური სოფელი – გადამში და ჭვებერი (მე-20 ს-ის დასაწყისი).⁶⁴

ოსური მოსახლეობის ქართულ მთანეთში დამკვიდრების პროცესი, ზოგჯერ ერთგავარ შუალედურ ეტაპადაც გვევლინება მათი საქართველოს ბარის რეგიონებში შემდგომი სვლისათვის. ბ. გამყრელიძე დააკვირდა ოსთა მიგრაციის თავისებურებებს და შეამჩნა,

62 ჩიქოვანი გ., დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების საკითხისათვის (რაჭა), ქვე, 2003.

63 აქვე გვ. 167.

64 აქვე გვ. 167.

რომ 1886 წ. კუდაროს ხეობაში აღრიცხული იყო 281 ოჯახი, თუმცა აქ ოსური ოჯახების რიცხვი ძალიან ცვალებადი იყო, მათი ერთი ნაწილი მაღვე ტოვებდა ამ ადგილებს და მიდიოდა საქართველოს სხვა ადგილებში, ხოლო ოსური მოსახლეობა ივსებოდა ჩრდილოეთიდან მიგრირებულთა ხარჯზე. ე. ვაშაკიძის აზრით, ამ ხშირი მიგარციების მიზეზი ის იყო, რომ ოსები ტრადიციულად მიწაზე არ იყვნენ მიჯაჭვული, ამიტომ ცდილობდნენ მისთვის რაც შეიძლება სწრაფად და მეტი გამოიწვივათ, გამოფიტულ მიწებს კი ტოვებდნენ და სხვაგან გადადიოდნენ.⁶⁵ ამ დებულებას არ ეთანხმება ლ. ჩიბიროვი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ოსების გადასახლების მიზეზი მცირემიწიანობა და მძიმე სამუშარნეო ეკოლოგიური პირობები იყო.⁶⁶

გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ოსი ავტორები იძულებული იყვნენ ელიარებიანათ, რომ შიდა ქართლი წინამონღლოლურ ხანაში დასახლებული იყო ქართველებით და დვალებით. პირველი ოსური დასახლებები იქ მხოლოდ XIV საუკუნეში გაჩნდა, შემდგომ კი მრავალჯერ შემოძიოდნენ ახალი ოსური ტალღები. ამასთან, ხაზი ჰქონდა გასტული, რომ ეს რეგიონები ყოველთვის ქართველ მმართველთა კონტროლს ექვემდებარებოდნენ.⁶⁷ წერილობითი წყაროები ხსენებულ მკვლევარებს სასურველი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ აძლევდა ამიტომ წინა პლანზე წამოწიეს მატერიალური კულტურის, კერძოდ კი, არქეოლოგიური მასალის საფუძველზე სამხრეთ კავკასიაში თავიანთი ბინადრობის დაძველების მცდელობები. ამ მიმართულებით პირველი სიტყვა ეკუთვნის ყობანური სიძველეების მკვლევარს ბ. ტეხოვს, რომლის სახელსაც უკავშირდება თლიის სამაროვნის აღმოჩენა. აღსანიშნავია, რომ თავის პირველ ნაშრომებში ტეხოვი გვერდს ვერ უვლიდა ყობანურ და კოლხურ კულტურას შორის არსებულ პარალელებს. იგი ცდილობდა არ შეხებოდა ხსენებულ კულტურათა მატარებელი ერთობების ეთნიკურ ნათესაობს და კულტურულ კონტაქტებზე საუბარს

65 გამყრელიძე ბ., კუდაროს ხეობა, კეკ, VIII, 2003, გვ. 155.

66 Чибиров Л. (сост) Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах , Т. 3 Цхинвали 1987, с. 415.

67 Техов Б.В. (ред), Очерки истории Юго-Осетинской автономной области, Тб., 1985, с. 68-100.

ამჯობინებდა. თლიას სამაროვანზე საუბრისას იგი აღნიშნავდა, რომ ამ კულტურის წარმომადგენლები იყვნენ კავკასიელი აბორიგენები, რომელთაც განიცადეს ინდოევროპული კულტურის გავლენა. ერთხანს ტეხოვი ყობანურ კულტურას სამხრეთიდან წამოსულ ქართველურ ტომებსაც უკავშირებდა, რომლებიც თანდათანობით აირივნენ ადგილობრივ ჩრდილოკავკასიელებთან. რაც შეეხება ირანულენოვან მოსახლეობას, ისინი აქ მოგვიანებით გამოჩნდნენ.⁶⁸

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის ტეხოვმა შეცვალა დამოკიდებულება კავკასიის ირანულენოვანი ხალხების წარმომავლობაზე და გამოაცხადა, რომ ირანელები წარმოადგენენ კავკასიის ავტოქთონებს. ამ დებულების დასამტკიცებლად მან წინ წამოსწია ჰიპოთეზა ზეთების თავდაპირველად კავკასიაში ცხოვრებისა და აქედან მცირე აზიაში გადასახლების თაობაზე – მოგვიანებით კი კავკასიაში ინდოევროპელთა წამყვანი როლის შესახებ. იგი წერდა – ათასწლეულების მანძილზე არ ყოფილა პერიოდი კავკასიაში, განსაკუთრებით კი მის ცენტრალურ ნაწილში, რომ აქ ინდოევროპული და ირანული მოდგმის ხალხებს არ ეცხოვრათ. მართალია, მიგრაციული პროცესების შედეგად ბევრი მაცხოვრებელი ტოვებდა სამკვიდროს, მაგრამ ირანულენოვანი ტომები მუდამ აქ რჩებოდნენ და ასე თუ ისე ინარჩუნებდნენ ეთნიკურ იერსახეს.⁶⁹ ყობანური კულტურის კუთვნილებას ინდოევროპული, კერძოდ კი ირანულენოვანი მოდგმის ხალხებისადმი, რომლებიც დღევანდელი ოსების უშუალო წინაპრებად გვევლინებიან, იზიარებს ბევრი ოსი მკვლევარი – მაგ. რ. გაგლოითი, ა. ჩოჩიევი და სხვები.

ქართველი არქეოლოგები სრულიად განსხვავებულ დასკვნებს აკეთებენ. ადრეული ბრინჯაოს ეპოქაში, საქართველოს ტერიტორიაზე და კერძოდ XX საუკუნეში წარმოქმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია არქეოლოგიურ კომპლექსთა ჯგუფი, არქეოლოგიური კულტურის წრე, ეთნიკური ატრიბუციისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

68 Техов Б.В. Центральный Кавказ в XVI-X вв.до н.э. М. 1977 , с. 190-215.

69 Техов Б.В. К Этнической принадлежности создателей кобанской культуры Центрального Кавказа// От скотов до осетин: Материалы по осетиноведению, М. 1994, с. 8-14.

იგი მტკავარ-არაქსის კულტურის სახელითაა ცნობილი. ეს კულტურა, რომელიც ძვ. წ. აღ IV ათასწლეულის მე-2 ნახევრიდან III ათასწლეულის მე-2 ნახევრამდე გრძელდება, შიდა ქართლის ტერიტორიაზეც მნიშვნელოვანი ძეგლებითაა წარმოდგენილი და გარკვეულ გენეტიკურ კავშირშია უფრო ადრე არსებულ არქოლოგიურ კულტურასთან.⁷⁰ ამ კულტურის შემქმნელთა ეთნიკური ვინაობის შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობს: მკვლევართა ნაწილი მაგ. ე. კრუპნოვი ამ კულტურის შემოქმედებს კავკასიურ იბერიულ სამყაროსთან აკავშირებს, სხვები (გ. მელიქიშვილი, გ. მაჭავარიანი) არ გამორიცხავენ მტკავარ-არაქსის კულტურაში ინდოევროპული ელემენტის მონაწილეობას. ო. ჯაფარიძის აზრით კი, ამ კულტურის შექმნაში კავკასიის მკვიდრი ქართული და ხურიტული ტომები მონაწილეობდნენ.⁷¹

ქართველ მკვლევართა თავალსაზრისით, ასევე გენეტიკურად კავშირშია შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩნდილი აღრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს არქეოლოგიური კულტურებინ. ნ. აფხაზავა სამეცნიერო ლიტერატურის, ლინგვისტური და არქეოლოგიური მასალის ანალიზისის საფუძველზე ასკვნის, რომ შიდა ქართლი (თავის მთიანეთიანად) აღრე და შუაბრინჯაოს პერიოდებში სრულიად ერთგვაროვანი მატერიალური კულტურით ხასიათდება და ეთნიკური სიტუაციაც აქ შედარებით სტაბილური უნდა ყოფილიყო.⁷²

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მკვლევარები არ უარყოფნ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული ინდოევროპული წარმომავლობის (სკვითების, კიმერიელების) მომთაბარე ხალხების ინფილტრაციას, მიაჩნიათ, რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ძოუხდებათ საქართველოსა და კერძოდ, შიდა ქართლში ეთნიკური სიტუაციის კონსტრუირებაში. ო. ჯაფარიძის დაკვირვებით, გვიანბრინჯაოს ხანიდან შიდა ქართლის მთისწინეთის ტერიტორიაზე "სმთავრული" კულტურის მომბლავრება შეინიშნება. ქარ-

70 ჯაფარიძე ო., საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა), თბილისი, 1991, გვ. 243-245.

71 აფხაზავა ნ., კულტურულ-ეთნიკური პროცესები შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უძველესი დროიდან გვან შუა საუკუნეებამდე (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), კრ. ოთა საკითხი, თბილისი,. 1995, გვ. 48.

72 იქვე, გვ. 49-56.

თველ მქონევართა უმეტესობა, არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალის, წერილობითი და ეპიგრაფიკული ისტორიული წყაროების შეჯერების გზით მივიდა დასკვნამდე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ XV საუკუნიდან IV საუკუნემდე და უფრო მოგვიანებითაც ძირითადად ეთნიკურად ერთი წარმომავლობის ხალხი, იძერები, ანუ ქართველები ცხოვრობდნენ.⁷³ უფრო მეტიც, არქეოლოგ ნ. აფხაზავას აზრით, უძველესი დროიდან (ადრებრინჯაოს ხანა) შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (სამხრეთ ოსეთი) კულტურულ-ეთნიკური პროცესები არქეოლოგიური მასალის მიხედვით უმთავრესად ადგილობრივი, შინაგანი, განვითარების გზით მიმდინარეობდა. ყოველგვარი ცვლილება აქ საერთო ქართველურ-კავკასიური "სცენარის" მიხედვით ხდებოდა.⁷⁴

ქართველ მეცნიერთა ზემოხსენებულ დებულებებს ამყარებს შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული ეპიგრაფიკული მასალა. ამ საკითხებს პუბლიკაციები მიუძღვნეს: მარი ბროსემ, პ. უვაროვამ, ე. თაყაიშვილმა, რ. მემფისაშვილმა, ვ. ცინცაძემ, ი. მეგრელიძემ, ნ. შოშიაშვილმა, გ. ოთხმეზურმა. ეწ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გვხვდება ძირითადი ეპიგრაფიკული მასალა, რომელშიც დაფიქსირებულია ქართული დამწერლობის ყველა ტიპი და ქართული წელთაღრიცხვისათვის დამახასიათებელი ყველა წესი.⁷⁵

კ. ხარაძე ხაზს უსვამს ოსთა საქართველოში ინფილტრაციის ძალადობრივ ხასიათს, მიგრაციის პირველივე ეტაპზე. იგი მიიჩნევს, რომ XIII საუკუნიდან XVII საუკუნის ბოლომდე ამ მიგრაციებს ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები თვით ზემო ჯავაშიც არ ყოფილა.⁷⁶

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან რადიკალურად შეიცვალა ოსი ავტორების დამოკიდებულება საქართველოში მა-

73 მუსხლეიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. 1, თბილისი, 1977, გვ. 70.

74 აფხაზავა ნ., კულტურულ-ეთნიკური პროცესები შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უძველესი დროიდან გვან შუა საუკუნეებამდე (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), კრ. ოსთა საკითხი, თბილისი, 1995, გვ. 87.

75 ოთხმეზური გ., შიდა ქართლის მთანეთის ეპიგრაფიკა, კრ. ოსთა საკითხი, თბილისი, 1995, გვ. 126-156.

76 ხარაძე კ., შიდა ქართლში ტოპონიმთა გაფალბების წინააღმდეგ, კრ. ოსთა საკითხი, თბილისი, 1995, გვ. 162.

თი წინაპრების მიგრაციის შესახებ. ახალი ჰიპოთეზის დასამტკიცებელი წერილობითი წყაროების სიმწირიდან გამომდინარე, იძულებული იყვნენ არქეოლოგიური მასალის თავისებური გააზრება მოეხდინათ და ოსთა ავტოქთონობის სამტკიცებლად ხელახალი კონცეპტუალური საფუძვლები გამოეძებნათ. ამისთვის მათ სრულიად აწყობდათ ტეხოვის ახალი თეორია ოსების ავტოქთონობისა და ორანულენოვანობის შეთავსების შესახებ. ამდენად, ოსები გამოცხადდნენ კავკასიის უძველეს ხალხად, ადგილობრივი ყობაანური კულტურის შემოქმედებად.⁷⁷ თუმცა, ოსი ავტორების ნაწილი იმ ხანებშიც რჩებოდა შედარებით ზომიერ პოზიციებზე და სამხრეთ ასეთს აღანთა სამეფოს იმ ნაწილად მიიჩნევდა, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში აღანთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ გადავიდა (გაგლოითი, ხოსტიკოვა).⁷⁸

კავკასიაში ოსთა ისტორიის დაძველების მიზნით ავტორები, ორანული მოდგმის ხალხების კავკასიის მთებში ინფილტრაციის პერიოდად ადრე რკინის ხანას მიიჩნევენ ი. გაგლოითი ეყრდნობა სტრაბონის ცნობას და აყენებს ჰიპოთეზას, რომლის თანახმად სარმატები კავკასიის ქედის სამხრეთით ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე განსახლდნენ და ცენტრალური და დასავლეთ კავკასიელ მთიელთა უმეტესობას სწორედ ისინი შეადგენდნენ⁷⁹. ამ თეორიული მონახაზის განმტკიცებას არქეოლოგიური და ლინგვისტური საფუძველიც ესაჭირობოდა. ამიტომ მეორე ოსმა მეცნიერმა ი. ძიძოითმა გადაწყვიტა სკვითების ენა ე.წ. ჯავის დიალექტთან დაეკავშირებინა, ხოლო ირონული დიალექტი – სარმატების ენისათვის. აქედან უკვე ერთი ნაბიჯი რჩება მტკიცებამდე, რომ ჯავური დიალექტის მატარებელი სკვითები შიდა ქართლის ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში გამოჩნდნენ, ხოლო შემდგომში მათ შეუერთდა მონათესავე ირონული დიალექტის მატარებელი თუალების (დვალების) და ჩისანების სამხრეთ ოსური ჯგუფები.⁸⁰

77 Чибиров Л.А. ред. Осетия и осетины, Владикавказ 1994.

78 Шнилерман В.А., Войны Памяти, М. 2003, с. 494.

79 Гаглоити Ю.С. Сарматы и Центральный Кавказ, С.44-46// Техов Б.В. этнической принадлежности создателей кобанской культуры Центрального Кавказа, от скифов до осетин Материалы по осетиноведению, М 1994 с. 4-20, 44-46.

80 Дзиццойты Ю. А. Диалектология и древняя история Южных Осетин, Гаглоити Ю.С. Сарматы и Центральный Кавказ, Тезисы докладов на конференцию по

გასული საუკუნის ბოლო ხანებში დაიწყო ახალი მითოლოგების შექმნის პროცესი ოსი ავტორების მიერ. ძალიან რთულია ბოლო ხანების რუსულენოვან გამოცემებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ისტორიის შესახებ მეცნიერება ეწოდოს, რადგან უარყოფილია მეცნიერული არგუმენტაციის და ლოგიკური აზროვნების ელემენტარული ნორმები. ამგვარ "კვლევათა" წიმუშს წარმოადგენს ყოფილი ეთნოგრაფის ა. ჩოჩიევის ნაშრომები. ჩოჩიევმა მიზნად დაისახა შექმნა არგუმენტები ოსთა კავკასიასა და საქართველოში ავტოქთონობის დასამტკიცებლად და უზრუნველეყო ამ თეორიისადმი რუსეთის ნაციონალისტურ-რადიკალური წრების მხარდაჭერა. ამ მიზნით მან შექმნა "ას-ალანების არიული იდეოლოგიის" პოსტულატები, რომელთა მიხედვით, ოსები უძველესი "არიის" შთამომავლები არიან. სწორედ ამ "არიულ ქურუმთა" წრიდან იყო გამოსული კიევის რუსეთის დამაარსებლი ოლეგ რიურიკი. უფრო მეტიც, სწორედ ას-ალანებმა დაარსეს ქალაქები კიევი და მოსკოვი, ე.ი ფაქტიურად შექმნეს რუსული სახელმწიფო.⁸¹

ცხინვალი გამოცხადდა არიების უძველეს საკულტო ქალაქად და რელიგიური პროცესების ეპიცენტრად. სწორედ ოსეთის მთებში იყო განმარტოებული იესო ქრისტე, ოსების წინაპრები იყვნენ პირველი მონოთეისტები, ხოლო ნართიადა, "ას-ალანების ბიბლია", არის უძველეს ნაწარმოები, რომელთანაც ავესტა შხოლოდ "უმცროსი დაა". ას-ალანები, რა თქმა უნდა, წარმოგვიდგებიან ცივილიზაციის საუძღვლის ჩამყრელად და ლეგნდარული ატლანტიდის დამფუძნებლებად. ბუნებრივია, ასეთი გაქმნების ხალხი მხოლოდ ცხინვალის რეგიონში ვერ მოთავსდებოდა და ამიტომ ჩოჩიევსა და მის მიმდევრებს ას-ალანების სამშობლო საქართველოში ეგულებათ. საქართველოს სწორედ ას-ალანების დინასტია მართავდა, საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება უამრავი "არიული" სახელწოდება, ხოლო ქართული ისტორიული წყაროები ნართიადის გვიანდელ გადამლერებას წარმოადგენს ამ ტერიტორიის გაქართველება მოგვიანებით IV-XIII საუკუნეებში მოხდა.⁸²

осетиноведению, под редакции Магомедова А.А., Владикавказ, 1994, с. 58-59.

81 Шнилерман В.А., Войны Памяти, М. 2003, с. 495.

82 Шнилерман В.А., Войны Памяти, М. 2003, с. 497-498; ЧочиевА. Нарты-арииаийская идеология, М., Акалис, 1996 г.; ЧочиевА. Нарты-арииаийская идеология, Кн.2, М., Акалис, 2000.

ამ ფონზე თითქოს უფრო ზომიერი ჩანს რუსულენოვან სამეცნიერო სივრცეში ძალზე პოპულარული მკვლევარი, მარკ ბლიევი, რომელიც იზიარებს ყობანური კულტურის ეპოქაში კავკასიაში ინდოევროპელთა, კერძოდ კი, სკვითების საყოველთაო ბატონობის თეორიას. იგი ოსებს და, მათ შორის საქართველოში დამკვიდრებულებსაც, სწორედ ამ სკვითების შთამომავლებად მიიჩნევს.⁸³ ანტიკურ ხანაში ქართულ-სკვითური გაერთიანებების განხილვისას მ. ბლიევი იმოწმებს სტრაბონის ცნობას და აცხადებს, რომ ქართველ წარჩინებულთა უმეტესობას ოსური წარმომავლობა ჰქონდა; ოსთა დახმარებით გაიმარჯვეს ფარნავაზმა და ქუჯიმ; ოსები ბატონობდნენ საქართველოში ვახტანგ გორგასლის გამეფებამდე; იგი საუბრობს ქსნის ერისთავების ოსურ წარმომავლობაზე, დავით სოსლანის მიერ ფაქტობრივად ოსური სახელმწიფოს შექმნაზე და ა.შ. ერთი სიტყვით, ოსური ეთნიკური ელემენტი აღმოსავლეთ საქართველოში ყოველთის არსებობდა და ისტორიის გადამწყვეტ მომენტებში წამყვან როლსაც ასრულებდა. მოგვიანებით, ბლიევის თეორიით, აღ. საქართველოში ჩამოყალიბდა ირანული ტიპის ფეოდალიზმი, რომელიც თავისი დესპოტური ხასიათის გამო მიუღებელი აღმოჩნდა მეზობლად მცხოვრები სამხრეთ ოსებისათვის. ამიერიდან, ქართული წარმომავლობის ფეოდალები მუდმივად ცდილობდნენ ოსი ხალხის დაკაბალებას⁸⁴ (ბლიევი, 2006: 19-25). საინტერესოა რა არგუმენტაცია გააჩნია ოს მეცნიერს ზემოხელნებული დებულებების დასამტკიცებლად?! ბლიევი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თემის პოლიტიკური სიმწვავის, საქართველოში არასტაბილური მდგომარეობისა და ექსტრემიზმის გავრცელების საფრთხის გამო, შიშობს არ განადგურდეს საქართველოში დაცული ისტორიული წყაროები და ამის გამო უარს ამბობს ზუსტ ციტირებაზე, მთაქვს მხოლოდ იმ წყაროებისა და ლიტერატურის სია, რომლებზე დაყრდნობითაც შექმნა ნამრობი “Стоит отметить также, что из-за политической остроты темы, нестабильности обстановки и распространенности экстремизма в Республике Грузии автор, опасаясь за сохранность ценнейших грузинских

83 Блиев М. Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений, М.2006, с. 11.

84 Блиев М. Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений, М.2006, с. 19-25.

документов, воздержался от подстрочных ссылок на источники; вместо них приведен библиографический список источников и литературы, на основе которых исследовалась проблема.”⁸⁵

ხსენიულ ნაშრომებს, როგორც წესი, სხვა ოსი ავტორები იმოწმებენ და იქნება შთაბეჭდილება, რომ ახალ ნაშრომს სოლი-ლური სამეცნიერო აკადემიური განჩნია. მაგალითად 2007 წ. გამოცემული წიგნის, “სამხრეთ ოსეთი ქართულ-ოსური ურთიერთობების პერსპექტივაში”, რეცენზირებისას რ. ძიძათი წერს – “Особым достоинством работы следует считать обширный научный аппарат, выгодно выделяющий её из изданий подобного рода.”⁸⁶ ხსენიული წიგნის ავტორებს კი ამბიციური პრეტენზია აქვთ, – “გა-ასწორობ საუკუნეების მანძილზე ქართველ მეცნიერთა მიერ გაყალბებული ისტორია – “Оказывается, редкие грузинские историки не подверглись искушению переиначить факты и события из истории Южной Осетии. Ладно, можно еще как-то по-своему интерпретировать совсем ясные письменные свидетельства древних авторов, ссылаясь на неточность переводов и прочее, но если уж и археологический материал фальсифицировано переиначивать, то это уже делоне исторической науки, а человеческой, связанной со здоровьем.” ავტორები აპრიორად ღებულობენ ყობანური და თლიის კულტურების ოსურ წარმომავლობას და აღან-ოსების კავკასიური ავტოქთონობის საკითხს გადაწყვეტილად თვლიან. შესაბამისად საუბრობენ მხოლოდ ერთი ქვეყნის, ოსეთის, შეგნით მიძინიარე მიგრაციაზე. ქვეყნის გარეთ, საქართველოში, მიგრაცია კი მიძინიარეობდა ძირითადად გაუკაცრილებული კახეთისა და ქართლის სოფლების აღმოჩინებისათვის. По _ “мигрантов (подчеркнем — внутренних) была наиболее массовой и запомнившейся, и на эту миграцию и ссылаются чаще всего грузинские историки, вот, мол, когда появились на юге осетины, причем, одни говорят о XIII-XIV вв., а другие — о XVII-XVIII вв., а в глубь веков смотреть

85 Блиев М. Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений, М.2006, с.9.

86 Дзаттиати Р. Г. , «Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений» (отклик), Республикаанская общественно-политическая газета «Южная Осетия» 3 мая 2008 г.

не хотят, не считают нужным".⁸⁷ Амгвари დამკიდებულება არცაა საკვირველი თუ გავითვალისწინებთ, ოსური ისტორიოგრაფიის "წიაღსვლების ევოლუციას" ბოლო ოცწლეულში და გავიხსენებთ, რომ ხსენებული წიგნი ე.წ.სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ე. კოქიოძმა დაუკვეთა.

2013 წელს ქალაქ ვლადიგავკაშში გამოვიდა ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი, რომლის შედგენაშიც მონაწილეობა მიიღო რუსული აკადემიური წრეების 30-ზე მეტმა წარმომადგენელმა. გამოცემას ხელმძღვანელობდა ლუდვიგ ჩიბიროვი. ენციკლოპედიაში შევიდა 4500 სტატია (სიტყვანი).⁸⁸ ძალიან მცირე ტირაჟის გამო (600 ერთეული) ეს გამოცემა იმთავითვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. როგორც რ. ოოფზიშვილი წერს სხენებული გამოცემისადმი მიძღვნილ სარეცენზიო ნაშრომში, ცალკეული საენციკლოპედიო სტატიები აგრძელებს ქართულ-ოსური ურთიერთობის ტენდენციურად წარმოჩნდას და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, ისტორიული წყაროების და სხვა მონაცემების ცალმხრივად შერჩევით ან სრული იგნორირებით ცდილობს განიხილოს საქართველოში ოსთა მიგრაციის, დვალთა ეთნიკური კინაობის, კავკასიაში აღანთა ბინადრობის, მათი ეთნოგრენეზის და ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიის საკითხები.⁸⁹

ობიექტურობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ უზუსტობების-
გან არც საქართველოში გამოცემული ნაშრომებია დაზღვეული.
ცალკეული პრობლემების კვლევა ზოგჯერ ცხარე კამათისა და
ხანგრძლივი დისკუსიის საგანი ხდება. თუმცა ჩვენი სახელმწიფო
პოლიტიკის ძირითადი მიმართულება, საზოგადოების კონ-
სოლიდაცია და განსხვავებული ჯაფუფების ერთიან სახელმწიფო
ორგანიზმი ინტეგრაცია, უაზროს ხდის საქართველოს ტერი-
ტორიაზე ცხოვრებისათვის ავტოქთონობის თემით სპეციალირებას.
ამის გამო ხსენებული საკითხების კვლევას ძირითადად სამუცნი-
ერო ინტერესი განაპირობებს და დისკუსიებიც იშვიათად სცდება
აკადემიურ სფუროს.

87 *oɔ̄ʒə*.

88 <http://vncran.ru/news/1/341/>.

89 ოოფზიმებილი რ., „ოსური ენოგრაფიული ენციკლოპედია” ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტენტსტში, თბილისი, 2016.

თავი II

ქართულ-ოსური ურთიერთობის ეთნოკულტურული დისკურსი

§1. ყაზბეგის რეგიონის ოსური მოსახლეობის მიგრაციის
ეკონომიკური და ეთნოპოლიტიკური ფაქტორები

XX საუკუნის ბოლოს განვითარებული სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები განსაკუთრებით მტკიცნეულად შეეხო რუსეთთან მოსაზღვრე საქართველოს რეგიონებს. მოსკოვი მოხერხებულად მანი პულირებდა სამხედრო, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ბერკეტებით, რაც ზოგან (აფხაზეთში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში) ღია კონფლიქტში გამოიხატება, ზოგან საზღვრის ძალადობრივ კორექტირებაში, ზოგან კი რუსეთის მოქალაქეთა ხარჯზე (ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის პასპორტების დარიგებით) საკუთარი გავლენის გაზრდაში. იმავდროულად, არასტაბილური სიტუაციის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი სამხედრო შეტაკებების, მძიმე ეკონომიკური კრიზისის და მწვავე კრიმინოგენული ვითარების გამო, კონფლიქტის ზონებსა და მის მეზობელ რაიონებში მრავალი ოჯახი აიყარა საცხოვრებლიდან.

მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა დღევანდელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტშიც, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას (ჩრდილოეთ ოსეთს). საქართველო-რუსეთის საზღვრის ამ მონაკვეთზე მდებარეობს ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი. სხვადასხვა ფაქტორების გამო აქაც ინტენსიური იყო მოსახლეობის გადინება, ჩრდილოეთ ოსეთში. მთლიანად დაიცალა ოსებით დასახლებული თრუსოს ხეობა, ბევრი ადამიანი მიდის ხევის სოფლებიდანაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ბოლო ხანებში რუსულ//ოსური და ქართული საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში მოექცა გასული საუკუნის 90-იან წლებში ყაზბეგის რაიონიდან მოსაზღვრე ჩრდილოეთ ოსეთში (რუსეთის ფედერაცია) გადასული ოსები და მათი დაცლილი სოფლები. ე.წ. ოსური

მხარე (დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები, ცალკეული მეცნიერები და უკრნალისტები) აცხადებს, რომ "ცხინვალის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიები, ოსი ხალხის საკუთრებაა და საქართველოსგან ოკუპირებულ ამ მიწებსაც გაანთავისუფლებენ"; "სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხის გადაჭრის შემდეგ, დადგა დრო ყაზბეგის საკითხიც გადაწყდეს",⁹⁰ რომ "თრუსოსა და ღუდის ხეობები, ასევე კობის ქვაბული, რომელიც "ამჟამად ყაზბეგის რაიონის, ანუ საქართველოს შემადგენლობაშია და 54 კილომეტრით არის დაშორებული ვლადიგავკაზიდან, ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაა, რომელიც სტალინმა 1922 წელს საქართველოს უკანონოდ მიუერთა".⁹¹ მეორე მხრივ, ქართული მედიის წარმომადგენლები და ცალკეული ექსპერტები თვლიან, რომ ყაზბეგის რეგიონი ფეთქებადსაშიშ ადგილად იქცა, სადაც მოსალოდნელია რუსეთის ახალი აგრძესია აქედან "დევნილი" ოსური მოსახლეობის დაბრუნების საბაბით.

საკითხს კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შესძინა პოლიტიკურმა (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივის გაურკვევლობა), სასაზღვრო (რუსულ-ქართული საზღვრის დემარკაციის ჩიხური ძღვომარეობა, პროვოკაციები ამჟამად მოქმედ რუსეთთან დამაკავშირებელ ერთადერთ საბაზო-გამსვლელ პუნქტ ლარსზე), ეკოლოგიურმა (ლარსიკესის მშენებლობა, მაღალი ძაბვის ელექტრონერგიის ხაზის გაყვანა, დევლორაკის მეწყერი, ტრავნებინების საკითხი და ა.შ) და ეკონომიკურმა (მეურნეობის დარგების რადიკალური ტრანსფორმაცია, ყაზბეგის რაიონიდან შრომითი მიგრაციის მაღალი დონე რუსეთის ფედერაციაში, ახალი საბაგირო გზის მშენებლობა სოფ. კობიდან გუდაურისკენ და ა.შ.) ასპექტებმა.

რუსულ პოლიტიკოსები განვითარება, რომ უახლოს მომავალში ცენტრალურ საქართველოში ოსური პოლიტიკური ერთეულის გაფართოების გზით (იგულისხმება ყაზბეგის რაიონის

90 Козаев Сармат, Вопрос Восточной Осетии не снимается с повестки дня, <http://osradio.ru/obshestvo/91476-obshestvo.html>; Чернов Михаил, Границы Осетии должны быть пересмотрены, <http://expert.ru/2013/08/21/granitsyi-osetii-dolzhnyi-byit-peresmotreny/voskanapat.info>

91 Туаева А. Трусовское ущелье. почему оно за границей?- ინტერნეტვერსაა; [http://iratta.com/materials/sovremenost/48-trusovskoe_ushhele_pochemu_ono_za_granicjej.html](http://iratta.com/materials/sovremennost/48-trusovskoe_ushhele_pochemu_ono_za_granicjej.html)

და “თრიალეთის” (?ლ.ჯ.) ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიერთება) რუსეთი უშუალოდ დაუკავშირდეს სომხეთს (ამგვარი ინსინუაცია გაუგებარია საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიაში ზერელედ ჩახედული ადამიანისათვისაც კი. ორგორც ჩანს, ჩერნოვი გულისხმობს შიდა ქართლის რაიონების მთლიანად ოსებისათვის გადაცემას ლ.ჯ.)⁹². ამ იდეის “ისტორიული არგუმენტაციისათვის” დღის წესრიგში დადგა ახალი ფსევდომეცნიერული მაკულატურის მიმოქცევაში შემოტანის საჭიროება. ზემომოტანილი ჟურნალისტური ნაცოდვილარი კი ერთგვარი ნიადაგის შემზადების მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. ნათქვამიდან გამომდინარე, საინტერესოა ორგორია რეალური ისტორიული, სოციალ-პოლიტიკური, ეთნოგრაფიული თუ ფსიქოლოგიური ფაქტორების კორელაცია ჩრდილოეთ ოსეთში გასული მოსახლეობის იმიგრაციასა და დაბრუნების პერსპექტივასთან.

თერგის ზემო წელი (დღევანდელი თრუსო) გვიან შუა საუკუნეებში (XVII-XVII სს) დვალური და ოსური ჯგუფების ინტენსიური ურთიერთობის ადგილს წარმოადგენდა. ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ ოსების დასახლებამდე თრუსოში ძირითადად დვალები ცხოვრობდნენ, რომლებიც ოსთა მოწოლის შედეგად თანდათანობით თერგის დინების მიმართულებით დაბლობისაგან ინაცვლებდნენ.⁹³ მათი ნაწილი კი ასიმილირდებოდა. ოსებისა და დვალების სხვადასხვაობას ადასტურებს შუა საუკუნეების სომხური წყაროებიც.⁹⁴ ვახ. ითონიშვილი ოსების მიერ დვალების განდევნას შეეხო და თრუსოში ჩაწერილი ერთი გადმოცემა დაიმოწმა. ამ გადმოცემით თერგის სათავეში მცხოვრები ხალხი, შედარებით გვიან მოსულმა ოსებმა “ჯოხებით გადალალუს”⁹⁵ ანალოგიური მასალის ჩაწერა ჩვენც მოვახერხეთ სოფ. კობში. აქ მცხოვრებ ოსებში კარგადაა შემორჩენილი გადმოცემები მათი წინაპრების რეგიონში დამკვიდრების, ცალკეული გვარების სხვადასხვა სოფლებში განსახლების და მათ ჩამოსახლებამდე აქ სხვა ეთნიკუ-

92 Чернов Михаил, Границы Осетии должны быть пересмотрены, <http://expert.ru/2013/08/21/granitsyi-osetii-dolzhnyi-byit-peresmotrenyi/voskanapat.info>

93 თოფჩიშვილი რ., მოხური გვარსახელები, თბილისი, 1998, გვ. 11.

94 თოფჩიშვილი ვახ. აღმოსავლეთ საქართველოს მთანენის ისტორიადან, თბ., 1992, გვ. 94.

95 თოფჩიშვილი ვახ. აღმოსავლეთ საქართველოს მთანენის ისტორიადან, თბ., 1992, გვ. 51.

რი ერთეულების ცხოვრების შესახებ (იხ. ფილმი “ოსები ყაზბეგის რეგიონში”). ამ მოვლენების შესახებ საინტერესო მასალას იძლევა, ასევე, ხევის მოსახლეობის გვარსახელების ანალიზი.⁹⁶

საველე-ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, რომ ყაზბეგის რეგიონიდან მოსახლეობის ჩრდილო ოსეთში გადინება 1944 წელს დაიწყო. მრავალი ოსური ოჯახი გადავიდა ვლადიკავკაზის მიდამოებში სტალინური რეჟიმისაგან დეპორტირებული ინგუშების ნასახლარებზე. ეს პროცესი შემდეგ წლებშიც გაგრძელდა, ჩრდილოეთ ოსეთთან გაადვილებული კომუნიკაცია, ეკონომიკური სარგებელი, შედარებით ხელმისაწვდომი განათლება, ახლო ნათესაური და მეგობრული კავშირები ზრდიდა არა მარტო ოსების, არამედ მოხევეების (ყაზბეგის რ-ნის მკვიდრი ქართველების) ჩრდილოეთისაკენ ლტოლვას. აღსანიშნავია, რომ ოსთა ნაწილი სამხრეთით, საქართველოს ბარის სოფლებსა და ქალაქებშიც მკვიდრდგბოდა. მიგრაციულ პროცესს აძლიერებდა თრუსოს ხეობის მკაცრი გარემო პირობები და გაუმართავი ინფრასტრუქტურა.

სამეცნიერო ლიტერატურასა და საკვლევ რეგიონში მოპოვებულ საველე-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება გამოიყოს ოსური იმიგრაციის განმსაზღვრული ეკონომიკური, პოლიტიკური და ეთნო-კულტურული ფაქტორები.


ტრადიციულად ხევში ეკონომიკის ძირითად დარგებს მესაქონლეობა (მოგვიანებით უფრო მეცხვარეობა) და მიწათმოქმედება წარმოადგენდა, მესაქონლეობის უპირატესობით. რუსეთის საქართველოში გაბატონებამდე ამ რეგიონში ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მონაცემლეობა არ დასტურდება. ამის მთავარი მიზეზი საზამთრო საძოვრების ძნელადმისწვდომობა იყო. კახეთის ველებზე მოხევეები კონკურენციას ვერ უწევდნენ კახელებთან მჭიდრო სამეურნეო კონტაქტში მყოფ თუშებს, ხოლო ქართლის ზამთრის საძოვრებზე მთისწინა ზოლის მოსახლეობას.⁹⁷ ბაგურ კვებაზე დიდი რაოდენობით ცხვრის შენახვა ყოვლად შეუძლებელია, ამი-

96 თოვზიშვილი რ. მოხეური გვარსახელები, თბილისი, 1998; ჯალაბაძე გ., მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ჭ. 22-II, თბილისი 1961.

97 იოონიშვილი ვ. მოხვევების ყოფა-ცხოვრება, თბილისი, 2015, გვ. 43-44

ტომ თუ ოჯახს ორ ათეულ სულზე მეტი ცხვარი ჰყავდა უკვე ბართან კავშირზე უნდა ეზრუნა.⁹⁸

რეგიონის ტრადიციულმა სამეურნეო სისტემამ XIX საუკუნის ბოლოს ორი ძლიერი დარტყმა განიცადა. ერთი, როდესაც ჩრდილოკავკასიის ზამთრის საძოვრები ხელმისაწვდომი გახდა, რამაც წვრილფეხა მესაქონლეობის (მეცხვარეობის) პერსპექტივა შეუდარებლად გაზარდა. მეცხრამეტე საუკუნის 70-80-იანი წლებიდან ხევისა და ორუსოს მოსახლეობამ, ფართოდ აითვისა ჩანჩეთისა და ყიზლარის ზამთრის საძოვრები სადაც ცხვარს ოქტომბრიდან აპრილის ბოლომდე ამყოფებდნენ. ამასთან, კაპიტალისტური ურთიერთობის თანდათანობით განვითარების გამო, მეცხვარეობა ვიწრო შინამოხმარების ჩარჩოებიდან გამოდიოდა და სამრეწველო ორომტრიალში ებმებოდა. მისი ხვედრითი წილი ადგილობრივ ეკონომიკაში განუზომლად იზრდებოდა და მთელ სამეურნეო ინტერესებს იქვემდებარებდა; მეორე კი, XIX საუკუნის მიწურულს კარტოფილის კულტურის გავრცელებას უკავშირდება. უკვე XX საუკუნის პირველ მეოთხედში კარტოფილმა აქაური სახნავ-სათესი მიწების ძირითადი ნაწილი დაიჭირა.⁹⁹



ჩრდილოკავკასიის საძოვრებზე ცხვრის გარეკვა ოსებმაც და-იწყეს, მაგრამ ისინი მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

98 ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 224.

99 ჯალაბაძე გ., მიწათმოქმედება თერვის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. 22-II, თბილისი 1961, გვ. 201-202.

როდესაც ცხვარი ყიზლარში გამოაზამთრეს, აღმოჩნდა რომ ბევრი პირუტყვი დაუკავადდათ და საკმაო ზარალიც ნახეს. ცხვრის ავადმყოფობის მიზეზად ადგილობრივები თვლიან იმას, რომ უფრო თხელმატყლიანი ოსური ჯიშის ცხვარი სიცივეში, ღია საძოვარზე, უფრო ადგილად ავადდებოდა. ამის შემდეგ თრუსოელ ოსებს თუშური ჯიშის ცხვრის მოშენება დაუწყიათ და ზოგჯერ ერთ ცხვარში ორ ცხვარსაც ცვლიდნენ. ოსების მეცხოველეობის პროდუქტების შემსყიდვები ძირითადი პუნქტი XX საუკუნის 30-იან წლებამდე ფასანაური ყოფილა.¹⁰⁰

1944 წელს ოსთა ნაწილის ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლების შემდეგ გარკვეულად შეიცვალა სიტუაცია თრუსოს ხეობაში. დაიწყო ხეობის დაცარიელება. ამიერიდან, აქაურებისათვის ხეობამ მხოლოდ ზაფხულობით, საზაფხულო საძოვრის ან სააგარაკო ფუნქცია შეიძინა. მოსახლეობის მეორე ნაწილს კი, რომელიც ადგილზე დარჩა, ჩრდილო კავკასიაში გაუჩნდა მრავალრიცხოვანი სანათესაო, სადაც ყოველთვის შეეძლო განათლების მისაღებად ახალგაზრდების გავზავნა, სამსახურის შოვნაში შემწეობის მიღება ან უბრალოდ, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის გადასვლა. ამ ვითარებაში გამონთავისუფლდა ბევრი შენობა-ნაგებობა და კოლმეურნეობებს საშუალება მიეცა მათვეის უკვე ახალი ფუნქციები დაეკისრებინა. მაგ. გაზეთ “ახალ ხევში” წავაწყდით ცნობას, რომ 1945 წლის 9 მაისს “სოფელ აბანოში (თრუსოს სასოფლო საბჭო) ამუშავდა ყველ-კარაქის დამამზადებელი ქარხანა. მანამდე ქარხნის ბინა ზამთრის პერიოდში გამოყენებული იყო საქონლის სადგომად, რამაც შენობის შიგნით და გარეთ უსუფთაობა გამოიწვია, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.”¹⁰¹

სოფ არშის მკვიდრი ხანდაზმული მოხევე ასე იხსენებს 1944-56 წლების პერიოდის: “ქისტები რომ გადაასახლა სტალინმა, მათ ადგილას აქედან გადასახლდნენ ოსები და მოხევეებიც. ერთი ნაწილი ჩვენ მოგვცეს საქართველოს და ყაზბეგის რაიონს. აი, სანებას ვეძახით, ქლუხორის რაიონი რო გააკეთეს. როცა მოვიდა ეს ხრუშხი, მოუვლინა ბატონ-პატრონად საბჭოთა კავშირსა.

100 იქვე, გვ. 229.

101 „ახალი ხევი“, 1945 წ, 25 მაისი.

სტალინის კულტობაც მაგან გამაცხადა და ეს ხალხიც (ჩეჩნები, ინგუშები და ა.შ. ლ.ჯ.) დააბრუნა თავ-თავის აღვილას. ინგუშეთში გადასული ქართველები დაბრუნდნენ უკან, მაგრამ ოსები დარჩნენ იქ. მაგენთან (ოსებსა და ინგუშებს გულისხმობს ლ.ჯ.) სულ დავა იყო, სულ მკვლელობები მიღიოდა. ჩვენი ხალხი რო წამოვიდა მან-დედან ჭკვიანად, წენარად დაუტოვეს ყველაფერი. ზოგ ს ხმო, ქათმები, ცხვარი, ღორი, ღოღინები დაუტოვეს, ავეჯი. ხოდა სულ პატივს სცემდნენ ჩვენს ხალხს, ქისტები. ოსები არ გამოდიოდნენ, სულ ჩხუბი და ამბავი იყო და რომ ვერა და ვერ გამაპყვანდნენ მომენტში შაიძლება მოჰკვლავდნენ. იქიდან არის მაგათ შორის ეს მტრობა”.

ოსების გასახლებას არ გამოუწვევია ყაზბეგის რეგიონის მე-საქონლეობის დაკინიება. პირიქით. ამგვარი სიტუაცია ხელსაყრელიც კი იყო მეცხვარეობის გაფართოებისათვის. მეცხვარეობის ხედრითი წილი ამ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა. ოჯახის ძირითადი შემადგენლობა შეიძლებოდა ჩრდილო ოსეთში ყოფილიყო, მაშინ როცა კოლმეურნეობებში დასაქმებული ოსი მწყემსები საკოლმეურნეო ფერმების და კერძო მეურნეთა საკუთრებაში მყოფ ცხვრის ფარებს ზაფხულში ყაზბეგის რაიონის მთის ფერდობებზე აძოვებდნენ, ზამთარს კი ჩრდილოეთის ველებზე ატარებდნენ. მესაქონლეობიდან მიღიბული შემოსავალი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1953 წლიდან, როდესაც კოლმეურნეები გადასახადების ნაწილისაგან გაანთავისუფლეს, ხოლო მატყლისა და ხორცის სახელმწიფო შესყიდვის ფასები გაზარდეს.¹⁰² თუმცა, იმავდროულად, მოიშალა ტრადიციული სავაჭრო სისტემა, თუ ადრე ოსები, როგორც კერძო პირები, მეცხოველეობის პროდუქტს საქართველოში (ძირითადად ფასანაურში) ასაღებდნენ, ამიერიდან მას სახელმწიფო იბარებდა. ამასთანავე შემცირდა სამურნეო კონტაქტები ოსებსა და მოხევეებს შორის. კომპაქტურად დასახლებულ ოსურ სოფლებში საკოლმეურნეო საქმიანობაში ჩაბმული რიგითი ადამიანებიც და ხელმძღვანელობაც ადგილობრივი ოსები იყენენ, მათ აღარ ჰქონდათ მეზობელ ქართველებთან წინანდებურად ხშირი ურთიერთობა.

ჩრდილოეთ ოსეთთან გაადგილებული კომუნიკაცია, ეკონომიკური სარგებელი, შედარებით ხელმისაწვდომი განათლება, ნა-

102 იონიშვილი ვ. მოხვევების ყოფა-ცხოვრება, თბ. 2015, გვ. 58.

თესაური და მეგობრული კავშირების ინტენსივობა ზრდიდა არა მარტო ოსების, არამედ მოხევეების ჩრდილოეთისაკენ ლტოლვას. შედეგად ორჯონიკიძეში (დღევანდელი ვლადიკავკაზი) შეიქმნა ქართველების საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგად ინტეგრირებული დიასპორა, რომელიც დღემდე არსებობს.

“ორჯონიკიძეში ბევრი მთიული და მოხევე ცხოვრობს. ზოგს ორმაგი პასპორტი აქვს, აქეთ ვიზა არ სჭირდებათ ჩვეულებრივად შემოდიან. ვისაც არა აქვს ვიზა სჭირდება. კარგობა იყო ჩვენთანა ჩვენი ხალხი მიდიოდა მოდიოდა. ერთმანეთის პატივისცემა იყო. ეხლაც არის ეგრე. უკეთესი პირობები ჰქონდათ იქა, კარგი ხელფასები და წავიდნენ. აქ რა პირობებია. აქ არ არის არაუერი, ვისაც აქვს თანხა სასტუმროებს აკეთებენ. თუ ფული გაქვს ფერმებსაც გააკეთებ და ყველაფერსაც, რა პრობლემაა. აქაური, კობის ოსები იმიტომ წავიდნენ, რომ აქ იყო გაუსაძლისი პირობები. ზამთარია მყაცრი, გ თვე ზამთარია. თავიანთი სამშობლო იქ იყო, იქიდან მოსულები და წავიდნენ” - ამბობს შეა ასაკის სოფ. ყანობის მკვიდრი.

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებში 1970-80-იან წლებში დაახლოებით 130-140 ათასი ცხვარი და თხა ჰყავდათ¹⁰³. ცხვრის ფარების სიმრავლით გამოირჩეოდა სოფ. კობის კოლმეურნეობა, სადაც გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის თრუსოს ხეობის სოფლებიც შედიოდა. იგი რეგიონში ერთ-ერთ ეკონომიკურად მძლავრ სასოფლო-სამეურნეო არტელად ითვლებოდა. მის სიმდიდრეს შეადგენდა 30 000 სულამდე ცხვარი და თხა.¹⁰⁴ ამ დარგის განვითარებას ხელი შეუწყო ე.წ. გაპიროვნების სიტემაზე გადასვლამ, როდესაც ცალკეულ მწყემსს 1500- 2000 ცხვარს უპიროვნებდნენ.¹⁰⁵

გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, ყაზბეგის რეგიონის ოსური მოსახლეობა დილემის წინაშე დადგა. ან უარი უნდა ეთქვა რუსეთში ცხოვრებაზე და ყაზბეგის რეგიონის საკმაოდ მწირი

103 გაზ. „დარიალი“ 1989 წ. 19 იანვარი.

104 გაზ. „დარიალი“, 1973, 22 ნოემბერი.

105 გაზ. „დარიალი“, 1989, 24 იანვარი; გაზ. „დარიალი“, 1989, 26. იანვარი; გაზ. „დარიალი“, 1989, 2 თებერვალი.

ეკონომიკური რესურსების იმედად დარჩენილიყო, ან საბოლოოდ გადასულიყო საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციაში. ორივე შემთხვევაში მოუწევდათ ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სამეურნეო სისტემაზე უარის თქმა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ორი სახელმწიფოს საზღვარზე ცხვრის ფარების მოძრაობა ძალიან დიდ მატერიალურ ხარჯებსა და ბიუროკრატულ ბარიერებთან იქნებოდა დაკავშირებული. თავისებური დაღი დაასვა რეგიონს 90-იანი წლების საყოველთაო განუკითხაობამ. გახშირდა ცხვრის ფარების მიტაცებისა და მეცხვარეთა დაყრჩალების შემთხვევები. ამ როგორ აღწერს ამ სიტუაციას ჩვენი ხანდაზმული მოხარულები, რომელიც 80-იანი წლების ბოლოს სოფ. კობში ბუღალტრად მუშაობდა.

“ბოლო წლებში შემოღომის მატყლი 12 მანეთი და 80 კაპიკი ღირდა, ერთი ტომარა პირველი ხარისხის თეთრი 50 კილო-იანი ფქვილი კი – 13 მანეთი. ბოლოს ისე მიიტანეს საქმე რო ერთი ტონა მატყლი ვეღარ ვაჭრობდა ერთ ტომარა ფქვილსა. ინახა ხალხმა მატყლი, ინახა, გაუჩნდა მატლი და გადაყარა. მემრე თათრები მოვიდნენ, თათრებში გაპქონდათ. როცა გადასაყრელი იყო კაპიკებად მიპქონდათ და გაპქონდათ თურქეთში. კოლმეურნეობა რო დაიშალა აორთქლდა ეს ცხვარი, ოსებშიც გადარეკეს. მოიტაცეს, მოიპარეს. თვითონ ჩვენმა ხალხმავე გააფუჭა საქმე. აღვირახსნილი ბანდიტები დადიოდნენ, მწყემსებს თავის ხელით ჩაატვირთონებდნენ. კარგი ცხორი, კარგი თხა მაიპარიან, არადა ავტომატებით ადგნენ, არაფერი არ განაწილებულა კომლებზე. ერთადერთი მღეთას განაწილდა. იქაც 13-14 სული ერგოთ. ეხლა როგორი მოტივი მოუნახეს - ესენი ხო იტაცებდნენ ან გაყიდდნენ სასწრაფოდ ან თავის სერზე გადასერდნენ და. 2-3 ბრივადა იყო ვინც მაგრა მოიქცა და შეინახა ცხორი. ჩვენი კოლმეურნეობიდან 2500 სული ცხორი გადაიყვანეს ოსებმა. დამტე დეკცნენ მწყემსებსა და გადარეკეს. მამრე იქიდან ერთი მწყემსი როგორდაც ჩამოვიდა კობში, დაუკავშირდნენ ვერტალიოტით გამაედევნენ, მაასწრეს, ცოტადა უნდოდათ ერთი 100 მეტრი და შეიმალებოდნენ ტყეში. მაასწრეს ვერტალიოტით. ეს ბანდიტები ჩაყარეს გალიებში და ცხორი დაბრუნეს. ოსები იყვნენ. პულიმიოტი პქონდა ერთსა.

ეს ერთი ფარა ვერ წაიყვანეს. მემრე მეორე პარტია გადაიყვანეს ჩემი ცხორიც მაჰვა იმაში. ერთი 40-44 სული მყვანდა. გადარეკეს, წავიდა და წავიდა, ვერ გამოჩნდა. ოსებმა ცხორი სულ სამ პარტიად წაიყვანეს. მერე ერთი პარტია კიდევ წავიდა, ბრიგადირი იყო ოსი, აღარ გადმარეკა უკან და დარჩა იქა. საზაფხულოდ ჰყვანდა გადარეკილი და აღარ დაბრუნდა. ამის საბადლოდა მემრე იმათ რო წაიყვანეს, აქ ჰყავდათ ოსებს ამარეკილი, ე ჩვენი ხალხი დეცნენ და წაართვეს ეს ცხვარი. დაიტაცეს ზოგმა 20 ზოგმა მეტი გაირეკეს. 2000 სული ევრე ერთბაშად ააორთქლეს. მამრე მაჰვნენ და დაიწყო ქურდობა. იქ ხვდებოდნენ, აქა, უნდოდათ აენაზღაურებინათ თავისი დანაკლისი და ვეღარა გამოდიოდა რა".

კომუნისტური რეჟიმის კრახის შემდეგ, რადიკალური პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ტრანსფორმაციის ფონზე, რევიონისათვის წამყვანი დარგის, მეცხვარეობის მასშტაბი მნიშვნელოვნად შემცირდა. რუსეთის ფედერაციასთან ჩაკეტილი საზღვრის პირობებში, ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრები მიუწვდომელი გახდა. მთლიანად დაიცალა ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებად პერსპექტიული თრუსოს ხეობა, ხოლო ჩრდილო ოსეთიდან მასობრივი გადმოსახლება დაიწყეს მოხევებმა, რომელთაც ავიწროებდნენ აქ ჩასული ცხინვალის რევიონიდან დევნილი ოსები. მოხევებისათვის ჩრდილო კავკასიის ზაფხულის საძოვრების გამოყენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი ხანებიდანვე შეუძლებელი გამხდარა. ჩვენი მთხოობელი ასეთ ისტორიას გვიამბობს:

გამსახურდიას დროს ცხვარი გვყავდა ჩრდილო კავკასიის საძოვრებზე და საქართველოს საზღვარს რომ მოვადექით, ოსებმა აქეთ აღარ გადმოგვატარეს, გვითხრეს გამსახურდიამ გაგიშვათო. 100 ათას სულამდე ცხვარი იყო, სად უნდა წავსულიყავთ, შიმშილით იხტევდოდა პირუტყვი. ისევ ჩენწისაკენ ვიბრუნეთ პირი. მაგრამ ოსები დაგვეწივნენ "კამაზებით" (სატვირთო ავტომანქანებით ლ.კ.) და გვითხრეს ყოველ 10 ცხვარზე ერთი მოგვეცით, საქართველოდან დევნილ ხალხს (ცხინვალის რევიონიდან გაქცეულებს ლ.კ.) ჭამა ხომ უნდაო და ასე გამოგვატარეს. თერვის ნაპირებზე მართლაც ვნახეთ უამრავი გაუბედურებული მშერი ადამიანი.



ცხერის უარა თორმელანგოლიან

რუსეთის მიერ სავიზო რეგიმის შემოღებამ და სასაზღვრო რეჟიმის გამკაცრებამ 2006 წლიდან კიდევ უფრო უპერსექტივო გახადა ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მონაცემება ყაზბეგის რეგიონსა და ჩრდილოკავკასიას შორის. მით უფრო, რომ სამეურნეო კონტაქტების ახალი მიმართულება იკვეთება, რაც ყაზბეგის რეგიონის და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მესაქონლეების მთაბარობას უკავშირდება.

თრუსოს ხეობაში ბოლო ხანებში მოხევებთან ერთად ზაფხულის საძოვრებით სარგებლობებ იორ-მუდანლოს აზერაბაიჯაინელი მწყემსები, ხოლო ყაზბეგის რაიონის ცხვრის ფარების დიდი ნაწილი ზამთრის საძოვრებზე ქვემო ქართლის ველებზე მიჰყავთ. თრუსოდან მიგრაციის მაღალი ტემპის გამო, ხეობას გვერდი აუქცია საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დაწყებულმა ახალი ტიპის სახლების მასობრივმა მშენებლობებმა. ახალი შენობები მეტი კომფორტულობით, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების მყაფიო სეგმენტაციით და შიდამოწყობილობის განსხვავებული დაგეგმარებით გამოიჩინდნენ. ამ პროცესს თან სდევდა დასახლების ფორმის გარკვეული ცვლილებაც. ხანგრძლივმა მშენდობიანობამ, ეკონომიკური პროფილის თავისებურებებმა (მაგ. ანდეზიტის საბადოებმა) და საცხოვრებლის ირგვლივ საკარმიდამო ნაკვეთის გაჩენამ, განაპირობა გორიდან ჩამოვაკების და სოფლის სივრცული განვენილობის ზრდის ტენდენცია. ვ. ითონიშვილი განიხილავს სოფელ სიონის მაგალითს, რომელსაც გასული საუკუნის 60-იან წლებში

უკვე ერთი კილომეტრის სიგრძის და ნახევარი კილომეტრის სი-განის ტერიტორია ეჭირა (ამჟამად მას ბევრად დიდი ტერიტორია უკავია), მაშინ როდესაც მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს სოფელი 0,5 ჰა ბორცვზე იყო დასახლებული.¹⁰⁶



სოფელი სიონი

თრუსოს ხეობაში, რომელიც ამჟამად მთლიანად დაცლილია მოსახლეობისაგან, ჩვენ მიერ დაფიქსირებული საცხოვრებელი, სა-მეურნეო, თავდაცვითი თუ საკულტო შენობები სრულ იდენტურობას ავლენს აღწერილ ანალოგიურ ტრადიციულ ნაგებობებთან. როგორც ვ. იოონიშვილი აღნიშნავს ახალი და ფასეული მოახალ-შენე ოსებს არაფერი შეუქმნიათ, აქ არსებული შენობა-ნაგებობები ფაქტიურად წარაულ-დვალური (და ამდენად ქართული) მატერი-ალური კულტურის ძეგლებია, რომელიც ჩამოსახლებულ ოსებს აქ დახვდათ.¹⁰⁷ ტრადიციული საცხოვრებელი ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს, სახლის მშენებლობა კი საქმაოდ დიდ ხარჯებს უკავშირდებოდა, რაც გადასახლების ერთგვარ წინაპირობას ქმნიდა. მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები და სოციალ-ეკონო-მიკური განვითარების ნაკლები პერსპექტივა უბიძგებდა ადამიანებს სამუშაო და საცხოვრებელი ჩრდილოეთ ოსეთში ქებნათ. მიგრა-ციის მაღალი ინტენსიურობის გამო, რა თქმა უნდა, თრუსოში სახ-ლის გაყიდვა შედარებით როგორი იყო. მას მხოლოდ ადგილობრივი რის თუ შეიძება. ამიტომ სხვაგან გადასვლა ოჯახს გარკვეულ

106 იოონიშვილი ვ. ხევი ძველად და ახლა, თბილისი, 1967, გვ. 66-75.

107 იოონიშვილი ვ. მოხვევების კოფა ცხოვრება, თბ. 2015, გვ 132.

მატერიალურ ზარალსაც აყენებდა. თრუსოში დღემდევა შემორჩენილი შენობა-ნაგებობები, რომელთაც მხოლოდ მცირეოდენი მოდიფიკაცია განიცადეს (მაგ. გადახურულია თუნუქის სახურავით). ხევის სოფლებისაგან განსხვავებით არ განხორციელდა თრუსოს გაზიფიკაცია. ეს კი ხე-ტყით დარიბ ხეობაში კიდევ უფრო აძლიერებდა სურვილს საყოფაცხოვრებო პირობები გაეუმჯობესებინათ. შეიძლება ითქვას, რომ ორჯონიკიძეში კომფორტულად მოწყობის შესაძლებლობა თრუსოს ხეობის მცხოვრებლებისათვის გადასახლების მნიშვნელოვან მოტივაციას წარმოადგენდა.



თრუსო

ნელ-ნელა დაცლა დაიწყო ხევის ოსურმა დასახლებებმაც. რეგიონის მაღალმთიანი სოფლებიდან თერგის ხეობის მიდამოებში ჩამოსახლება ზოგადი ტენდენცია იყო, ამიტომ აქაურ ოსებს სახლების გაყიდვის უფრო მაღალი შანსი ჰქონდათ. მაღალმთიანეთიდან გადმოსვლის მსურველი ქართველები სიამოვნებით ყიდულობდნენ სახლებს შედარებით ხელსაყრელ ადგილებში მდებარე სოფლებში. მაგ. ძინარე სნოს თერგთან შესართავში მდებარე სოფა აჩხოტში გასული საუკუნის 60-იან წლებში ოსები მთლიანად ჩაანაცვლეს სნოს ხეობის ზემო სოფლებიდან გადმოსახლებულმა მთიელებმა. ჩვენმა მთხოობლმა (გვარად მარსაგიშვილი) გვიამბო, რომ იგი 1962 წელს გადმოსულა სოფ. კარკუჩიდან. სახლი აქაური ოსისგან შეუძნია, რომელიც ორჯონიკიძეში გადასახლებულა. მისი გადმოცემით ბოლო ოს 1964 წელს დაუტოვებია ეს სოფელი. საველე მასალით ირკვევა, რომ აჩხოტიდან ოსური მოსახ-

ლეობის გადინება დაუჩქარებია მკვლელობას. წისქვილის წყალზე დავისას ოსებს მოუკლავთ სნოდან გადმოსახლებული ვინე იჭო გოდერძიშვილი და სისხლის აღების შიშით გაცლიან სოფელს¹⁰⁸.

ცალკე უნდა აღინიშნოს განათლების პრობლემა. საველე მასალის მიხედვით, ორუსოს სიღრმეში მდებარე სოფლების ბავშვები სოფ. კობის სკოლა-ინტერნატში სწავლობდნენ. ცხადია, ჩრდილოეთ ოსეთში საცხოვრებლად გადასვლა ამ მხრივაც ხელსაყრელი იყო. მით უმეტეს, რომ ქართველებიც კი საშუალო განათლების მისაღებად ხშირად ორჯონიკიძეში მიდიოდნენ.

„უძალლესში მოწყობა გაადვილებული იყო, რადგან ორჯონიკიძის ქართულ სკოლადამთავრებულებს თბილისში ლიმიტი (შეღავათები) ჰქონდათ და დაბალი ნიშნებით ეწყობოდნენ. ამიტომ ბევრი სკოლას ორჯონიკიძეში ამთავრებდა. მეც იქ ვსწავლობდი. ყაზბეგის მოსახლეობის უმეტეს წილს იქ ჰქონდა დამთავრებული, ორჯონიკიძეში და მერე, ასე რომ აირია დრო, ზოგმა მოასწრო და გადმოიტანა საბუთები, ზოგი დარჩა. უვრე არის ჩვენი საქმე.“- გვიმბობს შეუ ხნის მოხევე.

ოსებში მიგრაციულ განწყობილებებს ხელს უწყობდა ეთნოკულტურული ვექტორის ცვლილებაც, რაც ქართული ორიენტაციის რუსულით ჩანაცვლებას გულისხმობდა. რუსეთის გაბატონებამდე ბუნებრივად ხდებოდა ოსების ქართულ სამყაროში ინტეგრაცია, რაც ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის კომპენსტების თანდათანობით შესისხლხორციება-გათავისებას გულისხმობდა. სამეცნიერო ლიტერატურით ირკვევა, რომ საქართველოში (ყაზბეგის რეგიონი, ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები) დამკაფიობრებული ოსების ყოფაში მე-20 საუკუნის დასწყისისთვის მემარცვლეობა უკვე ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა. სამიწათმოქმედო იარაღების უმეტესობა ქართულის ანალოგიური იყო და მათი სახელწოდებაც ქართულთან მსგავსებას ამჟღავნებდა.¹⁰⁹

108 იჭოს მკვლელობის განსხვავებული ვერსია გვიამბო ოსი ეროვნების მთხრობელმა, რომლის თანახმადაც იგი სხვამ მოკლა ქორწილში და სისხლიანი დანა მკვლელობის დაბრალების მაზნით მის მმანვაჭიც ოსს ჩუმად ჩაუდო.

109 Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб., 1985, с. 131-132; Кантария М. Некоторые вопросы земледельческого быта в горной Осетии, Кавказский Этнографический Сборник, V, 1980, с. 100-154436.

მიწათმოქმედება და, განსაკუთრებულად, მემინდვრეობა ოსებში შედარებით გვიან, კავკასიის მთიანეთში გადმოსახლების შემდეგ განვითარებულა. ამის თაობაზე გარკვეული გადმოცემებიც არ-სებობს: “ძველ დროში ხალხი მხოლოდ ხორცს ჭამდა, პური სულ არ იყო. ერთხელ მოხუცებულები ისხდნენ და ქეიფობდნენ, დაინახეს, რომ მათ ახლოს არწივი დაფრინდა. არწივმა მოფუნა რამდენჯერმე, გაქექა მიწა და ნისკარტით რაღაც ჩააგდო. მოხუცები დაინტერესდნენ და შემოღობეს, რომ ადგილი არ დაეკარგათ ან საქონელს არ გაეთელა. ცოტა ხნის შემდეგ ამოვიდა პურის შესანიშნავი თავთავები. მოხუცებმა შეინახეს თესლად და მეორე წელს მიწა დაამუშავეს, რათა ეს თესლი დაეთესათ. მიხვდნენ, რომ არწივმა მათ თესლი მოუტანა და ამიერიდან არწივს დიდ პატივს სცემებს. ყველას აქვს სასტუმრო ოთახში არწივის სურათი.¹¹⁰”

ოსებში გავრცელებული ძირითადი სახვნელი იარაღი, “ძივირი”, ქართული “ჩუთისა” და “კავის” ანალოგიური იყო, იგი კონსტრუქციის უბრალოებით გამოირჩეოდა და მხოლოდ ერთი უღელი ხარი და ერთი მუშა სჭირდებოდა სახვნელის ეს ტიპი ჩრდილო კავკასიის ხალხებშიც გვხვდებოდა. მთისწინეთსა და დაბლობ აღგიღებში ხვნა წარმოებდა ძირითადად ხის გუთნით (ხადაყინული). მას 2-3 დან 4 უღელ ხარამდე ესაჭიროებოდა. დაბლობ რაიონში ამასთან ერთად გამოიყენებოდა დიდი ქართული გუთანიც, რომელიც რთული კონსტრუქციით გამოირჩეოდა და მუშახელისა და გამწევი პირუტყვის მეტ ოდენობას მოითხოვდა. ქართულის ანალოგიური იყო სამკალი იარაღებიც. სამკალი იარაღებიდან ოსებმა იცოდნენ ცელი (ცავაგ) და ნამკალი (ахсырփ). იყო ნამკლის მეორე სახეობაც (ლამგან), რომელ-საც შედარებით გრძელი სახელური ჰქონდა.¹¹¹ სამიწათმოქმედო იარაღები ტექნიკური თვალსაზრისით და ტერმინოლოგიურადაც ქართულთან მსგავსებას ამჟღავნებდა, მაშინ როცა კ. აბაევის გამოკვლევით, მესაქონლეობის აღმნიშვნელი თითქმის ყველა ოსური სიტყვა უკავშირდება ძველირანულ ენას.

110 ქანთრია მ. (არქივი) ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტის არქივი, საველე მასალა, ქურთათის ხელბა, სოფ. ბარიზიფაუ.

111 Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб., 1985 с. 131-132.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე თრუსოს ხეობისა და კობის ქვაბულის მოსახლეობის უმრავლესობას ქართული ყაიდის (შვილზე დაბოლოებული) გვარსახელები ჰქონდა: გუდიშვილი, ავლიშვილი, ზაქაშვილი, კოკაშვილი, ბაბეშვილი, ბოჩოშვილი, სამიშვილი, მამუკაშვილი, დოდოშვილი, ათაშვილი, გივაშვილი, თუგიშვილი, თადიშვილი, ბითუკოშვილი, რუბაშვილი, თოლაშვილი და ა.შ.¹¹² მოგვიანებით შეიმჩნევა ქართული ანთროპონიმიული მოდელის თანდათანობით ოსურ//რუსული მოდელით ჩანაცვლების ტენდენცია. მოიმატა ოსურ//რუსული ყაიდის (ოვ-ევ დაბოლოებიანი) გვარ-სახელებმა – ყალაგოვი, კობიევი, დაუროვი, ყარაევი, ქაშაევი (ქასაევი), ქოქაევი, ცაბოლოვი, ბიზიკოვი, ცალაგოვი, ჩეთიევი, დაუროვი და ა.შ.¹¹³ 1905 წლიდან ეკლესიებში მეტრიკული წიგნების წარმოება და წირვა-ლოცვაც რუსულ ენაზე დაიწყო. ჩანს, დაგეგმილი იყო ქართული ენა, როგორც Lingua Franca თანდათან რუსულით შეცვალილიყო და საქართველოსაკენ მიმართული პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური ვექტორიც რუსულით ჩანაცვლებულიყო.

ყაზბეგის რაიონის ოსური მოსახლეობა სპეციფიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბუნებრივ-გეოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, მათ უფრო უადვილდებოდათ რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირება, ვიდრე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან. ამიტომ, კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით ისინი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის მაცხოვრებლებზე მეტად იყვნენ მიბმული ჩრდილოეთ ოსეთზე და ფსიქოლოგიურადაც უადვილდებოდათ იქ გადასახლება. საველე მასალის მიხედვით, უკვე მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში თრუსოს ხეობას ოსები მხოლოდ ზაფხულის საძოვრებად და სააგარაკოდ იყენებდნენ, ხოლო მუდმივად მცხოვრებთა რიცხვი საკმაოდ შემცირებული იყო,

90-იან წლებში მესაქონლეობის დაკნინებამ რეგიონის მოსახლეობა აიძულა შემოსავლის ალტერნატიული წყარო ეძებნა. რადგანაც ზევის სოფლებში ბუნებრივი გაზის საფასურს არ იხდიდნენ, განვითარება დაიწყო კერძო სასათბურე მეურნეობებმა, სადაც კიტრი და პომიდორი მოჰყავდათ. ამ საქმიანობით ძირითა-

112 საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 254, გვ. 436.

113 საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 489, გვ. 46.

დად მოხევები იყვნენ დაკავებული, თუმცა სავაჭრო ურთიერთობაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოდან წასული ოსები, რომლებიც რუსეთში გასატანი პროდუქციის მთავარ დისრიბუტორებად იქცნენ.



სათბურები კიდორე გვქონდა კლადიკავკზში გადასახლებულ ოსებთან უფრო ინტენსიური და მევობრული ურთიერთობა იყო. სწორედ ისინი იყვნენ აქტიურად პროდუქციის გამტანები. ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე თხი სასაფლაოზე გასასვლელად საგანგებოდაც კი ჩამოსულა. ერთმა სახლის გადაცვლაც კი შემოვავაზა. ლიახვის ხეობაში მაქვს მიტოვებული სახლი და სხოში თქვენს სახლში გამიცვალეთო (ხანდაზმული ქალი სოფ. სნო).

მართალია, სახელმწიფოს მიერ რეგიონში უფასო გაზხე ლი-მიტის დაწესებამ სასათბურე მერნეობებს აზრი დაუკარგა, მაგრამ, როგორც მთხრობლები აღნიშნავენ, ოსებს მოხევებთან დღემდე აქვთ შენარჩუნებული საქმიანი და მევობრული ურთიერთობები. ისინი თავისუფლად შემოდიან და გადაადგილდებიან საქართველოში. როგორც ჩვენი მთხრობელი ამბობს, “მანქანის შესაკეთებლადაც კი თბილისში დადიან”. მისივე თქმით მოხევების ერთ ნაწილს მიღებული აქვს რუსული მოქალაქეობა (ორმაგი მოქალაქეა), დასაქმებულია ჩრდილოეთ ოსეთში, ღებულობს იქაურ პენიას და ა.შ. 90-იან წლებში საქართველოდან გაქცეული ოსები (ვისაც ბინა თბილისში ჰქონდა) ბინებს კლადიკავკაზში მცხოვრებ

მოხევეებს უცვლიდნენ. აღმოჩნდა ისე, რომ თბილისის ზოგიერთ ქუჩებზე, სადაც ოსური მოსახლეობა მრავლად იყო, ამჟამად სულ მოხევეები ცხოვრობენ.

მე თვითონ გავუცვალე ბინა ოსსა. ცხინვალელი იყო. მე მქონდა ორჯონიქიძეში ბინა და იმას ჰქონდა მუხიანში. იმდენად ეშინოდათ თბილისში ჩასვლა, რომ გასაღები მოძევეს და შიშით ვერ მიღიოდნენ. ისეთი რაღაცები აქვთ ჩემს შვილსა გაკეთებული ცხინვალშით, რომ აქ რომ გაიაროს საბაჟოზე, იმას ცოცხალს არც გაუშვებენ. რას აკეთებდა ეხლა იქ, რომ წვავდნენ და რომ აუბედურებდნენ ერთმანეთსა, და ჩვენთან არ ყოფილა, მადლობა უფალს. ჩვენთან არ ყოფილა ეგეთი, და დმეტომა არც ქნას! იქ საომარი მდგომარეობა რომ იყო, თვითონ იქაც მეზობელი მყავდა, იქაური იყო, გორიდან წამოსული და ისაც უვრე ამბობდა, რომ არ ვინდობით ერთმანეთსო, მტრული დამოკიდებულება გვქოდნაო. და ჩვენთან არა, ჩვენები ორჯონიქიძეშიც რომ ჩავიდნენ, თუ გაიგებდნენ რომ ქართველი იყავ, პატივს გვცემდნენ, (სოფ. აჩხოტი).

რევიონის სამეურნეო პროფილის ცვლილება მტკიცნეულად შეეხეო მოსახლეობის ყველა ფენას. მეცხოველეობას და მიწათმოქმედებას აღარ შეუძლია აქაური მოსახლეობის ცხოვრების მთლიანად უზრუნველყოფა. ერთადერთ პერსპექტიულ დარგად ტურიზმი რჩება. თუმცა ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ოდენობა დიდი არ არის. ასეთ პირობებში ხალხის უმეტესობა მიიჩნევს, რომ თრუსოს ხეობაში ოსების დაბრუნება მოსალოდნლი არ არის. თრუსოს ყოფილი მკაფიობრი ოსები კი უკვე ზაფხულობითაც იშვიათად სტუმრობენ ნასახლარებს, სალოცავებსა და მაბა-პაპის სასაფლაობს.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეურნეო პროფილის რადიკალური ცვლილებები თითქმის მყისიერად აისახებოდა ყაზბეგის რეგიონის ეთნიკურ სიტუაციაზე. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული კოლექტივიზაციის შედეგად შეცვლილმა სამეურნეო გარემონ და ცხვრის ფარების და მსხვილფეხა საქონლის კერძო საკუთრებიდან საკოლმეურნეო ფერმებში გაერთიანებამ, მართალია მეურნეობის ამ დარგის რენტაბელობის გაზრდა განაპირობა,¹¹⁴ მაგრამ ამასთანავე ზელი

114 Магометов А., Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968, с. 197-200.

შეუწყო ოსური მოსახლეობის განკერძოება-იზოლიაციას. ამასთან, გეგმაზომიერად ხდებოდა მურნეობის სიმბიოზური ფორმის ტრანსფორმირება, რაც მთის ზონაში მიწათმოქმედების ხვედრითი წილის კიდევ უფრო შემცირებაში და საოჯახო მურნეობებისათვის სავარგულებისა და სათიბი მიწების შეზღუდვაში მდგომარეობდა. შრომის ორგანიზაციის საბჭოური ფორმების პირობებში დავიწყებას ეძლეოდა ურთიერდახმარების საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ფორმები. მექანიზაციის ხვედრითი წილის გაზრდის შედეგად, იზღუდებოდა ყოფაში ძველი სამიწათმოქმედო იარაღების გამოყენება. თითქმის მთლიანად ამოვარდა ხმარებიდან ადგილობრივი სახველი ტიპები.¹¹⁵ საბჭოთა სისტემის კრახის და საქართველოს დამოუკიდებელობის გამოცხადებამ კიდევ ერთი რადიკალური სამურნეო ტრანსფორმაცია გამოიწვია, რაც ოსური მიგრაციის ძირითად განაპირობებელ მიზეზად იქცა.

სოციალურ ქსელებში და საველე ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მოპოვებული მასალა გვარწმუნებს, რომ ბოლო ხანებში რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში დომინანტი ეწ. “კავკასიური აბორიგენობის” თეორია ოსურ პოპულაციაში თითქმის უალტერნატივოდ აღიქმება. ყაზბეგის რეგიონის დაცლა ოსებისაგან კი ცხადყოფს, რომ რეგიონის ოსურ ისტორიულ ტერიტორიად გამოცხადება და მისი “სამხრეთ ოსეთთან” შეერთების სურვილი, მხოლოდ პოლიტიკური პრიორიტეტის მოპოვების და ოსებში პატრიოტული გრძნობების გაძლიერებას ემსახურება. ცრუ ეთნოგრანტიკური თეორიები მოსახლეობას ადგილებზე ვერ ამაგრებს. ოსებმა მთლიანად დატოვეს დასახლებები, სადაც მათ არავინ ავიწროვებდა (თრუსოს ხეობა, ხევის სოფლები: კობი, უხათი, აჩხოტი თოთი), მაღალია მიგრაციის ინტენსივობა ცხინვალის რეგიონიდანაც (რომელსაც ეწ. ოსური მთავრობა აკონტროლებს). აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ოსურ იმიგრაციას, პოლიტიკურთან ერთად, ძირითადად განაპირობებდა ეკონომიკური და ეთნოკულტურული ფაქტორები.

115 ჯანიშვილი ლ., 2008 წლის რუსულ-ქართული ომი და სამურნეო ყოფის თავისებურებები ახალგორის რაიონში, წიგნში ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა, თბილისი, 2015, გვ. 161.

§2. გაზიარებული სალოცავი და ტრადიციული დღესასწაული ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციის ფონზე

ყაზბეგის რევიონის ქართულ და ოსურ მოსახლეობას ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობის გამოცდილება აქვთ. შერეულ სოფლებში, როგორც წესი, მათ საერთო (გაზიარებული) სალოცავები ჰქონდათ და რელიგიურ რიტუალებსაც ერთად აწყობდნენ. მონოეთნიკურ სოფლებში დღეობაზე ქართველებს ხშირად სტუმრობდნენ ოსი – ოსებს კი ქართველი მოკეთენათესავები. კონფესიური, ეთნიკური, სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების და სახელმწიფო ინსტიტუტების ზემოქმედება განსაზღვრავდა ამ რიტუალების ხასიათს და დინამიკას (სინკრეტიზაცია, უნიფიკაცია, ნაციონალიზაცია და ა.შ). მნიშვნელოვანია გაზიარებული სალოცავების კვლევა მიგრაციების მიმართულების განსაზღვრისთვის, რადგან სხვაგან გადასახლებულ ქართველ მთიელებს თითქმის ყველგან ჰქონდათ წესად წინაპართა სალოცავებში ჯვარ-ხატობებზე სიარული და რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა.¹¹⁶ ყაზბეგის რეგიონიდან წასული ოსური მოსახლეობაც ცდილობს, რელიგიურ დღესასწაულებზე მაინც ესტუმროს იმ ადგილებს, საიდანაც გადავიდნენ. საყურადღებოა, ხსენებულ დღესასწაულებში სტუმარ-მასპინძლის ფუნქცები, მათი ურთიერთდამოკიდებულება, რიტუალში მონაწილეობის ხასიათი და ა.შ.

საზოგადოდ, მიგრირებული მთიელები ხანგრძლივად ინარჩუნებდნენ კავშირს წინაპართა სალოცავებთან. მაგ. სამცხე-ჯავახეთში, სოფ. ფერსაში, გასული საუკუნის 40-იან წლებში კასპის რაიონიდან გადმოსული აფცაურები, ჩოხელები, კოგოლაურები, ქავთარაძეები და სხვ. დამკვიდრდნენ. ისინი ჯერ შიდა ქართლის ბარში ჩამოსახლებულან, 1944 წელს, მესხეთიდან მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციის შემდეგ, კი ხსენებულ სოფელში დამკვიდრებულან. მათი ნაწილი ბოლო დრომდე ინარჩუნებს კავშირს

116 ჯანიაშვილი ლ., ეთნიკური პროცესები სამცხე-ჯავახეთში, პოლიტიკა, №1, თბილისი, 1997, გვ. 28; თოფჩიშვილი რ., დგალეთი და დვალები, თბილისი, 2016, გვ., 28-30; თოფჩიშვილი რ. საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოსტორიული საკითხები) თბილისი, 2002, გვ. 28-30, 35, 58.

მამა-პაპათა სალოცავებთან გუდამაყარში. აქაური ჩოხელები და აფციაურები გასული საუკუნის 90-იან წლებში (როდესაც საველე მასალა ჩავიწერე ლ.ჯ.) კვლავ დადიოდნენ თავიანთ საგვარეულო სალოცავებში ჩოხსა და დუმაცხოში. სოფ. ხეოთსა და ფერსაში დამკვიდრებულმა მთიელებმა აქვე, სოფლებშიც გამართეს მთის სალოცავების სახელობის ნიშები. ამისათვის ფერსაში შემდეგი რიტუალი შეასრულეს: სალოცავის სახელზე შეასახელეს კურატი, რომელიც ხუთი წლის რომ გახდა გაუშვეს, სადაც გაჩერდა, იქ დაკლეს და ააგეს ნიში. ნიშზე დადეს მთიდან, წინაპართა სალოცავიდან წამოღებული ქვა. ეს ქვა მთაში დარჩენილი და გადმოსახლებული მთიელების ფიზიკური და სულიერი ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენს.¹¹⁷

საინტერესო მასალა აქვს აღწერილი რ. თოფჩიშვილს, როდესაც ჭართლიდან შიდა ქართლის სხვადსხვა სოფლამდე საკმაოდ ფართოდ განსახლებული გიგაურები ეწ საგიგაუროს კრებძნენ მამა-პაპისული სალოცავისათვის. მკვლევარი ამ მოვლენაში ჭართლიდან გადასახლებულ გიგაურებსა და გიგაურყოფილ სხვა გვარებს შორის კავშირისა და თავდაპირველ საცხოვრისთან ერთობის შენარჩუნების მცდელობას ხდავს.¹¹⁸

ახალ ადგილებში გადასულ ოჯახებს გვარისა და თემის სალოცავებთან ერთად სჭირდებოდათ საოჯახო, საკრალური სიმბოლოების დაფუძნებაც. სოფ. არშაში თოთიდან გადმოსულ ხულელიძეებს ამგვარი სალოცავი, წმინდა ხე, ახალ სამკვიდროზეც მოუწყვით.

აი ეს მაგიდა სალოცავი ხატის ფუძის ანგელოზის სახელზე დავდგი, ეს ვაშლის ხე წმინდა ადგილად მაქ მიჩნეული, მეჩემს გაგებაში. ეს წმინდა ხეა. შავითქვით. უფალო და ფუძის ანგელოზო, თქვენს სახელზე კრგავ, როცა დავაძონტაუე, საკლავი დავკალი. რო დავკლავ საკლავსა და დავსხდებით აქა, როგორც ქართული სუფრის წესია, უფლის სადიღებლს ვიტყვით და ფუძის ანგელოზის სადღევრძელოს ვამბობთ პირველი. მერე გაჰყვები, სალოცავსაც მაიგონებ და ადიდებ და დანარჩენი. ძველი

117 ჯანიაშვილი ლ., ეთნიკური პროცესები სამცხე-ჯავახეთში, პოლიტიკა, №1, თბილისი, 1997, გვ. 28.

118 თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოსტოროული საკითხები), თბილისი, 2002, გვ. 28-30.

მამა-პაპური, ტრადიციული თუ გახსოვს, ესენი არ უნდა წაშალო. გადასცე შვილსა, შვილიშვილსა. ამ ხის ნაყოფს ჩამოვკრევ კოდეცა, ვედროებში მაქ დაღავებული, იაშიკებში. სამეზობლოსა და სანათესაოს უწილადებ. ახალი წელი რომ იქნება, ერთს დიდს ტაბლოზე დააღავებ. ლოცვასაც ვიტყვი მაგ დროს: ამ ნაკურთხს ვინც მიირთმევს, შეარგას, მაღლაძოსავით მოედვას იმის ორგანიზმსა, იმის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესა და მრავალი სიკეთე და სიხარული არ მოშლოდეს იმის ფუმე-კურაზე. ვინც ეს ხე დარგა, იმასც დიდება და გამაგრება, ვის სახელზეც არის დარგული. საქვეყნოდ აღიარებული არის ფუძის ანგელოზი. ზოგს კი აქვთ რაღაც შათქმული და მე ეს ჩემით გავაკუთხ. წინაპრები აკეთებდენ ეგრე (მოხუცი მოხევე სოფ. არშა)".

წინაპართა რელიგიური კულტების გადმოტანის წესი და ახალი საგვარო თუ საოჯახო სალოცავების დაფუძნება, არც თერგის ხეობაში შემოსული ოსებისათვის იყო უცხო. სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია სოფ. უხათში შემთხვევით ნაპოვნი ამულეტების გაღვთიურების ამბავი. მე-19 საუკუნეში, აქ დამკვიდრებული ტუავების წინაპარს მრგვალი ფორმის (9 სმ სიგრძისა და 5 სმ სიგანის) პატარა ბრინჯაოს ფიგურა უპოვნია, რომელსაც წინიდან ადამიანისმაგვარი ფორმა ჰქონდა. ეს ღვთიურ ნიშნად მიუღია და ამულეტისათვის ქვის პატარა ნიში აუგია, თარო დაუყოლებია, რომელზეც ბრინჯაოს ამულეტი დაუდევს. ამ ნიშთან ყოველ ახალ წელიწადს დადიოდნენ ტუავები და ქაღები მიპქონდათ.¹¹⁹

სამცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ალანთა წინაქრისტიანული პანთეონის ზოგიერთ პერსონაჟები წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნას მათი ქრისტიანი მემკვიდრეების მიხედვით. ქრისტიანი ხალხების რელიგიური რწმენა-წარმოდგენების კვლევა გვიჩვენებს, რომ ქრისტიანიზაცია არ ნიშნავდა "წარმართულ" წარსულთან მთლიანად და საბოლოოდ კავშირის გაწყვეტას, იგი უფრო ახალი ცნებებისა და იდეების ძველ შინაარსთან ადაპტაციის პროცესს წარმოადგენდა. ძველი ღმერთები ახალ ქრისტიანულ სახელწოდებებს იღებდნენ, მაგრამ

119 ჯალაბაძე გ., მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 22-II, თბილისი, 1961, გვ. 234.

მათი ბუნება და მათთან დაკავშირებული დღესასწაულები კიდევ დიდხანს რჩებოდა წინანდებური და შესამჩნევი იყო ქრისტიანულ საბურველში.¹²⁰ ოსთა რელიგიურ წარმოდგენებში ყველა ზეციური არსება (ვაჟი) კონკრეტულ სფეროზეა პასუხისმგებელი; მაგ. ბუნების ძალების გამგებლად და მოსავლის მფარველად ითვლება ვაცილა, ტუტირი – ხარებისა და მგლების მფარველია, ფალერა – წვრილფეხა შინაური პირუტყვის, აფსატი – მხეცების და ა.შ.¹²¹

ხსენებულ დისკურსში მკაფიოდ იკვეთება უაცილა/ვაცილას სხვა ღვთაებებისაგან განსხვავებული, მოქმედების საქმაოდ ფართო არეალი. ა. მაჰამედოვის „აზრით, “უაცილა (ელია)” აგრარული ღვთაებაა, რომელიც მფარველობდა არა მხოლოდ პურის ყანებს, არამედ მთლიანად მიწათმოქმედებას და განაგებდა ბუნების სტიქიურ ძალებსაც: ჭექა-ქუხილს და წვიმას.¹²²

ვაცილლა – წმ. ილიამ, ჭექა-ქუხილის გამგებელმა და მოსავლის პატრონმა, მკაფიოდ შეითვისა ჭექა-ქუხილის წარმართული ღვთაების (“ნიკაგოროვნიკა”) თვისებები – წერდა ვ. აბაეგი. ჭექა-ქუხილის ღმერთის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული არიული მოდგმის ხალხებში, მაგრამ იგი უნდა განვიხილოთ როგორც კავკასიური და არა როგორც ირანული ეთნოგრაფიის საფეციფიკა, რასაც ადასტურებს ოსებსა და სხვა კავკასიელებს შორის, მეხისაგან ადამიანის დაზიანების დროს შესრულებული წესების მსგავსება. როდესაც ადამიანი მეხით იღუპებოდა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა წუხილის გამოთქმა, ტირილი და ა.შ., პირიქით, ყველანაირად უნდა გამოეხატათ სიხარული, გმდერათ და ეცეკვათ. მეხით დაზიანებულთან შესრულებული რიტუალური ცეკვა – “ცოპპაჯ” – (ჩერქ. ცოპპა, აბხ. ცოპა, ბალკ. ცოპპა) რვა დღემდე გრძელდებოდა.¹²³

120 Абаев В. Дохристианская религия алан. Тезисы доклада на XXV Международном конгрессе востоковедов. М., 1960

121 (Таказов Ф.М. Религиозно-мифологическое сознание осетин // Наука вчера, сегодня, завтра: сб. ст. по матер. XL междунар. науч.-практ. конф. № 11(33). – Новосибирск: СиБАК, 2016, с. 156-157

122 Магометов А., Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968б сю 476.

123 Абаев В. Дохристианская религия алан. Тезисы доклада на XXV Международном конгрессе востоковедов. М., 1960.

ვაცილობა//ვაჩილობა, ხევში ზაფხულობით აღინიშნება ამჟამად მთლიანად გაუკცრიელებული სოფლის, თოთის ზემოთ არსებულ „ვაჩილას“ ნიშთან. ამ სოფელში მოსახლეობის სიმცირის გამო არაგვის ერისთავთა მოურავს, შოოლა ღუდუშაურს მე-17 საუკუნის დასაწყისში რამდენიმე მოხევე და ოსი ჩამოუსახლება.¹²⁴ მთხოვობელთა ცნობით, სწორედ მაშინ მოსულ ოსებს დაუკარსებათ ვაცილას სალოცავი. ამ დღეობაში იმთავითვე მონაწილეობდნენ მოხევეებიც: ხულელიძეები, წიკლაურები, ავსაჯანიშვილები. თოთელები ხარჯსაც და სტუმარსაც კომლობრივ ინაწილებდნენ და ქეიფს თითქმის ერთ კვირამდე აგრძელებდნენ.¹²⁵ ამჟამად, სოფ. თოთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქვემოთ, დღევანდელ სოფ. არშაში გადავიდა საცხოვრებლად, ნაწილი კი – ვლადიკავკაზში ან საქართველოს ბარის რაიონებში.



ვაცილობა//ვაჩილობას, სოფ. არშაში თოთიდან გადასული მოხევეები აღნიშნავენ, თუმცა მათ ხშირად სტუმრობენ აქედან წასული ოსი მირაქოვები, სალბიევები და სხვა. მედროშე ვაცილას ნიშზე აღმართავს დროშას (ამჟამად ამ ფუნქციისათვის საქართველოს სახელმწიფო დროშას იყენებენ) მომლოცველები იქვე ანთებენ ნაკურთხს სანთლებს, დაჭრიან მოზრდილ ერბო - ყველიან ქადებს (ხაბიძენებს) და მომლოცველებს უნაწილებენ. შესაწირად მიაქვთ სასმელი, ფული, სამკაული და ხატები. დეკანოზი

124 ითონიშვილი ვ. მოხვეების ყოფა-ცხოვრება, თბილისი, 2015, გვ. 193.

125 იქვე, გვ. 194.

ასრულებს ტრადიციულ რიტუალს, ამწყალობებს შემომწირველთ, კლავს საკლავს (ძირითადად ვაცს) და ა.შ.. სამსხვერპლო ცხოველს იგი ლოცვას წაუკითხავს, ყურს შეუტრუსავს, დაკლავს და ფერდობზე დააგორებს. ცხოველს ნიშთან ახლოს ჩამოატყვებენ. როდესაც შესაწირავების მიღება მორჩება და ხორცი მოიხარშება, ქალები სუფრას გაშლიან და ყველანი მიუსხდებიან (უფროს-უმცროსობის დაცვით), თამადას დეკანზი დაასახელებს, სიტყვა-პასუხითა და ავტორიტეტით გამორჩეული თანასოფლელებისაგან. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის თანახმად, ვაჩილობა მუსლიმ და ქრისტიან ოსებსაც სცოდნიათ. მათ ჰქონდათ სალოცავი “მსგავსი კერპისა, რომელსა უწინდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირავენ ელიას თხასა და ხორცსა შესჭმენ თუითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმვენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანს სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოს ელიამ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფი ქვეყნისანი”.¹²⁶

ვაცილობის (ტბაუ-უაცილა) დღესასწაული დღევანდელი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე აღწერილია გასული საუკუნის და-საწყისის პერიოდიკაში.¹²⁷ საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთში ფიქსირებულ ვაჩილობის დღესასწაულის შედარებისას შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საინტერესო ასპექტი;

1. დღესაწაულის დრო – მოძრავია, იმართება (იწყება) ორ-შაბათს, გამოთვლა ხდება ქრისტიანულ (მართლმადიდებლური) აღდგომის მიხედვით. გასულ საუკუნეში დღეობა ერთ კვირას გრძელდებოდა.

2. რელიგიური შინაარსი – ვაცილას//ვაჩილას სინკრეტული სახე აქვს. მას უკავშირებენ ქრისტიანულ წინასწარმეტყველ ელიას და ამასათანავე, ამინდის, მოსავლიანობის, საქონლის წარმართულ ღვთაებას. სალოცავი ითვლებოდა ავადმყოფობის განკურნების ძალის მქონედ.

3. აქტიორთა ეთნიკური შემადგენლობა და როლები – როგორც ხევში, ისე ოსეთში დღეობაში მონაწილეობენ ქართველე-

126 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტ. IV, გამომც. „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1973, გვ. 638-639.

127 Чибиров Л. (сост) Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах , Т. 3 Цхинвали 1987, с. 104-111.

ბი და ოსები. ოსეთში რიტუალს ასრულებდა ქურუმი, რომელიც იღებდა შესაწირს მომლოცველებისაგან და შემდეგ განმარტოებით აღავლენდა ლოცვას ტბაუ უაცილას ქვაბში (გამოქვაბულში). სალოცავ მთაზე ქურუმის გარდა არავის ჰქონდა ასვლის უფლება. ხევში (სოფ თოთში) სალოცავზე შესრულებულ რიტუალში აქტუურად მონაწილეობენ მომლოცველებიც. აქ წამყვანი ფიგურაა დეკანოზი, იგი ამწყალობებს მომლოცველებს, კლავს საკლავს, ორგანიზაციას უკეთებს დღეობის სუფრას და ა.შ.

4.შესაწირი – რიტუალური ქადები, ფული, სანთელი, მიღებული იყო ოსეთშიც და საქართველოშიც. სამსხვერპლო საკლავს ოსეთში ქურუმი თვითონ გამოარჩევდა ცხვრის ფარიდან, რომელსაც “ტბაუ უაცილას” სალოცავზე აიყვანდა და დაკლავდა. თოთში კი ვაცილას სამსხვერპლოდ შეთქმული ცხოველები ვაცი ან ბატკანი (დღეისათვის ძირითადად ცხვარი) მომლოცველებს მოჰყავდათ. საღმრთოს დეკანოზი კლავს, ცხოველის ნაწილს (მხარს ან გვერდს) საერთო ქვაბში ხარშავენ, დანარჩენი კი შემწირველს სახლში მაქეს.

5.ლოცაცია და აქტიორები – დღეობა საქართველოში იმართება, ხევში სოფ. თოთის ზემოთ, ვაცილას ნიშთან. მასში მონაწილეობენ დეკანოზი და მომლოცველები; ოსეთში სამლოცველო მაღალ მთაზე მდებარეობდა, სადაც მხოლოდ ქურუმი (რამდენიმე არჩეულ თანმხელებ პირთან ერთად) ასრულებდა რიტუალს: აღავლენდა ლოცვას, აჰქონდა დიდი თასით ლუდი, რომელიც ტბაუ ვაცილას გამოქვაბულში ერთი წლით უნდა დაეტოვებინა, კლავდა საღმრთოს და ა.შ. ხოლო მომლოცველები დღეობის ძირითად ნაწილს სოფლის მიდამოებში ასრულებდნენ.

სეტყვასა და ჭექა ქუხილის შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები საკმაოდ კარგადა შესწავლილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ნ. ხიზანაშვილის ცნობის თანახმად, ქართველ მთიელებში (ხევსურებში) ცა-ღრუბელის საქმე ეკითხებოდა პირიმზე-წმინდა გიორგის, რომელიც მაღალ გორაზე სუფევს და დევი ჰყავს მონად. როცა ხალხი რამეს დააშავებს ზღვისგენ გაეშურება იქ ხორხოშელას

და სეტყვას აკიდებს გოდრებით დევს და მოჰყენს მთელს არე-მარეს. სეტყვა-ხორხოშელის ასაცილებლად მთელს ხევსურეთში ცალკე დღეებს უქმობენ. პირი-მზეს საქონლის ჭირიც ეკითხება. ვისი ჯავრიც ჭირს, იასაულებს მიუსევს და საქონელს მთლად გაუჟღლიტავს აღსანიშნავია, რომ ხახმატელები სეტყვის მოსაშორებლად ქისტების მაისტის ხატს ლოცულობენ. ეს ხატი ქვისა ყოფილა და ვერცხლ-პირიანი კაცი იყო გამოხატული.¹²⁸

სამეგრელოში მეხის საწინააღმდეგო რიტუალი აღინიშნებოდა ივლისში, კვირა დღეს „უინიშ“ ხამა“-ზე (მეგრ. უინიშ//ზეციური). ამ დღეს დაკლავდნენ ციკანს, აცხობდნენ კვერებს და ზეციურ ძალას ევერებოდნენ ადამიანისა და საქონლის გამრავლებას. ვისაც შეთქმული ჰქონდა, წმიდა გიორგის ეკლესიაში შესაწირავად მიჰქონდა რკინის ორ-კაპიანი ბოძალი, რომ მის ოჯახს მეხი არ დასცემოდა. ამ ბოძალს შეუკვეთდნენ მჭედელს და სანთელ-საკმევლით მიჰქონდათ წმიდა გიორგის ხატში: ილორში, ჯეგეთაში, სოფ. ხეთაში, და სხვა ძლიერ წმიდა გიორგის ეკლესიაში. თუ ადამიანი „უინიშ“ მიზეზით „ბრალით“ ავად გახდებოდა, მას წაიყვანდნენ წმიდა გიორგის ხატში. შესაწირავად მიჰქონდათ ავადმყოფის სიგრძის სანთელი და ვერცხლის ძაფი (წვრილი მავთული). უინიშით დაავადებულ ადამიანს ბნედიანის ნიშნები ჰქონდა თურმე, იგი ბორგავდა და ზოგჯერ ადამიანს ერჩოდა. ასეთ ავადმყოფს მიიყვანდნენ ილორში და შესთხოვდნენ „უინიშს“ მის განკურნებას.¹²⁹

მოხევები დარ-ავდარს წმ. ელიას ევედრებოდნენ. ს. მაკალათიას ცნობის თანახმად, ხევში მინდვრის სამუშაოები “ხვნა-თესვის საღმრთოთი” მთავრდებოდა, რომელსაც საგვარეულოს თითოეული წევრი მორიგეობით იხდიდა ხოლმე. მორიგე ოჯახი საკლავს დაკლავდა, სოფლის მოედანზე გაიტანდა და იქ შეკრებილი ხალხი წმინდა ელიასა და ზაქარიას შეავედრებდა მოსავალს: “ნამუშევარი შენ გებაროს, ცგარნამი მიეცი, დაიფარე სეტყვისა და კოხისაგან, ბარაქიანი მოსავალი მოიყვანე მშიერა ხიზანი არ გაგ-

128 ხიზანაშვილი ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940, გვ. 70-71.

129 ჭკუასელი ე., ქართული რელიგიური წეს-ჩევეულებები და ხალხურ დღეობათა სარიტუალო ლექსიკა (სეანეთისა და სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით), დისერტაცია, თბილისი, 2014, გვ.31; მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ.322

ვიწყდესო”, იგივე ელიასა და ზაქარიას ავედრებს მოსავალს სოფ. თოთში “ვაჩილობის” დღეობაზე შეკრებილი მოსახლეობა.¹³⁰

ხევში, წითელ ეკლესიასთან შემორჩენილ ელიას ნიშტე, წინათ დაახლოებით ერთ მეტრ სიმაღლეზე თხის თავის ქალები ეწყო, რომელიც მერე აიღეს. დღესასწაულზე დეკანოზები ნიშთან მოსალოცად მიდიოდნენ, საღვთოს კლავდინენ და სისხლით მამაკაცებსა და ბავშვებს შუბლზე ჯვარს გამოუსახავდნენ. დიასახლისებს მრგვალი ერბო-ყველიანი ქადები მიჰქონდათ და ნიშის თახჩაში ჭრიდნენ, ხოლო ნაწილს იქვე ტოვებდნენ. ნიშის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფიჭვნარში, ჯგუფ - ჯგუფად შეკრებილი მოხევეები სუფრას შლიდნენ და მოილხენდნენ. ამჟამად, წმ. ილია თეზბიტელის ხსენების დღეს, სადღესასწაულო წირვის დამთავრების შემდეგ, ეკლესიიდან გამოსული მოხევეები წმ. ილიას ხატთან, ნიშში სანთლებს ანთებენ. ქალებს ქადა მიაქვთ, რომელსაც ჯვრულად ჭრიან და მიირთმევნ, თუმცა საკლავის დაკვლა მონასტრის ტერიტორიაზე აკრძალულია.¹³¹

წმინდა ელიასათან აკავშირებს ვაცილას ეტიმოლოგიას ვ. აბა-ევი. ოსური პანთეონის ქრისტიანიზებულ მთავარ პერსონაჟებს გააჩნია ეპითეტი “ვაც” (წაც//წას): Was-Gergi (ვას-ტერჯ) წმ. გიორგი, Wac-illa (ვაცილა//ვაჩილა) წმ. ილია, Wac-Nikkola – წმ. ნიკოლოზი, Was-Totur – წმ. თევდორე. აქ ვაც-ის მნიშვნელობა შეიძლება იყოს მხოლოდ: დმერთი, ღვთაებრივი, წმინდა.¹³²

ოსური ენაში, ფოლკლორსა და რელიგიურ წარმოდგენებში კავკასიური სუბსტრატის მნიშვნელოვანი კვალია დარჩენილი. ოსთა კულტების, ჩვეულებებისა და დღესასწაულების სიახლოვე კავკასიურ და განსაკუთრებით კი დასავლეთკავკასიელი ჩერქეზების, აბაზების, აფხაზების, მეგრელების, სვანების, რაჭველების, ასევე აღმ. ქართველი მთიელების მოხევეების, მთიულების, ფშაველებისა და ხევსურების ანალოგიურ კულტურულ მაჩვენებლებთან ამჟღავნებს არა მარტო ტიპოლოგიურ, არამედ მატერიალურ მსგავსება-საც. ე. ემთხვევა ღვთაებების, ჩვეულებებისა და დღეობების სა-

130 მაკალათია, ს., ხევი, თბილისი, 1934, გვ. 192.

131 ბაწაძე ს., რელიგიური დღესასწაულები ხევში, დისტაცია, თბილისი, 2015, გვ. 58.

132 Абаев В. Духохристианская религия алан. Тезисы доклада на XXV Международном конгрессе востоковедов. М., 1960

ხელებიც.¹³³ ანალოგიური მოსაზრება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც გვხვდება. წმ. ელიას ზომორფულ ატრიბუტად თხა მიიჩნევა. წმინდა ელიას კულტში თავს იყრის ქართველთა და კავკასიელთა ელგა-ქუხილის ღვთაებები: აფხაზთა აფი, ჩერქეზების შიბლე, ოსების უაცილა – წერს ირ. სურგულაძე. „ღრუბელთწინამდღვარი ელიას შესახებ წარმოდგენებს საფუძვლად „დაბადებაში“ და „სახარებაში“ აღწერილი ილია წინასწარმეტყველის სახე დაედო.¹³⁴ ჯ. რუხაძე მიიჩნევდა, რომ რომ ვაცილობას შეიძლება საერთო კავკასიური ძირები ჰქონდეს და ჩრდილო კავკასიური ბუნების აღორძინებისა და მიწის კულტთან დაკავშირებული რიტუალი წარმოადგენდეს ქართული ბოსელა-ბოსლისა და ბერიკა - ბასილას ანალოგს.¹³⁵

ცალკე სკითხია მიწათმოქმედების სფეროსთან დაკავშირებული კულტის ოსურ გარემოში გაჩენის ქრონოლოგია. სკვითებთან გენეტიკური ნათესაობის თეორიიდან გამომდინარე, ოსი მეცნიერები ადრეული მიწათმოქმედების დასაბუთებას ცდილობენ ფოლკლორული თქმულებებისა და რწმენა-წარმოდგენების საშუალებით. მიაჩნიათ, რომ ამ დარგის სიძველეზე მიუთითებს ნართების თქმულებებში სამიწათმოქმედო კულტურების ხსენება, მიწათმოქმედებასთნ დაკავშირებული რიტუალების არსებობა და ის, რომ მეხორბლეობის ღვთაებას – უაცილას – ოსები განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ.¹³⁶ თუმცა, გვხვდება საპირისპირო მოსაზრებაც. ამიანე მარცელინის ცნობებზე დაყრდნობით, რ. თოფჩიშვილი და-ასკენის, რომ IV საუკუნის ბოლოსათვის ალანები (ოსთა წინაპრები) კავკასიის არც ერთ რეგიონში არ ცხოვრობდნენ; ამ დროისათვის ისინი მხოლოდ მომთაბარე მეურნეობას ეწეოდნენ და რჩენის ერთ-ერთი საშუალება ლაშქრობა, ბინადარი ხალხების ძარცვა იყო.¹³⁷ ირკვევა, რომ კავკასიის სამხრეთ ფერდზე საქარ-

133 იქვე.

134 სურგულაძე ი. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბილისი, 2003, გვ. 276-279.

135 რუხაძე ჯ. ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1976, გვ. 176.

136 КалоевБ. Осетины, (историко-этнографическое исследование), М. 1967, с.65.

137 თოფჩიშვილი რ. ოსთა წინაპრი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბილისი, 2008.

თველოში (ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები) დამკვიდრებული ოსების ყოფაში XIX საუკუნეშიც კი წამყვანი აღვილი ეჭირა მესაქონლეობას, თუმცა უკვე განვითარებული იყო მემარცვლეობაც. ამის გამო, სამიწათმოქმედო იარაღების უმეტესობა ქართულის ანალოგიურია და ტერმინებიც ქართულთან მომდინარეობს.¹³⁸ მაშინ როდესაც, მესაქონლეობასთან დაკავშირებული ტერმინების ეტიმოლოგია ირანულია.¹³⁹

როგორც ზემოთ ითქვა, ოსთა რელიგიურ წარმოდგენებში ყველა ზეციური არსება (ვადი) კონკრეტულ სფეროზეა პასუხისმგებელი. მაგ. ტუტირი — ხარებისა და მგლების მფარველია, ფალერა წვრილფეხა შინაური პირუტყვის, აფსატი — მხეცების და ა.შ. ამ ფონზე სრულიად გამოკვეთილად განსხვავებულია ვაცილას კომპლექსური ფუნქცია იგი ითვლება ბუნების ძალების გამგებლად, მოსავლისა და პირუტყვის მფარველად, ცალკეული დაავადებების გამომწვევად და მკურნალადაც კი. ამ ტიპის უნივერსალური ღვთაების გაჩენა კი უთუოდ, მოგვიანებით კავკასიურ გარემოში მოხვედრისა და ახალი სამეურნეო დარგების ათვისებაზე მეტყველებს და შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო.

ვაცილას ოსურ გარემოში ბევრი სალოცავი ნიში აქვს, მაგრამ მთავარი სალოცავი მდებარეობს დარგვასში, ტბაუ-ს მთაზე (ოსური დღესასწაულები). უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის დასაწყისში აქ გამართულ რიტუალში მონაწილეობას ამისათვის საგანგებოდ ჩასული ქართველებიც იღებდნენ.¹⁴⁰ ხევში შემოტანილი ვაცილას თაყვანისცემა სრულ იღენტობას ამჟღავნებდა ქართველ მთიელებში გავრცელებულ წმ. ელიას კულტთან და უცხო არ იყო აქაური ქართველებისათვის. ამის გამო სოფ. თოთის ქართულმა მოსახლეობამაც ადვილად შეისისხოლრცა ეს დღეობა. აი როგორ გადმოგცემს ამ პროცესს ხულელიძეთა გვარის ერთი წარმომადგენელი:

138 Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб., 1985, с. 131-132; Кантария М. Некоторые вопросы земледельческого быта в горной Осетии, Кавказский Этнографический Сборник, V, 1980, с. 100-154.

139 Калоев Б. Осетины, (историко-этнографическое исследование), М. 1967, с. 75.

140 Чибиров Л. (сост) Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах , Т. 3 Цхинвали 1987, с110.

“სოფ. გაიბოტენიდან ხულელიძეთა ერთი ძმა იასე გადავიდა თოთში, ესენი გამრავლდნენ ისე, რომ 52 სული ცხოვრობდა ერთ კომლადა და შეარქვეს სახელი დიდი ხულელნი. ახლა, მემრე ამათ იასე ხო ჩემი დიდი პაპისა მკვიდრი ძმა იყო და იმის შვილიც ხო იქ ავიდა. ესენი გაძლიერდნენ, გაძლიერდნენ და ისე წარიმართა საქმე რო სალოცავი ოსებისა კი იყო თავიდან, მაგათი დადგმული იყო ეს ნიშები და ყველაფერი, მერე დეკანოზებს რომ ვეძახით სულ ხულელიძეები იქნიან. ესე მოღიოდა ან ხულელიძეები იქნებოდნენ ან ღუდუშაური და მეტ წილ შემთხვევაში ხულელიძენი იყვნენ დეკანოზები. დღეობა ეხლა მამაწმინდობა იქნება ჩქარა ერთ კვირაში, მამაწმინდობა არის კვირა დღესა და იქიდან გადავთვლით და ორშაბათი უკვე ვაცილობაა. ღამისთვევით ავდოდით მანდა. ახლაც ადიან მაშა. ჩენ ხო ამოვიღებთ ახლა ფულსა,



ხან 20-20 ლარი, ხან 30-30 ლარი გააჩნია როგორ აკეთებენ. როგორი ძვირმარეობა იქნება, საკლავს იყიდის, სასმელსა, პურსა წყალსა რაღაცასა და ახვალ და მოქუჩდება ხალხი, ზოგს შეთქმული აქვს, მიჰყავს საკლავი და ვკლავთ. მხარი და გვერდი იქ უნდა დატოვო, დარჩები – კარგი, არ დარჩები და აუცილებელია უნდა დატოვო. ხორცი მოიხარშება და ქალები ცალკე სხდებიან, კაცები ცალკე, და მიღის ტკბილი ქეიფი. ძალიან შეხმატკბილებული სოფელი იყო და ეხლა დაცუალკევდით. საკლავები ზოგს აქვთან (სოფ. არშიდან ლ.ჯ.) აუდის, ზოგს მოიდან ჩამოუდის. სოფლის

თავს არი თეთრი ნიშები. სამი სალოცავია მანდა, ვაჩილის წმინ-და გიორგი, ელიის წმინდა გიორგი და ზაქარიის წმინდა გიორგი. ელია და ზაქარია ხომ იცით, ერთი ამინდის არის და ზაქარია - მოსავლის. ვაჩილასაც ამინდისას ეძახოდნენ. ეპეც უაა. მანდ ვაჩილობაზე თხას კლავდინენ თხები და ჩვენც ვაცს გკლავდით. ეხლა ევრე წავიდა საქე რო ბატკნებიც მიჰყავთ. დეკანოზი აქა ბიძაშვილია ჩვენი გიორგი ხულელიძე. დეკანოზიმა როგორც უჯ-როსმა კაციმა უნდა იცოდეს ერთი ორი წინადაღების ერთმანეთს მიბმა, დალოცას ხალხი, დალოცას ქვეყანა. დალოცას მშვიდობა და აი ევრე. (მოხუცი მოხევე სოფ არშის მკვიდრი)".

ცხადია, ყაზბეგის რეგიონიდან ოსების გადასვლის შემდეგ, თანა-მედროვე პირობებში, რიტუალმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განი-ცადა. მაგ. წინათ, დროშა ხატის წმინდა სიმბოლოს წარმოადგინდა, რომელთან შეხებაც მხოლოდ საგანგებოდ შერჩეულ პირს შეეძლო. გაცილობაზე ამ წესს უკვე აღარ იცავენ. წინათ ხატს საკუთარი დროშა გააჩნდა, ვაცილობაზე კი საქართველოს სახელმწიფო დრო-შა აფრიალეს. შემცირდა რიტუალში მონაწილე კულტმსახურთა რიცხვი. ამჟამად ერთი დეკანოზი ასრულებს დამწყალობებისა და საღმრთოს დაკვლის ფუნქციას, მაშინ, როცა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში აღმ. საქართველოს მთაში დღეობებზე ჯვარ-ზატებს საქამად მრავალრიცხოვანი მსახური ჰყავდა. შეცვლილია გენდერული მიღომაც. ოსეთში ვაცილობაზე ქალები საერთოდ არ დაიშვებოდნენ დღესასწაულზე. ხევში მანდილოსნები, მართა-ლია ვაცილას სალოცავზე ადიოდნენ, მაგრამ სუფრასთან ცალკე სხდებოდნენ. ამჟამად ეს წესი აღარ სრულდება, საერთო სუფრას დღიდ, პატარა ქალი თუ კაცი ერთად მიუსხდება ხოლმე.

ზემოხსენებულ თემატიკასთან მიმართებაში საინტერესოა დღე-სასწაულები, რომელიც ძირითადად ქართულ გარემოს უკავშირდებოდა და აქ დასახლებულ ოსებს მოხევებისაგან უნდა შეეთვისებინათ. სწორედ ასეთია ათენგენობა, ქართველ მთიელებში ფართოდ გავრცელებული დღესაწაული. დღეობა წმინდა მოწამე ათინოგენ სებასტიონის სახელს უქავშირდება. ეს მოსაზრება პირველად პ-კეკლიძემ გამოთქვა.¹⁴¹ წმინდა ათინოგენის ხსენების დღე ამთავ-

141 კავკაციი, 1956, 128-129.

რებს სააღდგომო ციკლის დღესასწაულებს და ფართოდაა გავრცელებული აღმ. საქართველოს მთიელებში. ათენგენობა, როგორც წესი, გამოითვლება აღდგომის დღესასწაულის მიხედვით და მას წესისა და რიგის მიხედვით მოსდევს მთიელთა სხვადსხვა თემებისა და საყმოების დღეობები. შეიმჩნევა ანალოგია ოსეთის ძუარებში აღდგომის ციკლთან დაკავშირებულ ათინაგის დღესასწაულებთან, რომელიც ასევე ივლისის მეორე ნახევარში იმართება. მასაც საფუძვლად უდევს ქრისტიანული კალენდარი და ამთავრებს სააღდგომო ციკლის დღეობებს. ათინაგს, ქართველ მთიელთა მსგავსად, აღნიშნავენ ივლისის მეორე ნახევარში. მსგავსი სახელწოდების რელიგიურ დღესასწაულებს იცნობდნენ ჩრდილო კავკასიელი მთიელები. მეტიც, ისლამიზებული ჩრდილო კავკასიელები მაისტისა და მთხოს თემებიდან, ათენგენობის დღესასწაულზე ხევსურეთში, რჯულიან-ურჯულოთა სალოცავ, ანატორისა და ხახმატის ჯვრებში დადიოდნენ.

სოფ. კობში გამართული ათენგენობის რიტუალში ძირითადად ამ დღეობისათვის ჩრდილოეთ ოსეთიდან საგანგებოდ ჩამოსული ოსები მონაწილეობენ. ათენგენობის, როგორც მოძრავი რელიგიური დღესასწაულის ჩატარების ვადები ამ კონტინგენტისათვის არც თუ ისე მკაფიოა (მაგ. 2016 წელს რამდენჯერმე შეცვალეს დღეობის ჩატარების დრო).



საზღვრის გადმოკეთასთან დაკავშირებული სიძნელების გამო, ბოლო მომენტამდე გაურკვეველია წინამძღოლის (დეკანზის) ვინაობა, საღმრთო ცხოველების ნაცვლად სალოცავზე უკვე მომზადებული (მოხარშული) ხორცი მიაქვთ. მონაწილეთა შეთანხმებით რიტუალში ხშირად შექვთ ცვლილებები და ა.შ.

გაზიარებულ სალოცავებთან კავშირში საინტერესო ”მარიანობის“ დღეობა სოფ. მნაში. მარიანობის ნიში კობიაშვილების სალოცავად ითვლება. სალოცავი მოგვიანებით აქ გადმოსულმა ოსებმა დაიკავეს, თუმცა ყანობის მკვიდრი კობიაშვილები ყოველწლიურად დადიან დღეობაზე ვალ. ითონიშვილის თანახმად, მნის ყოვლადწმინდაში მოხევეები ბავშვებს და პატარძლებს ავერღბდნენ. შესაწირად მიჰყავდათ ერთი ბატყანი და ერთი ბოთლი ზედაშე (ღვინო). თავის მხრივ, ოსები მოსულებს სუფრით უმასპინძლდებოდნენ.¹⁴² დღეობა ზოგჯერ კინკლაობისა და ჩხუბის თანხლებით მიმდინარეობდა.

“4-5 წელი იქნება მნაში დღეობაზე ამოვიდნენ ოსები, მაგრა ვიჩუბეთ. ამოდიან დღეობაზე. მარიანობის ნიშა. მანდ ცხოვრობდნენ კობიაშვილები. მერე გადმოცემით ვიცით გადმოვიდნენ ოსები, ესენი შავიწროვეს და დასახლდნენ აქა. ავიდნენ მარიანობაზე და იქ მოხდა ჩხუბი. ჩხუბი კი ამათი ბრალი იყო. ამათ მამა-პაპის აშენებული ეკლესია არის და მამა-პაპის საძირკველი და სასაფლაოები არის კობიაშვილებისა. ვქეიფობდით იქა და ჩხუბის მიზეზი იყო ჩვენი მიწათ და მიიღეს. არავინ პროვოკატორი იქ არ იყო მოხდა გაუგებრობა. როვორც სიმთვრალეში ხდება არც იმათ დათმეს არც ჩვენა და გახდა ჩხუბი. აი პირველი ამან დაარტყა. კობი არის კობიაშვილების სააზნაურო. მერე გამააქციეს ოსებმა და მამაჩემი ამბობდა იქაო იყო ყანები ჩვენი. მოვიდა ოსი რავი კაცი მაკლა თუ რა და შეიბრალეს და დატოვეს. დასახლდა პირველი ოსი. მერე მოვიდა მერჩ ისი. მერე იმან სხვა მოყვანა და დასახლდნენ.”

გ. ჯალაბაძე კობიაშვილების გვარისა და “მარიანობის” დღეობასთან დაკავშირებით ასეთ ისტორიას აღწერს: გადმოცემით, კობიაშვილები ხევსურეთიდან მოსული ზაგაშვილების განაყარი

142 ითონიშვილი, 2015., 175.

ყოფილან, რომელსაც აქ განაყარი მამის სახელის, კობას და მისი მოდგმის, კობაითას მიხედვით, კობიაშვილების გვარი მიუღიათ. გასული საუკუნის 60-იან წლებში “მარიანობის” დღესასწაულზე მოსულ გვარებს შორის უპირატესობით სწორედ ზაგაშვილები სარგებლობდნენ, რომლებსაც ადგილი სადღესასწაულო სუფრის თავში ეკუთვნიდათ, დანარჩენები კი უფრო ქვემოთ განლაგდებოდნენ ხოლმე.¹⁴³ ამ სოფლის მოსახლე ოსები თრუსოს ხეობის ზედა სოფლებთან შედარებით უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ნათესაობით ხევის, მთიულეთისა და ქართლის ქართველებთან. ამიტომ “მარიანობის” დღეობაზე ქართლის სოფლებიდანაც კი ამოდიოდნენ დამისთევით.¹⁴⁴

როგორც ზემომოტანილი მასალიდან ირკვევა, ამ ბოლო ხანებში სულ უფრო მცირდება ტრადიციულ დღესასწაულებზე ჩამოსული ოსების ოდენობა. სავარაუდოდ, მათმა უმეტესობამ ახალი საცხოვრებელი გარემოსათვის დამახასიათებელ რიტუალებში მონაწილეობით ჩაანაცვლა ძველი დღეობები. პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური გარემოს ტრანსფორმაცია მკაფიოდ აისახა ტრადიციულ რიტუალებზე. „ვაჩილობა“, რომელიც ადრე სოფელ თოთში მცხოვრები ოსების დღესასწაულად ითვლებოდა, ამჟამად მეზობელ სოფელში ჩასახლებული ქართველების ორგანიზებით ტარდება, ისინი წარმოადგენენ ძირითად აქტორებს (დეკანოზი, მედროშე, სუფრის წინამძღოლი და ა.შ) ოსები კი სტუმრის სტატუსით ესწრებიან. შეცვლილია რიტუალის ცალკეული ელემენტები (მაგ სალოცავზე მოაქვთ არა ამისათვის საგანგებოდ განკუთვნილი, არამედ საქართველოს სახელმწიფო დროშა), ქალები მამაკაცებთან ერთად უსხდებიან სუფრას და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებული ტრადიციული რიტუალების ტრანსფორმაციის ხასიათი მჭიდროდ უკავშირდება როგორც ლოკალურ, ისე ზოგადადმიმდინარე კონკრეტულ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს.

143 ჯალაბაძე გ., მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 22-II, თბილისი 1961, გვ. 226.

144 იქვე, 225.

§3 ქართულ-ოსური ურთიერთობის ეთნოკულტურული და ფსიქოლოგიური ასპექტები¹⁴⁵

გლობალიზაციის სწრაფი ტემპით მიმდინარე პროცესი თანამედროვე სამყაროში ადამიანური კონტაქტების და კულტურულ ურთიერთობათა აქტიურობის ფონზე მიმდინარეობს, რაც შედარებით კონსერვატულ ჯგუფებზეც აისახება. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. ტრადიციული სისტემების ეთნოკულტურული სტრატეგია თვითმყოფადობის იზოლაციის გზით შენარჩუნებას ემყარება, ზემოხსენებული გარემოება მათზეც ახდენს გავლენას. როგორც პომოგენურ, ისე მულტიკულტურულ გარემოში შეიძლება დავაფიქსიროთ ერთი შეხედვით ურთიერთობამომრიცხავი ტრადიციონალისტური და ულტრათანამედროვე ტენდენციების თანაარსებობა. ამ ტენდენციებზე გავლენას ახდენს საზოგადობრივ ცხოვრებაში მიმდინარე სოციო-კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პროცესები, რომელთა გაკონტროლებით დაინტერესებული პოლიტიკური ცენტრები ცდილობენ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ განწყობებზე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზეც კი. ამგვარი ჩარევა ზოგჯერ ფართო მასშტაბს იძენს და მნიშვნელოვანი კატაკლიზმების ბიძგად იქცევა. ტიპურ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ საქართველოში მოსკოვის მხარდაჭერით განხორციელებული სეპარატისტული პროცესები.

მე-20 საუკუნის ბოლოს საქართველოში შექმნილი სიტუაცია (ეკონომიკური კრიზისი, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე სამხედრო შეტაკებები, მწვავე კრიმინოგენული ვითარება, ქვეყნიდან გასული ასობით ათასი ადამიანი), ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა სსენებული პროგრამის განხორციელებისათვის. რუსეთი არა მარტო მატერიალური რესურსებით (სამხედრო ძალა, იარაღი, ფინანსები) ამარავებს ანტიქრონულ ძალებს, არამედ იდეოლოგიურ ფრონტზეც აქტიურობს. ცდილობს ქვეყნის მარგინალიზაციას თეორიული წანამძღვრები შეუქმნას. ძლიერი პროპაგანდისტული მანქანა ემსახურება ერთის მხრივ საქართველოს ტერიტორია-

145 წინამდებარე პარაგრაფში მოტანილი სტატისტიკური მასალა მომაწოდა და მის ანალიზში დამეტარა ა. ჯანიკაშვილი

ზე რუსეთის მიერ გამოცხადებული ახალი ”დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის” საფუძვლების შექმნას და ანტიქართული ელემენტების კონსოლიდაციას, მეორე მხრივ კი ქართული საზოგადოების დაქსაქსულობას და პერმანენტული დაბაბულობის შენარჩუნებას. ცდილობს ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე ზემოქმედებას, კონფლიქტის ტერიტორიის გაფართოებას ან მისი ახალი კერის წარმოქმნას.

ამგვარ ვითარებაში ბუნებრივად იზრდება პოლიტიკური ცენტრებიდან წამოსული გზავნილების მნიშვნელობა საზოგადებრივი განწყობების ფორმირების საქმეში. ამ გზავნილების წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო ღრმავდება შინაგანი დაპირისპირება არა მარტივ ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური კუთვნილების, არამედ სოციალური, ასაკობრივი, გენდერული და ა.შ. ნიშნის მიხედვით. პრორუსული ან პროდასავლური პოლიტიკური ორიენტაცია მეტნაკლებ კორელაციაშია ინდივიდის მსოფლმხედველობასთან, განსაზღვრავს მის ეთნიკურ, რელიგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ა.შ წარმოდგენებს. ჩვენი მიზანია გამოვიყვლიოთ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა პოლიტიკური ცენტრებიდან (თბილისი, მოსკოვი, ბრიუსელი, ვაშინგტონი და ა.შ) მომდინარე იმპულსები რუსეთის მოსაზღვრე ყაზბეგის რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური სტერეოტიპების და განწყობების ფორმირებაზე, როგორ აისახება ეს ყველაფერი ეთნიკურ (ქართულ-ოსურ) ჯგუფთაშორის ურთიერთობაზე. როგორია ამ მხარიდან (განსაკუთრებით თრუსოს ხეობის სოფლებიდან) ემიგრირებული ოსების დაბრუნების პერსპექტივა. ქართველების და ოსი ეროვნების წარმომადგენლების ურთიერთობის ინტენსივობა (როგორც მათ მიგრაციამდე, ასევე შემდგომ პერიოდში), ნათესაური კავშირები, ასევე შეხედულებები ოსების პიროვნულ თვისებებზე და სხვა. ზსენებული საკითხების შესახებ უფრო სრული სურათის წარმოდგენისათვის ყაზბეგის რეგიონის გარდა, ფრაგმენტული კვლევა ჩატარდა კახეთში, თბილისა და წეროვნის დევნილთა დასახლებაშიც.

იმთავითვე დავუშვით ვარაუდი, რომ ყაზბეგის რეგიონში ქართულ-ოსურ ურთიერთობაზე თავისებურად აისახებოდა გარკვეული მოვლენები: მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან – 1944


წლიდან ოსების მასობრივი მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიაში იქნადან დეპორტირებული ინგუშების ნასახლარებზე; ქართულ-ოსური კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში; რუსეთის მიერ სავიზო რეფიმის გამოცხადება და სასაზღვრო რეგიონის მოსახლეობისათვის გარკვეული შედავათების მინიჭება; რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი; რუსული პოლიტიკის ტრანსფორმაცია აგვისტოს ომის შემდეგ და ა.შ.

რეგიონიდან ოსთა იმიგრაციას, მდგომარეობის კიდევ უფრო დაძაბის მიზნით, ხშირად უკავშირებენ გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში გააქტიურებულ ეროვნულ მოძრაობას, 90-იან წლებში შიდა ქართლში განვითარებულ ქართულ-ოსურ დაპირისპირებას, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ პოლიტიკას და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ფაქტორები გარკვეულ როლს თამაშობდა ოსთა ყაზბეგის რეგიონიდან გადინებაზე, თუმცა, როგორც ითქვა, მიგრაციული პროცესი შედარებით ადრე, გასული საუკუნის 40-იან წლებში ჩანს დაწყებული. 1944 წელს ოსები მასობრივად გადავიდნენ თრუსოს ხეობიდან, კობიდან და ყაზბეგის რაიონის სხვა სოფლებიდან ჩრდილოეთ კავკასიაში დეპორტირებული ინგუშების ადგილებზე. მოგვიანებით, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების და სოციალ-ეკონომიკური განვითარების ნაკლები პერსპექტივისგამო ადამიანები სამუშაოდ და საცხოვრებლად ხშირად მიდიოდნენ ჩრდილოეთ ოსეთში. აღმოჩნდა ისე, რომ ოსთა ძირითადი ნაწილი, გასული საუკუნის 90-იან წლებისათვის მხოლოდ ზაფხულობით შემოდიოდა, და რეგიონს ზაფხულის საძოვრებად იყენებდა, ზამთარში კი მხოლოდ მოხუცები და ახალგაზრდების მცირე ნაწილი რჩებოდა.¹⁴⁶

საყურადღებოა, რომ ანალოგიურ სურათს იძლევა ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვა ოსთა ყაზბეგის რეგიონიდან მიგრაციის მიზეზებზე. შეკრებილი მასალის ანალიზის შედეგად გამოვყავით სამი ძირითადი ფაქტორი: საქართველო-რუსეთის გზის ჩაკეტვა და მასთან დაკავშირებული გართულებები (მაგ. მსხვილფეხა საქონლის ტრანსპორტირების პრობლემა); არასახარბიერლ


146 ჯანაშვილი ლ., ფაზბეგის რეგიონის ოსური მოსახლეობის მიგრაციის სოციალ-პოლიტიკური და ეთნო-კულტურული ასპექტები. კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, XVII, თბილისი, 2016, გვ. 154-175.

პოლიტიკური ვითარება (დაუცველობის განცდა/შიში, ქვეყანაში არსებული არეულობა) და სოციალ-ეკონომიკური; როგორი ბუნებრივი პირობები. რესპონდენტთა იმ პასუხებიდან, რომლებიც კონკრეტულ მიზეზებს შეიცავს (იგულისხმება პასუხები გამოტოვებული მონაცემებისა და “მიჭირს პასუხის გაცემა/არ ვიცი” მონაცემების გამოკლებით) 53% მიგრაციის გამოწვევად მიჩნევს არასახარბიელო სოციალურ, ეკონომიკურ და გარემო პირობებს; 35% – ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას (“კონფლიქტის დროს შეეშინდათ”, “არეულობა იყო ქვეყანაში”) უკავშირებს, 29% გზის ჩაკეტვით გამოწვეულ გართულებებს. 28 პროცენტი კი აცხადებს, რომ მიგრაცია დაიწყო ქართულ-ოსური კონფლიქტის გაღვივებამდე ათწლეულობით ადრე და ოსური სოფლების (კობი, თრუსოს ხეობაში არსებული სოფლები) საბოლოო დაცლამდე იქ მოხუცებილა ცხოვრობდნენ, დიდი ნაწილი კი მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდა საძოვრებზე საქონლის გამოკვების ან დასვენების მიზნით.



მე-20 საუკუნეში ყაზბეგის რეგიონის მკვიდრ ქართველებს ისებთან ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ. რესპონდენტთა 80.8 პროცენტი, ამბობს, რომ 2000 წლამდე ან უფრო ადრეც აკავშირებდა მათთან ნათესაობა, სამსახური, მეგობრობა, მეზობლობა და ა.შ მხოლოდ 7,7 პროცენტი აცხადებს რომ ამგვარი კავშირები არ ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ უფრო ახალგაზრდა 35 წლამდე

ასაგის რესპონდენტთა 11,5 პროცენტი საერთოდ უარყოფს ოსებ-თან ურთიერთობას, 33 პროცენტი კი დღესაც ინარჩუნებს გარ-კვეული ტიპის კონტაქტებს. საერთო ჯამში, ყველა ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტთა 42,3% ამბობს, რომ დღემდე აქვს ოსებთან კავშირები. მათგან ვისაც ადრე ოსი ნაცნობი ჰყავდა 60,1 პროცენტი მათთან მეგობრობდა, დანარჩენს კი – ნაცნობობა ან მეზობლობა აკავშირებდა.



უფრო აქტიური იყო ეს ურთიერთობა ოსების კომპაქტური და-სახლების მეზობლად ან შერეულ სოფლებში მცხოვრებ ქართვე-ლებსა და ოსებს შორის. ვალ. ითონიშვილის მიერ სოფ. ყანობსა და ხურთისში (ეს სოფლები თრუსოს ხეობასა და სოფ. კობთან ყველაზე ახლოს მდებარეობს) ფიქსირებული მონაცემებით ამ ორ სოფელს საადგილმამულო ურთიერთობა აკავშირებდა ოსებით დასახლებულ სოფ. მნას, შავარდენსა და კობთან. ყანობსა და ხურ-თისში ხსენებული სოფლებიდან გადმოსული გვარები (მაგ. კო-ბიაშვილები, ითონიშვილები) სამეურნეო და რელიგიურ კონტაქ-ტებს ინარჩუნებდნენ. ისინი საქონელს მნის მთებში აძოვებდნენ, ცხვრის წველის სეზონში მამაპაპისეულ სახლებში ცხოვრობდნენ და რძის პროდუქტებსაც იქვე ამზადებდნენ. კობიაშვილებს მნაში წისქვილიც ჰქონიათ, რომელსაც შემდეგ იქ დასახლებული ოსები ხმარობდნენ და კობიაშვილებს კულუხს უხდიდნენ მინდის სახით. ყანობის და ხურთისში მკვიდრო ყანები ჰქონიათ სოფ. კობში, ამ

ყანებით მოგვიანებით იქაური ოსები სარგებლობდნენ და სანაც-ვლოდ ყანობელებსა და ხუროთისელებს კურატითა და სუფრით უმასპინძლდებოდნენ.¹⁴⁷

ქართულ-ოსური ურთიერთობის კვლევისას ძალზე მნიშვნელოვანია ე.წ. გაზიარებული სალოცავების საკითხი. სოფ. მნაში ”მარიანობის“ ნიში კობიაშვილების სალოცავად ითვლება. სალოცავი მოგვიანებით აქ გადმოსულმა ოსებმა დაიკავეს, თუმცა ყანობის მკვიდრი კობიაშვილები ყოველწლიურად დადიან დღეობაზე. ვალ. ითონიშვილის თანახმად მნის ყოვლადწმინდაში მოხევეები ბაგშვებს და პატარძლებს ავედრებოდნენ. შესაწირად მიჰყავდათ ერთი ბატყანი და ერთი ბოთლი ზედამე (ღვინო). თავის მხრივ ოსები მოსულებს სუფრით უმასპინძლდებოდნენ.¹⁴⁸

დიდ სათემო ქრისტიანულ დღესასწაულებზე ქართველების და ოსების თანაზიარობა ჩვეულებრივი ამბავი იყო. აქ მრავლად მოდიოდნენ სხვა მომლოცველებიც. მაგალითად გერგეტობაზე რუსეთი-დანაც კი ჩამოდიოდნენ პილიგრიმები. სანამ საზღვარზე პრობლემები შეიქმნებოდა, რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოდიოდნენ. მთხრობელთა გადმოცემით ე.წ. ”ბაბუშკები“ ფეხით მიღიოდნენ გერგეტზე და მანქანა რომ გაგეჩერებინა არ ჩაგიჯდებოდნენ. გერგეტზე ასულები ყვავილებით მორთავდნენ კელესიას და სამი-ოთხი კვირა რჩებოდნენ იქ.¹⁴⁹ ჯვარ-ხატობაზე სტუმარ-მასპინძლის ურთიერთდამოკიდებულება და ღვთაებასთან მათი ურთიერთობა საყურადღებო საკითხია,¹⁵⁰ რომელიც ცალკე კვლევას მოითხოვს.

საყურადღებოა ფაქტორები, რომლებიც რეგიონის ოსურ-ქართული მოსახლეობის ურთიერთობის დინამიკაზე ახდენს გავლენას. ამ მხარის მოსახლეობა ხშირად დადიოდა ვლადიკავკაზში პროდუქტების შეძენის, ექიმთან ვიზიტისა თუ გართობის მიზნით. ამასთანავე, ხშირი იყო ე.წ. ქანქარისებული მიგრაციის ფაქტებიც – როდესაც ადამიანი მუშაობის ან სწავლის მიზნით ყოველდღიურად ჩადიოდა ვლადიკავკაზში. ბევრი მოხევე ამბობს, რომ წლების

147 ითონიშვილი ვ. მოხევების ყოფა-ცხოვრება, თბილისი, 2015, გვ. 174-175.

148 იქვე, გვ. 175.

149 შერგაძე ი., ქართულ-ოსური საკომუნიკაციო არხები ფაზბევის რაიონში, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძეგლანი, XVII, თბილისი 2016, გვ. 217.

150 შარაბაძე თ., ქართველთა წარწმიდგენები სასიცოცხლო ნაწილაკის შესახებ, ანალები, № 12, თბილისი, 2012, გვ. 289-218.

განმავლობაში ცხოვრობდა ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე (იქ დაამთავრა სკოლა ან უმაღლესი სასწავლებელი, იქვე მუშაობდა და ა.შ.). დავინტერესდით იმითაც ჰყავთ თუ არა ჩვენ რესპონდენტებს ნაცნობები ან ნათესავები ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 50%-ს ჰყავს მინიმუმ ერთი ისეთი ნაცნობი ან ნათესავი, რომელიც ვლადიგავკაზში ცხოვრობს. მათი უმრავლესობა რესპონდენტთა ქართველი ნათესავები არიან, რომლებიც ძირითადად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დასახლდნენ ჩრდ. ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში.

”ოსებთან კარგი ურთიერთობა გვქონდა ჩვენ... ორჯონიკიძის გზა რომ იყო გახსნილი, ჩვეულებრივად დავდიოდით, ნათესაობაც გვყვდა იქ. გუშინაც ვლაპარაკობდით მაგაზე, რომ არცერთი მოსახლე არ არის ოსი ნათესავი რომ არ ჰყავდეს. მე თვითონ მაზლის ცოლი მყავდა, რაღაც მყავდა ოსი“ – (შუაბნის ქალი, სოფ. აჩხოტი)

კომუნიკაციის ინტენსიურობა განპირობებული იყო ტერიტორიული სიახლოეთ და გადაადგილების სიადვილით. სტეფანწმინდიდან ვლადიგავკაზამდე მანძილი 45 კილომეტრია, ხოლო თბილისამდე – 155, თანაც ზამთრის პერიოდში ხშირად იკეტებოდა კობი-გუდაურის მონაკვეთი. შესაბამისად, ვლადიგავკაზი ყაზბეგის მოსახლეობისთვის ყველაზე ადვილად მისადგომ ეკონომიკურ და საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბდა. მეორე მხრივ, მიმოსვლის სიმარტივის გამო, ყაზბეგის რეგიონიც მიმზიდველი იყო ოსებისათვის. როგორც ჩანს, ბევრი მათგანი ზამთრის პერიოდს ვლადიგავკაზში, ხოლო ზაფხულის პერიოდს – თრუსოში ან ხევში ატარებდა, ეს კიდევ უფრო აქტიურს ხდიდა ქართულ-ოსურ ურთიერთობებს.

”ქართველები კი ვიყავთ, მაგრამ თბილისში წავსულიყვავ ბაზარზე მეყოდა და რაღაცა მომეტანა, ორჯერ შევვეძლო ორჯონიკიძეში ჩავსულიყვათ და ამოვსულიყვათ. პროდუქტი იყო თუ რა იყო“. (სოფ. აჩხოტი).

რამდენიმე ინტერვიუში გვითხრეს, რომ დიდოვლობისას კობი-გუდაურის მონაკვეთი იკეტებოდა და თუ თბილისში აუცილებელი საქმე ჰქონდათ, ჩრდილოეთ კავკასიის და შემდეგ აზერბაიჯანის საზღვრის გავლით მიღიოდნენ ხოლმე.

ზემოხსენებული გარემოება ქართველებისა და ოსების ნათე-საური კავშირების სიხშირეზეც აისახა. გამოკითხულთა 80%-ზე მეტს ჰყავს ოსი ნათესავი. რესპონდენტთა 33.3% ჰყავს ოსი ეროვ-ნების დედა ან ბებია, 9.5%-ს – ოსი მეუღლე, ხოლო ნახევარზე მეტი აცხადებს რომ მისი ახლო ნათესავი (და, მმა, შვილი, დეიდა, მამიდა, ბიძა, დეიდაშვილი, მამიდაშვილი ან ბიძაშვილი) დაქორწი-ნებულია ოსი ეროვნების ადამიანზე. ამრიგად ყაზბეგის რეგიონში საკმაოდ გავრცელებული იყო შერეული ქორწინებები, განსაკუთ-რებით კი ქართველ მამაკაცებსა და ოს ქალებს შორის. მთხო-ბელთა ინფორმაციით შედარებით იშვიათი იყო ისეთი შემთხვევე-ბი, როდესაც ქართველი ქალი ოსზე ქორწინდებოდა.

”შეიძლება გამაღიზიანებელიც იყოს, მაგრამ ასაკიან კაცს ცო-ლი რომ მოუკვდებოდა ყაზბეგში, ორჯონიქიძეში მიღოდა და იქ ადვილად ითხოვდა ოსის ქალს. მაშინ, როცა ჩვენი ქართველები არ თხოვდებოდნენ მასზე იმიტომ, რომ სირცხვილად ითვლებოდა. თუ იქნებოდა ვინმე ეგეთი, რომ მოუკვდებოდა ცოლი და მომვლე-ლი უწდოდა. იყო შემთხვევები, რომ კარგი ქალი აღმოჩნდებოდა და უწევდა მომვლელობას. ერთი შემთხვევა ჩვენს სოფელში მოხდა, ის კაცი იყო 74 წლის და შვილი შეეძინა. ოსი მოიყვანა, ახალგაზრდა გამოყოლეს იქდანა. აღბათ ქალი იყო ისეთი, რო შეეძლო შვილის გაჩენა. ღრმა სიბერემდე იყვნენ ერთად და როცა აირია სიტუაცია ის კაციც გაყვა და წავიდნენ ოსეთში.” (სოფ. არშა).

უნდა ითქვას, რომ შერეული ქორწინება ყაზბეგის რეგიონში უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ხასიათდება ვიღრე ქსნის ხეობაში. წეროვანის დასახლებაში ჩატარებული გამოკვ-ლევის თანახმად გამოკითხულთა, 37% ოსებთან შერეულ ქორ-წინებაში მყოფი ნათესავები და ახლობელები არ ჰყავს.¹⁵¹ სხვათა შორის ე. ფირცხალავას გამოკვლევით დადგინდა რომ, ბოგადუსის სოციალური დისტანციის სკალაზე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს (რუსი, ოსი, აფხაზი, სომები, აზერბა-იჯანელი და ებრაელი) შორის, ოსების მიმართ დამოკიდებულება ყველაზე ლოიალურია. ოსი ეროვნების ადამიანების მიმართ სო-

151 ფირცხალავა ე., ახალგორის რაიონიდან დენბილი მოსახლეობის სოციალური განწყობები, ნდობა და მომავლის იმედი, წიგნში “ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა”, თბილისი, 2015, გვ. 184-185.

ციალური დისტანციის ამ მონაცემების მიხედვით ახლო მეგობრობაზე 20% თანახმა, ხოლო ქორწინებაზე 56%.¹⁵²


წეროვანის დევნილთა დასახლებაში გამოკითხული ყველა რესპონდენტი ადასტურებს ოსი ეროვნების ადამიანებთან ნაცინობობას. მეტიც, მათი უმრავლესობა (გამოკითხული - 72%) აცხადებს, რომ ჰყავს ან წარსულში ჰყავდა ოსი მეგობარი, მაშინ როცა ყაზბეგის მოსახლეობაში ანალოგიური მაჩვენებელი 46%-ს შეადგენს. ამასთანავე, გამოკითხულთა დიდი ნაწილი (72%) ამბობს, რომ ახლაც აქვს ურთიერთობა ოსი ეროვნების ადამიანებთან (ყაზბეგის მაჩვენებელია 42,3%-ს). ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შიდა ქართლის ამჟამად ოკუპირებულ სოფლებში ყაზბეგის რაიონთან შედარებით უფრო ინტენსიური იყო ქართულ-ოსური ურთიერთობა და გარკვეულწილად ეს კავშირები ახლაც ნარჩუნდება. სავარაუდოდ ეს დაკავშირებულია კომუნიკაციის შესაძლებლობასთან. ახალგორის რაიონიდან დევნილ მოსახლეობას მეტად უადვილდება გადასვლა მშობლიურ რაიონში და ამდენად ოსებთან ურთიერთობების მეტი შესაძლებლობაც აქვთ. ქარელისა და ჯავის მუნიციპალიტეტებიდან დევნილებს კი საკუთარ სოფლებში ჩასვლის უფლება საერთოდ არ ეძღვათ. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტის (63,6%) თქმით, მათი მეგობრები ან ნათესავები ამჟამადაც ცხოვრობენ ჩრდილოეთ ოსეთის ან ყოფილი სამხრეთ ოსების ავტონომიური ოლქის ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ანალოგიური მაჩვენებელი ყაზბეგის მოსახლეობის შემთხვევაში 50% შეადგენს.

ოსებთან ახლო ურთიერთობისთვის მზაობის ილუსტრაციისათვის, საინტერესოა, რომ ყაზბეგის რეგიონში გამოკითხულ მოხევეთა ნახევარზე მეტი (54%) თანახმა მისი ოჯახის წევრი ოსებთან დაქორწინდეს, 19% უარს არ იტყოდა – თუმცა მაინც ქართველი სიძე ან რძალი ურჩევნია, ხოლო 15% არ სურს ოსებთან დამოყვრება.

ჯგუფთაშორის ურთიერთობის აქტივობა სოციალ-პოლიტიკურის გარდა დამოკიდებულია სოციალ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, როგორიცაა: პოზიტიურობა – ნეგატიურობა, ეთნიკური

152 იქვე, გვ. 185.

იდენტურობის მკაფიოობა — ამბივალენტურობა; დისკრიმინაციის არსებობა-არარსებობა (მისი ხარისხი); რელიგიურობა და ა.შ. ერთმანეთის გვერდით მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები ურთიერთობის შემდგომ სტრატეგიებს იყენებენ: 1. სხვა ჯგუფებთან სოციალური დისტანციის შემცირება ან გაზრდა; 2. საკუთარი კულტურის შენარჩუნების განწყობა და განწყობა ეთნიკური ან კონფესიური ნიშნით.¹⁵³ არსებობს საკუთარი იდენტობის დაცვის მქანიზმებიც, როგორიცაა 1. საკუთარი კულტურის დაცვა და ”უცხოთა“ კულტურული ელემენტების მიღებაზე უარის თქმა 2. საკუთარი კულტურული განსაზღვრულობის მოძიება და დაცვა. 3. ეთნიკური და კონფესიური ნიშნით დისტანცირება 4. პოზიტიური და მკაფიო ეთნიკური იდენტურობის შენახვის ან შეძნისაკენ მიმართული სოციალური ჩართულობის ძიება.¹⁵⁴ ამრიგად, სტრატეგიის ერთგვარ შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ჯგუფის იზოლაციის ან ინტეგრაციის ხარისხი.



კულტურული ინტერაქციის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენტეგრაციულ სენსიტიურობას, რომელიც ჯგუფთა-შორის ურთიერთობაში ვლინდება. სენსიტიურობის დონეს განაპირობებს მოტივები, ანუ პრიორიტეტულ ღირებულებათა იერარქია.

153 Идентичность и толерантность". (Отв. ред: Н.М.Лебедева). М., Изд-во ИЭАРАН, 2002, с. 5-7.

154 Идентичность и толерантность. (Отв. ред: Н.М.Лебедева). М., Изд-во ИЭАРАН, 2002,с. 350-396.

ცალკეული კვლევებით დადგინდა, რომ ღირებულებათა იერარქია ადაპტირდება და ერგება არსებულ სიტუაციას, მასზე გავლენას ახდენს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სისტემა, რელიგია, განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობის ხასიათი და სხვა ფაქტორები. ბენეტის თანახმად ინტერკულტურული სენსიტიურობა განვითარების ეთნოცენტრულ და ეთნორელატიურ ფაზებს მოიცავს¹⁵⁵ და ექვსი საფეხურისგან შედგება, სრული გაუცხოებიდან (ეთნოცენტრისტული მიუღიბლობა) ეთნორელატიურ ინტეგრაციამდე.

ამ მიმართებით განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი და ოსი ეროვნების ადამიანების განწყობები, ერთმანეთის პიროვნული თვისებების, კულტურისა და ტრადიციების და ქართულ-ოსური თანაცხოვრების პერსპექტივის მიმართ. კვლევამ გვაჩვენა, რომ გამოკითხულთა 77% პროცენტი დადგებითად აფასებს ქართველებსა და ოსებს შორის წარსულში არსებულ ურთიერთობას. მათი თქმით, ამ ურთიერთობას ძირითადად მეგობრული ხასიათი ჰქონდა და ეთნიკური განსხვავებები არ წარმოადგენდა განხეთქილებისა და კონფლიქტის მიზეზს. თუმცა, იხსენებენ დაპირისპირების შემთხვევებსაც. ერთი სიტყვით, გადამწყვეტ ფაქტორს რესპონდენტის განწყობა წარმოადგენს. ერთმა მოხევემ გაიხსენა, თუ როგორ წაართვეს ოსებმა ცხვრები მას შემდეგ, რაც შეიტყვეს რომ ის ქართველი იყო. სოფ. ყანობში გვამბეს კონფლიქტზე, რომელიც გასულ წელს სოფ. მნაში დღეობაზე მისულ ქართველებსა და ოსებს შორის მოხდა. შეგვხდინენ ადამიანები, რომლებიც ოსებთან ურთიერთობის მხოლოდ დადებით შემთხვევებზე ყვებოდნენ. რამდენიმე ისტორია გვიამბეს იმის შესახებ თუ როგორ დაუდგნენ მსარში ვლადიკავკაზელი ოსები ქართველებს, მაშინ როდესაც საქართველოდან ჩრდილოეთ ოსეთში ჩასული ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსები, “კუდარცები” მათ შეურაცხყოფას აყენებდნენ და ავიწროებდნენ.

ოსი ეროვნების ადამიანთა პიროვნული შეფასებისას შემდეგი კომპონენტები გამოვლინდა: გამოკითხულთა ნახევარი თვლის, რომ ოსები განსაკუთრებით პატივს სცემენტ უფროსი თაობის წარმო-

155 წერეთელი მ.,ქართველ,სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტთა ინტერკულტურული სენსიტიურობა საქართველოში, თბილისი, 2015 გვ. 8-12.

მადგენლებს. ისინი ზედმიწევნით იცავენ ასაკობრივ იერარქიას და ქალებთან ურთიერთობის ეტიკეტს.

„სიმართლე გითხრა განა, ღმერთის მადლომა შვილო, ემ დროსა ოსებს უფრო ზრდილობა აქვს შარჩენილი, ავტობუსში, რომ არ შახდე ოსს უკან ვერ დაინახავ მანდილოსანსა, წინ სხედან სულ და უკან კიდევ ჯელობა, აქა ჩვენთანა?! შასავალი გინდა, რომ შასავალი იყოს, რომ შაძრე“ – ამბობს სოფ. გარბანის მკვიდრი მოხუცი მოხევე.

მრავალი რესპონდენტის თქმით, ოსურ კულტურაში იმდენად ბუნებრივია ამგვარი იერარქია, რომ გასაკვირი იქნებოდა მაგ. ოსი ახალგაზრდისა და ხანშიშესულის ერთ სუფრაზე ჯდომა. ამგვარი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ სოფ. ყანობში შემდეგი ისტორია გვიამბეს: სოფ. კობში ვლადიკავკაზიდან იყვნენ ჩამოსული ოსები დაკრძალვაზე ერთი ავტობუსით და ათიოდე მსუბუქი მანქანით. ქელების შემდეგ მსუბუქ მანქანებში ჩამისხდარმა ახალგაზრდებმა ადგილი ხანდაზმულებს დაუთმეს, თავად კი ავტობუსში გადავიდნენ. ვლადიკავკაზისაკენ მიმავალი ავტობუსი დარიალის ხეობაში ხრამში გადაიჩეხა და ორმოცამდე ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლა. მათი ტრაგიკული აღსასრული არანაკლებ განიცადეს მოხევეებმაც და დღემდე გულისტკივილით იხსენებენ ამ ამბავს. თუმცა სოფ. ყანობში ისიც აღნიშნეს, რომ ახალგაზრდების სიცოცხლე უფროსების პატივისცემის ტრადიციას შეეწირა.

”აბა ოსები არ კობიან უვროპელებს?! ეს უვროპელები ძუნწები არიან, ერთ პურს თუ იყიდის რამდენიმე კაცი. ოსებ წესიც კარგი აქვთ უფროსის პატივისცემა იციან, სტუმრის დაფასება, სუფრაზე ქალები ცალკე სხდებიან, დროული კაცები ცალკე, ახალგაზრდები კი ცალკე“ - გვეუბნება ახალგაზრდა მოხევე სოფ. არშაში.

გამოკითხულ რესპონდენტთა ერთი მესამედი ოსების გამორჩეულ ნიშან-თვისებად ასახელებს მეგობრულობას, ზოგადად სხვების პატივისცემასა და დახმარების გაწევის სურვილს. აღნიშნავენ სტუმართმოყვარეობას (ოსებმა კარგად იციან სტუმრის მიღება და პატივისცემა), გულუხვობას (გასცემენ ფულად დახმარებებსა თუ საჩუქრებს განსაკუთრებით ქორწილის, ნათლობისა თუ დაკრძალვის დროს). ამასთანავე რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ოსები

დღემდე მკაცრად იცავენ ბეჭელ ტრადიციებს და ნაკლებად იცვლი-ან ცხოვრების წესს თანამედროვეობასთან შესაბამისად.

”ოსები უღალატო ხალხია სიტყვას იტყვიან და შეასრულებენ....მეც დღემდე მაქვს უთიერთობა დედაჩემის ნათესავებთან (დედა ოსი იყო – ღ.პ.), დედაჩემი როცა ცოცხალი იყო სულ ეხმარებოდნენ გვერდში ედგნენ.”- (შუა ხნის ქალი სო. გარბანი)

რესპონდენტთა 11%-მა ოსი ეროვნების ადამიანების დასახასიათებლად გამოიყენა ტერმინები: აგრესიულობა და არასანდოობა. რამდენიმე მთხოობელმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ოსები ნაკლებად არიან ნაზიარები თანამედროვე კულტურას. შეიძლება სადღესასწაულო სუფრაზე (ქორწილი, ნათლობა და ა.შ.) სპორტულ ტანსაცმელში ჩაცმული მივიღნენ. ერთმა მთხოობელმა გვიამბო ”ოსების ქორწილში ვიყავ ორჯონიკიძეში (დღევანდელი ვლადიკავკაზი), სუფრაზე მარილს პირდაპირ ქაღალდებზე ყრიდნენ. მე დავიძახე „მორი ცხვრები ვვონივართ, სამარილეც კი არ მოგვიტანესო. იქაურებმა ჩემი ხუმრობა ვერც კი გაიგეს”.

სოფ ყანობში კი გვითხრეს – ”თრუსოულმა ოსებმა თევზი არ იციან, საინა არ იციან. მოხარშავდნენ ხორცს, ცოტა უმადაც, დაყრიდნენ დიდ ნაჭრებს მავიდაზე, ყველას ჰქონდა დანა ხორცის ჩამოსათლებულად. მოჰქონდათ ოლიბაზი, კარტოფილისა და ყველი-საგან გამოტკვარი დიდი ხაბიძენი და სახარავინი (ფხლოვანი) დადებოდნენ ამას, მარილს პირდაპირ სუფრაზე დაყრიდნენ, თევზი არა ჰქონდათ მავათ. სამი ჭიქა ჰქონდათ მხოლოდ და რიგ-რიგობით სვამდნენ თბილ არაყს”.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 50%-ის აზრით ქართველები და ოსები ერთმანეთს გვანან ადათ-წესებით, ტრადი-ციებით, კულინარით, საქაულით, ზრდილობით.

”ერთნაირი გვაქვს ყველაფერი. კუხნაც კიდევ თითქმის ერთნაირი არის. ხაბიზგინები იცოდნენ ოსებმა, ჩვენც კრუ. ეხლა პირველი სტუმარი რომ მოდის პირველი გამასპინძლება ჩვენიც უ არის.”

27% ამ ორ ჯგუფს შორის მსგავსებას ვერ ხედავს. თუმცა გამოკითხულთა დაახლოებით მეოთხედი აცხადებს, რომ უჭირს ოსების შეფასება, მათთან ურთიერთობის არც თუ ინტენსიური ხასიათის გამო. ქართველებისა და ოსების მსგავსებასთან დაკავ-

შირებული პასუხების ანალიზი გვიჩვენებს სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში არსებულ ტენდენციაზე. კერძოდ, შედარებით ხანდაზმულ (60 წლის და მეტი ასაკის) რესპონდენტთა სრული უმრავლესობა (გამოტოვებული პასუხებისა და “მიჭირს პასუხის გაცემა/არ ვიცი” პუნქტის გამოკლებით), ოსებს ქართველების მსგავსად მიიჩნევს, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი საშუალო (40-59) და დაბალ (18-39) ასაკობრივ ჯგუფებში შესაბამისად 50%-ია და 33%.

წეროვანის დევნილთა დასახლებაში ჩატარებულმა გამოკითხვამ შემდეგი სურათი აჩვენა. ოსი ეროვნების ადამიანების დახასიათებასთან დაკავშირებული კითხვა, რესპონდენტთა უმრავლესობამ (72%) ღიად დატოვა და განაცხადა რომ უჭირს პასუხის გაცემა ან ვერაფრით გამოარჩევს მათ. იყო სხვა ტიპის პასუხებიც, რომ ოსები წარმოუდგენიათ, როგორც თბილი და მეგობრული ხალხი, ან მათ შედარებით ცივ და ნაკლებად ფამილიარულ ადამიანებად მიიჩნევენ (ორივე შემთხვევაში ურეთიერთობის არც თუ დიდი გამოცდილება ჰქონდათ).

მოხევები ერთმანეთისაგან დამეტრალურად განასხვავებენ ჩრდილოეთ ოსებს “ირონცებს” და ე.წ. ცხინვალის რეგიონიდან და სხვა ქართული ტერიტორიებიდან მიგრირებული ოსებს, “კუდარცებს”. ინტერვიუების დროს აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელი ჯგუფის მიმართ მოხევეთა უმრავლესობა უარყოფითადაა განწყობილი. ისინი ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოსებს აგრძიულებად და უსამართლოებად აფასებენ. საინტერესოა ისიც, რომ მოხევეების აზრით ანალოგიური დამოკიდებულება აქვთ ”კუდარცების” მიმართ ჩრდილოელ ოსებსაც და მათ შორის არც თუ ისე კარგი ურთიერთობაა.

”ეხლაც ჩემი დისტვილი ორჯონიკიძეში ცხოვრობს. ოსებთან ძალიან კარგი დამოკიდებულება გვქონდა. იმ ოსებს ვუყვარდით ჩვენა, ქართველები და განსაკუთრებით ყაზბეგის მოსახლეობა. იქმდან (საქართველოს სხვა რეგიონებიდან ღ.ჯ.) რომ წავიდნენ ლტოლვილები კუდარცები, არ უყვართ ეს ვინები მოვიდნენ, ვინები არიან და უნდა გენახათ როგორი ჩხუბი ჰქონდათ” – (სოფ. გორისციხე)

ინდივიდიების ან ეთნიკური ჯგუფების ხანგრძლივი ურთიერთობის პირობებში ინტეგრაციას თან სდევს მათი კულტურული მოდიფიკაცია ანუ აკულტურაცია როდესაც ორივე ჯგუფის ამოსაგალი კულტურული ნიმუშები მეტ-ნაკლებად იცვლება და ვღებულობთ გარკვეულ კულტურულ უნიფიკაციას. ჩვეულებრივ, ეს პროცესი თავისოვად მიმდინარეობს და ღირებულებითი ორიენტაციის, როლური ქცევებისა და სოციალური განწყობის ცვლილებებით ხასიათდება.¹⁵⁶ ამიტომ გასაკვირი არაა, რომ გამოკითხულთა ნაწილის აზრით საქართველოდან წასული ”კუდარცები” კულტურულად ”ჩრდილოელ ოსებზე” ბევრად მაღალ საფეხურზე დგანან, რადგან მათ ქართული კულტურის გავლენა განიცადეს და მრავალი ელემენტი მიიღეს. რამდენიმე რესპონდენტის ნაამბობში ჩანდა, რომ სწორედ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსების მიგრაციის შემდეგ ”ამაღლდა” ჩრდილოეთ ოსების კულტურა, რომელიც მანამდე უფრო ჩამორჩენილი იყო.

”ორკონიკიძეში რომ ჩავდიოდით კედავდით, საქართველოდან რომ იყვნენ ჩამოსულები კუდარცები, ზოგი მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა, არც ოსური იცოდნენ, არც რუსული. ეგეთი ოსებიც არიან.” – (სოფ. სიონი)

ბუნებრივია, ”კუდარცებს” მაწერენ, არა მარტო ცხინვალის რეგიონიდან, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მიგრირებულ ოსებსაც. სხვათა შორის, წეროვანის დევნილთა დასახლებაში ჩატარებული გამოკითხვა ირიბად ადასტურებს, ყოფილი სამხრეთ აღმოჩენის რესპუბლიკაში ოსების ინტეგრაციის საკმაოდ მაღალ ხარისხს. გამოკითხულთა (82%) ქართულ-ოსურ ურთიერთობებს დადგებითად აფასებს. მცირე ნაწილი კი ამ ურთიერთობის დროთა განმავლობაში ცვლილებას უსვამს ხაზს, ან უარყოფით ხასიათზე საუბრობს.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთაგან ნაწილი არ განარჩევს ქართველებსა და ოსებს, ხშირად არც იცოდნენ, რომ მათი მეზობელი ან ნაცნობი ეთნიკურად ოსი იყო. როგორც აღვნიშნეთ ამგვარი დამოკიდებულება მიგვანიშნებს, რომ ყოფილი სამხრეთ

156 ჯალაბაძე ნ. აკულტურაციის თავისებურებები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, წიგნში ”სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური აპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში”, თბილისი, 2011, გვ.181.

ოსეთის ავტონომიურ ოლქში (განსაკუთრებით კი ახალგორის რაიონში) ეთნიკურად ოსი მოსახლეობის ქართულ მოსახლეობასთან კულტურული და ეთნიკური ინტეგრაციის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო. ქარელის რაიონიდან დევნილი მამაკაცი (43 წლის) იხსენებს, რომ 1990 წლამდე მის სოფელში მცხოვრები ქართველები და ოსები საკმაოდ ახლოს იყვნენ და თავად მასაც ჰყავდა ბევრი ოსი მეგობარი. 1990 წლიდან, მას შემდეგ რაც ცხინვალის რეგიონში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა, ეს ხალხთა შორის ურთიერთობებზეც აისახა. გახშირდა ძარცვისა და მოტაცების ფაქტები, გაწყდა მეგობრული ურთიერთობები. თუმცალა, რესპონტი იმასაც დასძენს, რომ კონფლიქტის მწვავე ფაზის გავლის შემდეგ 2000-იანი წლებისთვის ქართულ ოსური ურთიერთობები გარკვეულ წილად აღდგა.

უნდა ითქვას, რომ არსებობს საპირისპირო თვალსაზრისიც. ზოგიერთი რესპონდენტი ხაზს უსვამს ქართულ-ოსური დაპირისპირების სიმძაფრეს. მაგ. ახალგაზრდამ (26 წლის), რომელიც კონფლიქტამდე დიდი ლიახვის ხეობის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა, გვითხრა, რომ ამ რეგიონში არ ახსოვს ქართველებსა და ოსებს შორის მშენილობიანი თანაცხოვრება (“ოსები ჩვენს მიმართ ყოველთვის მტრულად იყვნენ განწყობილები”). მისივე თქმით, მათთან სოფელში რამდენიმე ოსი ცხოვრობდა და ასევე ცოტა იყო შერეული ოჯახიც.


ყაზბეგის რეგიონში ქართულ-ოსური თანაცხოვრების პერსპექტივასთან დაკავშირებით შემდეგი სურათი გამოიკვეთა: გამოკითხულ რესპონდენტთა 46% შეუძლებლად მიაჩნია ემიგრირებული ოსების საკუთარ სახლებში დაბრუნება. 27% მიიჩნევს, რომ შესაძლებელია მათი ნაწილობრივ დაბრუნება (მაგ. ზაფხულის პერიოდში), თუმცა მათი უმრავლესობის აზრით, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ შეიცვლება პოლიტიკური რეალობა (მთავრობის კეთილი ნება, ოსებისთვის საქონლის შემოყვანის უფლების მიცემა და ა.შ.) ან გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები. რესპონდენტთა მხოლოდ 8% ფიქრობს, რომ ოსების ფაზბეგის რეგიონში კვლავ დაბრუნება შესაძლებელია, 12% კი აცხადებს, რომ უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ამასთანავე,

დავინტერესდით რა დამოკიდებულება ექნებოდათ მოხევეებს ოსების დაბრუნების შემთხვევაში. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა 65%-ს დადებითი დამოკიდებულება აქვს ოსთა დაბრუნების მიმართ, ხოლო 19% ოსთა დაბრუნებას უარყოფითადაა განწყობილი. უარყოფითი დამოკიდებულების უმთავრეს მიზეზად სახელდება ოსთა დაბრუნების შემთხვევაში ტერიტორიების წარომევის საფრთხე. ტიპურია ქვემოთ მოტანილი დიალოგები.

”შემოდიან ამობებებ ჩვენათ და ორუსოს ხეობაზე კი არ ამბობენ მხოლოდ. იყო შემთხვევები, ლომისის წმინდა გიორგი რომ არის, გადმოვიდნენ მესაზღვრეები (ოსები ლ.ჯ.) და თქვეს ეს ჩვენი ტერიტორიააო. ესაა ოსების ტერიტორიაო. ამას კი არ ითხოვენ მარტო, იქამდე გადადიან რომ გუდაურის იქეთ ჩვენათ ამობებ. ეხლა ისენიც მაგარი გათამამებულები არიან უკვე.” (შუალი სოფ. არაშადან)

”მხოლოდ ის კი არ უნდათ სამხრეთ ისეთს მიუერთდეს ეს მხარე, კიდევ გუდაურის იქეთ ითხოვენ ესენი. მაგაზე თანხმობას არავინ არ იტყვის, რომ ისინი ჩამოვიდნენ და ტერიტორიები ძირითონ”. (სოფ. გორისციხის მკვიდრი ახალგაზრდა)

შევეცადეთ გამოგვეპვლია როგორია ვლადიკავკაზში დაარსებული ორგანიზაცია “დარიალის” ცნობადობის ხარისხი ყაზბეგის მოსახლეობაში. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 62%-მა იცის ამ ორგანიზაციის არსებობისა და მიზნების შესახებ, 15% აცხადებს, რომ არაფერი გაუგია მასზე. 37% პროცენტი, მათგან ვისთვისაც ”დარიალის” საქმიანობის შესახებ ცნობილია, ფიქრობს, რომ ოსურ მოსახლეობაში ის დიდი პოპულარობით არ სარგებლობს; 12% – პირიქით, ვარაუდობს, რომ – საქმაოდ პოპულარულია; დანარჩენების განცხადებით მათ ”დარიალის” პოპულარობის შესახებ წარმოდგენა არ აქვთ. ამდენად, მართალია, მოხევეთა უმრავლესობას სმენია ხსენებული ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ მისი კონკრეტული საქმიანობის და პოპულარობის შესახებ მწირი ინფორმაცია აქვს, ძირითადად გაუგია ”დარიალის” მთავარი მიზნის (ყაზბეგის რეგიონის ტერიტორიის მიერთება ოსურ ”სახელმწიფოსთან”) შესახებ.



რაც შეეხება თბილისში ჩატარებულ კვლევას, უნდა აღინიშნოს, რომ ყაზბეგსა და წეროვანში გამოყენებული კითხვებისგან განსხვავებით, აქ გადავწყვიტეთ სკალური კითხვების (ლიკერტის ტიპის სკალა) ჩართვა, რადგან თბილისში ჩატარებულ მცირე კვლევაში ძირითადად ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. მათ ჩვენი გარაულით ექნებოდათ ამგარი დახურული ტიპის სკალების გამოყენების გამოცდილება, არ შეიქმნებოდა უხერხულობისა და გაუგებრობის მომენტები ინტერვიურების დროს. ამგვარი კითხვების ჩართვით შევეცადეთ უფრო ზუსტად გაგვევო, რამდენად კეთილგანწყობილი არიან თბილისის მაცხოველები, როგორც ოსების, ასევე – სხვა ეროვნების ადამიანების მიმართ. პირველ რიგში განვიხილეთ, იცნობენ თუ არა ჩვენი რესპონდენტები ოსი ეროვნების ადამიანებს და თუ ჰყავთ ოსი მათ შორის. 11 რესპონდენტიდან 5 (46%) იცნობს ოსი ეროვნების ადამიანებს (ერთს ან ორს). მათი ურთიერთობა რჩება ნაცნობობის დონეზე და არც ერთს არ ჰყავს/ჰყოლია ოსი ეროვნების მეგობარი. ამასთანავე, მხოლოდ ერთი ადასტურებს, რომ ჰყავს ოსი ნათესავი (ბებია). მაშასადამე, ყაზბეგისა (ნაცნობობა - 80.8%, მეგობრობა - 46%) და წეროვნის დევნილ მოსახლეობასთან (ნაცნობობა-100%, მეგობრობა - 72%) შედარებით, ჩვენგან გამოკითხული თბილისელი ახალგაზრდების ურთიერთობა ოსი ეროვნების ადამიანებთან ნაკლებ ინტენსიურია, როგორც სიხშირის, ასევე ურთიერთობის ხარისხის მხრივ.

ჩვენგან გამოყენებულ ლიკერტის ტიპის სკალაში მოცემული იყო 14 დებულება, რომელთან შესაბამისობის მიხედვითაც რესპონდენტს 5 დონიან სკალაზე საკუთარი შეფასება უნდა დაუფიქსირებინა (1- სრუალიად არ ვეთანხმები, 2 - არ ვეთანხმები, 3 - მიჭირს პასუხის გაცემა, 4- ვეთანხმები, 5- სრულიად ვეთანხმები). სკალაში მოცემული იყო ოსი ეროვნების ადამიანების მიმართ დამოკიდებულების ამსახველი დებულებები, როგორიცაა “ვფიქრობ ქართველების და ოსების მშვიდობიანი თანაცხოვრება შესაძლებელია”, “პატივს ვცემ ოსურ კულტურას” და “ოსებსა და ქართველებს შორის უფრო მეტ მსგავსებას ვხედავ, ვიდრე - განსხვავებას”. სკალა შეიცავდა ისეთ ზოგადი დამოკიდებულებების ამსახველ დებულებებს, როგორიცაა “ ურთიერთობისას ეთნიკურ წარმომავლობას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მთავარია პიროვნული თვისებები” და “მომწონს, რომ საქართველოში ბევრი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს”. შევეცდებით, გაგაცნით ამ სკალის მონაცემების ანალიზის მნიშვნელოვანი მომენტები:

- რესპონდენტთაგან არც ერთი არ თვლის, რომ კარგად იცნობს ოსურ კულტურას
- 11 რესპონდენტიდან 9-ს მოსწონს რომ საქართველოში ბევრი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს (1 – “მიჭირს პასუხის გაცემა”, 1- გამოტოვებული მონაცემი).
- 11 რესპონდენტიდან 9 აცხადებს, რომ ურთიერთობისას ეთნიკურ წარმომავლობაზე მეტად პიროვნულ თვისებებს ანიჭებს მნიშვნელობას (1 – “მიჭირს პასუხის გაცემა”, 1- გამოტოვებული მონაცემი).
- 11 რესპონდენტიდან 7 თვლის, რომ ქართველების და ოსების მშვიდობიანი თანაცხოვრება შესაძლებელია (1 - არ ეთანხმება ამ დებულებას, 2 - “მიჭირს პასუხის გაცემა”, 1 - გამოტოვებული მონაცემი).
- 11-დან 9 რესპონდენტი აცხადებს, რომ სიამოგნებით იმეგობრებდა ოსი ეროვნების ადამიანებთან (1 - “მიჭირს პასუხის გაცემა”, 1 - გამოტოვებული მონაცემი).

- 11-დან 8 რესპონდენტს აცხადებს, რომ უჭირს პასუხის გაცემა დებულებაზე - “ჩვენ და ოსებს ბევრი საერთო ტრადიცია გვაქვს” (1 - სრულიად ეთანხმება ამ დებულებას, 2 - გამოტოვებული მონაცემი)
- დებულებაზე - “ოსებსა და ქართველებს შორის მეტ მსგავსებას ვხედავ, ვიდრე - განსხვავებას” – 11-დან 5 რესპონდენტს უჭირს პასუხის გაცემა, 4 - ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება, 1 - არ ეთანხმება, ხოლო 1 მონაცემი გამოტოვებულია
- დებულებას - “ოსებს პატივი უნდა ვცეთ” – 9 რესპონდენტი ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება (1 - “მიჭირს პასუხის გაცემა”, 1 - გამოტოვებული მონაცემი).

ზოგადი სურათი ასეთია: რესპონდენტთა უმრავლესობა დადებითადაა განწყობილი სხვა ეროვნების ადამიანებისადმი. გამოკითხულთა დიდი ნაწილი ოსების მიმართ პატივისცემასა და მეგობრობის სურვილს გამოხატავს. ამასთანავე, ოსებთან პიროვნულ და კულტურულ მსგავსებასთან დაკავშირებულ დებულებებზე პასუხის “მიჭირს პასუხის გაცემა” სიხშირე მიგვანიშნებს, რომ გამოკითხულთა შორის ოსების და მათი ცხოვრების წესის და ტრადიციული კულტურის მახასიათებლების შესახებ ცოდნა საკმაოდ მწირია. შესაბამისად, კითხვაზე “რამდენად კარგად ვიცნობ ოსერ კულტურას” არც ერთი დადებითი პასუხი არ მიგვიღია.

ოსი ეროვნების ადამიანების მიმართ სხვადასხვა სიტუაციაში მიმღებლობის გასაზომად კითხვარში ჩავრთეთ 4 კითხვა, რომელიც ეფუძნებოდა ბოგარდუსის სკალას. კითხვები შეეხებოდა შემდეგ სიტუაციებს: სამსახურეობრივი თანამშრობლობა ოსი ეროვნების ადამიანთან, მეზობლობა ოსი ეროვნების ადამიანთან, დანათესავება ოსი ეროვნების ადამიანთან. როგორც შედეგებმა გამოავლინა, ასოლუტურად ყველა რესპონდენტი მზად იქნებოდა ა) ემუშავა ოსი ეროვნების ადამიანთან ერთად ბ) ოსი ეროვნების ადამიანი გამხდარიყო მისი მეზობელი გ) დამეგობრებოდა ოსი ეროვნების ადამიანს. რაც შეეხება შეკითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად იქნებოდა რესპონდენტი მზად მიეღო ოსი ეროვნების ადამიანი, როგორც ოჯა-

ხის წევრი, 82%-მა მასზე დადგბითი პასუხი გასცა, დანარჩენმა კი - უარყოფითი.

დავინტერესდით იმითაც, თუ რას მიიჩნევენ თბილისში მაცხოვ-რებელი რესპონდენტები ქართულ-ოსური კონფლიქტის მთავარ მიზეზად. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა იმ დროს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობასა და პოლიტიკურ ინტერესებს (10 რესპონდენტი) მიიჩნევს, მათ შორის 3 რესპონდენტი მოუთითებს რუსთის აშკარა როლზე. მხოლოდ ერთი რესპონდენტი უკავშირებს კონფლიქტს ოსების მიმართ ქართველთა ქსენოფონიურ დამოკიდებულებას. მაშასადამე, 11-დან 10 რესპონდენტი არ მიიჩნევს ეთნიკურ შუღლს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად.

აქევე უნდა აღინიშნოს თბილისსა და კახეთში ეთნოლოგების მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომელშიც ჩვენი თანამოსაუბრეები ასახვდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ოსურ-ქართული ურთიერთობის პერსპექტივებთან დაკავშირებით. აქ შედის 25 ინტერვიუ, სადაც ადამიანები გარკვეული ისტორიების საშუალებით გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას აღნიშნული პრობლემისადმი.

გარკვეული თემების თხრობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ კულტურულ გარემოში ჩვენ გაგვაჩნია საკმაო იმპლიციტური ცოდნა მოსაყოლი ამბების შექმნის წესებზე და მისი ტიპური შინაარსის შესახებ. ამრიგად ყალიბდება ნარატივის აგების სტრუქტურული კატეგორიები და წესები, ასევე სხვადასხვა სოციალურ კონტექსტებში ამბის უფლებურად და გონიგრულად თხრობის სტრატეგია. თუ ამ მონათხრობში საქმე ეხება ადამიანებს (ჯგუფებს), მოვლენებს, ქმედებებს, რომლებიც ყოველდღიურობაში გარკვეული პრობლემების წყაროდ აღიქმნაან, მაშინ ბუნებრივია ამბავიც სწორედ იმ პირებზე იქნება, რომლებიც საფრთხეს უქმნაან ჩვენს იდეალებს და ძირითად მიზნებს.¹⁵⁷ ვან დეიკის მიერ გაანალიზებული მასალა მშვიდობის პირობებში ევროპის ერთ-ერთ ლიბერალურ ქვეყანაში უცხო ეთნიკურ ჯგუფების წარმომადგენლებთან დამოკიდებულებას და მათ შესახებ არსებულ შეხედულებებს ასახავს. ისტორიები, ჩვეულებრივ, ნეგატიური სტეროტიპებითაა გაჯერებული და გვიამბობს უცხო-

157 Ван Дейк Т., Язык познания коммуникация, Москва, 1989. с. 190-191.

ელებზე, რომლებიც უჩვეულოდ, განსხვავებულად, სახიფათოდ და არც თუ ისე ნორმალურად იქცევიან.¹⁵⁸

მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთ - საქართველოს 2008 წლის ომისა და ოსების როლის გათვალისწინებით ამ მოვლენებში, მთხოვობელთა დამოკიდებულება ოსების მიმართ რადიკალურად ნეგატიური ყოფილიყო. მასალის დეტალურ ანალიზს მომავლი-სათვის შევთავაზებთ მკითხველს, ამ ეტაპზე კი მხოლოდ ძირი-თად ასპექტებზე ვაძახვილებთ ყურადღებას.

1. ქართულ-ოსური კონფლიქტის გამომწვევ მთავარ მიზეზად გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (ქართველებიც და ოსებიც) ასხელებს რუსეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებს, რომელიც სეპარატისტული პროცესების წაქეზებით ხელს უშლის საქართველოს დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფოს ფორმრებას სამხრეთ კავკასიაში.
2. ხშირია პოზიტიური მაგალითების მოტანა (დავით სოსლანის ოსობა, ოსთა მონაწილეობა ქართველი მეფეების ლაშქარში და ა.შ.) ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან, რათა აჩვენონ ამ ხალხთა თანაცხოვრების პერსპექტივა, თუმცა გვხვდება საპირისპირო ტენდენციაც (მაგ. ქართველები იხსენებდნენ თებების მოღალატურ საქაციელს მონღოლურ პერიოდსა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს. ოსები ვალიკო ჯუღელის სადამსჯელო ესპედიციას ოსების წინააღმდეგ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში, 1990-ის წლებში განვითარებულ მოვლენებს და ა.შ.)
3. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში დაწყებულმა ეთნოპოლიტიკურმა პროცესებმა ადამიანები აიძულა მოეხდინათ მკაფიო ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია (მიეკუთნებინა საკუთარი თავი ქართული ან ოსური ჯგუფისათვის).
4. გვხვდება მკვეთრად ნეგატიური შეფასებებიც ოსებზე და მათი ყოფისა და კულტურის ნიუანსებზე (ჰერიტაჟი, რომ ისინი არიან იელოველები, კათოლიკები), “ოსური ლაპარაკის გაგონება ჩემში აგრესიას იწვევს. ვერ ვიტან საერთოდ

158 Ван Дейк Т., Язык познания коммуникация, Москва, 1989, с. 198-211.

...საერთოდ ოსი ოსია და არასდროს არ შეიცვლის თავის აზრს. ისინი ყოველთვის ამართლებენ თავიანთ ხალხს... ზოგმა გვარი გადაიკეთა და ქართველები გახდნენ, მაგრამ მაინც ოსები არიან. მაგათი კული არ გასწორდება... მე გორში ვიყავი, როცა შემოვიდნენ რუსები. და კიდევ საშიშ-როება იყო ოსების შემოსვლისა. იხვეწებოდნენ რომ ერთი საათით შეგვაშვით გორში და ჩვენ ვიცითო, ამის გამო დიდი შიშის ქვეშ ვიყავით". ოსი ეროვნების რესპონდენტები, ამ მხრივ, ჩვენთან საუბრისას უფრო თავშეკავებული არიან, თუმცა მათი მონათხრობებიც შეიცავენ ნეგატიურ კონოტაციას ქართველთა მიმართ. ისინი იხსენებენ ვალიკო ჯუღალის სადამსჯელო ექსპედიციის პერიპეტიებს საუბრობენ უამრავ დახოცილზე), ქართველების მხრიდან შევიწროებას 90-იან წლებში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური პროცესების დროს (მიწების ჩამორთმევა, სამსახურებიდან დათხოვნა და ა.შ.). ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ საქართველოში ოსების ტერიტორიული პრეტენზიები სამართლიანია და ოსეთის საზღვარი სოფ. ერგნეთამდევა და ა.შ.

5. რესპონდენტების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ საქართველოდან მიგრირებული ოსების დაბრუნება მოსალოდნელი არაა რადგან მათ საკმოდ კარგად მოახერხეს ინტეგრირება ახალ საცხოვრებელ ადგილებში (ძირითადად რუსეთში). საუბარი იმის შესახებ, რომ ყაზბეგის ტერიტორია, ქვემო ქართლი (ე.წ. თრიალეთის ოსეთი) და ა.შ ოსურ სახელმწიფოს უნდა მიურთდეს, არის რუსული პოლიტიკური წრეების ინსპირირებული და ცალკეული ორგანიზაციების მაგ "დარიალის" აქტივობა მხოლოდ მისი ლიდერების ფინანსურ ინტერესებს ემსახურება.

ამრიგად, ოსურ-ქართული ურთიერთობა ყაზბეგის რეგიონში ბოლო ხანებამდე საკმაოდ დინამიურად ვითარდებოდა, მე-20 საუკუნის ბოლოს ეს დინამიკა გარკვეულწილად დაირღვა. ოსების მიგრაციის პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო და საბჭოთა პარტიული ხელმძღვანელობის დაგეგმი-

ლი იყო. მე-20 საუკუნის ბოლოს მიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო, რასაც დაერთო რუსეთის მიერ საზღვრის ჩაკეტვა, ეკონო-მიკური კავშირების რღვევა, განსხვავებული პოლიტიკური ძალების აქტიური ზემოქმედება და სხვა ფაქტორები, რომელთა გავ-ლენით შემცირდა მოხევეებისა და ოსების კონტაქტები. მართალია, ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალაზე ოსების მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ ლოიალურია, მაგრამ ზემოხსენებული პროცესების შედეგად განახევრდა იმ მოხევეთა რიცხვი ვისაც ოსებთან რამე სახის ინტენსიური კონტაქტები გააჩნია. მოიშალა სამურნეო კავშირები, რელიგიურ რიტუალებში თანამონაწილეობის პრაქტიკა. ინტერკულტურული სენიტიურობა მიმართულია ეთნორელატიურიდან ეთნოცენტრისტულისკენ. გასული საუკუნის 80-იან წლებში დაწყებულმა ეთნოპოლიტიკურმა პროცესებმა ადამიანები აიძულა მოხდინათ მკაფიო ეთნიკური თვითიდენტიფი-კაცია, შედეგად, სრული ინტეგრაცია მოხდა არა ჯვეფის, არამედ ცალკეული ინდივიდის დონეზე (გამოიხატა გაოსებაში ან გაქარ-თველებაში). გამოკვლევით დადგინდა, რომ უმრავლესობა შეუძლებლად მიიჩნევს ყაზბეგის რეგიონში ოსების დაბრუნებას და ამ თემის წამოწევა რუსეთის მორიგ პროვოკაციად მიაჩნია.

თავი III

ჰიბრიდული ომის თეორია და რუსული კოლონიზაცია ყაზბეგის რეგიონში

§1. კრემლის გეოპოლიტიკური სტარტეგია საქართველოში

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში და რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში აქტუალობა შესძინა კრემლის სამხედრო თეორეტიკოსების მიერ შექმნილ, პიბრიდული, “მომავლის ომის” მოდელს. პიბრიდული ომის თეორია სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად შეიქმნა და მოწინააღმდეგებები, მრავალმხრივ, კომპლექსურ ზემოქმედებას გულისხმობს. ღიად და ფარულად იყენებენ: დიპლომატიურ, სამხედრო, ეკონომიკურ, საინფორმაციო, კონვენციურ, არარეგულარულ (პარტიზანული და ასიმეტრიული), ტერორისტულ, კრიმინალურ და კიბერ მეთოდებს.¹⁵⁹

კრემლის იმპერიული არსენალი, ისტორიულ ჭრილში, საქართველოსთან მიმართებით საკმაო მრავალფეროვნებით ხასიათდება. კავკასიის ინკოროპორაციის მრავალსაუკუნოვან პროცესში რუსული იმპერია, ზოგადსტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, გარკვეულ მომენტებში, კავკასიაში ქართულ ეთნოპოლიტიკურ ერთეულებს ყასიდად უჭერდა მხარს¹⁶⁰. სინამდვილეში, ამგვარი რევერანსებით ფუთავდა იმპერიის მიზანს და ელოდებოდა შესაფერის სიტუაციას, რათა სოციალ-კულტურული უნიფიკაციის გზით სრულიად ჩაეყლაპა ეს მხარე. რუსეთის საიდუმლო სამსახურები სხვადასხვა დარგის (ეთნოგრაფების, სოციოლოგების, ისტორიკოსების, ფსიქოლოგების და ა.შ) მეცნიერთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს ეყრდნობოდნენ, ცდილობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფარული თუ აშკარა ჩარევით ემართათ სიტუაცია და შთამბეჭდავ შედეგებსაც აღწევდნენ. დროის იმ

159 პიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში, ინტერნეტ ვერსია, <http://eugeorgia.info/ka/article/637/hybriduli-omi-rusul-samxeder-teoriashi/>

160 მე-18 საუკუნეში ქართველი მეფეების ურთიერთობა მოსკოვთან, გეორგიევსკის ტრაქტატი, საზავო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, “პარტიიორობა” გასული საუკუნის 90-იან წლებში და ა.შ.

ხანგრძლივ მონაკვეთში, როდესაც ქართული ტერიტორია უშუალოდ რუსეთის დაქვემდებარებაში მოექცა ეს საქმე უფრო გაადვილებული იყო. რუსიფიკატორული პოლიტიკა, ადგილობრივ “მორჩილ” პირთა საერთოიმპერიულ სახელმწიფო სამსახურებში დაწინაურება, მათთვის ვენზელებისა და ჩინ-მენდლების დარიგება, ადგილობრივ მმართველობაში ფსევდოეროვნული ელემენტების დასაქმება (მეფის ჩინოვნიკი იქნებოდა თუ საბჭოთა მოხელე) და რაც მთავარია, ტრადიციული სამეურნეო კულტურული სისტემის მოშლა და ეთნოკულტურული მახასიათებლების ნიველირება, საქართველოს რუსეთის იმპერიულ სხეულთან შეზრდა-ინტეგრირების გზას წარმოადგენდა.¹⁶¹

მსოფლიოში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური და სოციოკულტურული პროცესები ნაკლებად აისახებოდა ე.წ. რუსული გავლენის სფეროში (რომელშიც საქართველოც შედიოდა) მოქცეულ ქვეყნებზე. ერთეულოვნული, რუსული სახელმწიფოს შექმნისათვის კომუნიზმის ქადაგება და ხალხთა ძმობა-თანასწორობის იდეა საკმარისი არ იყო. საბჭოთა პერიოდში სოციალისტური პუმანიზმის ლოზუნგით აღჭურვილი კრემლი ფართოდ იყენებდა ორმაგ სტანდარტს და ინტენსიურად აფართოებდა სამფლობელოს. რუსეთი გამოცხადდა პროგრესის ძირითად წყაროდ „ისტორიულად ჩამორჩენილი აზითსა და კავკასიისათვის“. ამ პირობებში გადამწყვეტი როლი დაეკისრა რუსეთის ისტორიას და კულტურას. რუსეთის (საბჭოთა კავშირის ხალხთა) ისტორია აუცილებელ სასწავლო საგნად იქცა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. რუსეთის ისტორიის შუქჟე უნდა განხილულიყო მცირე აზითს, ბალტიისპირეთისა თუ კავკასიის ხალხთა ისტორიის ცალკეული მოვლენები. შესაბამისად, ხელი ეწყობოდა კულტურულ უნიფიკაციას რუსიფიკაციის ნიშნით.

მეოცე საუკუნის ბოლოს ნათელი გახდა, რომ ზემოხსენებულ-მა გეგმამ, რომელიც რამდენიმე ეტაპად, ორი საუკუნის მანილზე ხორციელდებოდა და საქართველოს ერთიან იმპერიულ სისტემაში სრულ ინკორპორაციას ისახავდა მიზნად, კრახი განიცადა.მე-20

161 ბუხრაშვილი პ., რუსული კოლონიალური ცნობიერება და ამიერკავკასიის ეთნოპოლიტიკური რეალობა, ინტერნეტ ვერსია <https://iberiana2.wordpress.com/caucasus/bukhrashvili/>

საუკუნეში მსოფლიოში გააქტიურებულმა გლობალურმა პროცესებმა ახალი კონცეპტუალური პარადიგმების გამოძებნის აუცილებლობა განაპირობა. ფაშისტური და პოსტფაშისტური, კომუნისტური და პოსტკომუნისტური კატაკლიზმები; ტრადიციული, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული რეალიების დინამიკა; მასშტაბური კრიზისები უბიძგებდა პოლიტოლოგებს, სოციო-პოლიტიკურ სისტემებისათვის მოეფიქრებინათ იდეოლოგიური ბაზისი, რომელიც, ერთი მხრივ, კონკრეტული პოლიტიკური მიზნების შესრულებას შეუწყობდა ხელს, მეორე მხრივ კი, სასურველი სოციოკულტურული გარემოს ფორმირებას, კონფლიქტების მართვას და „დიდი“ ოუ „მცირე“ ხალხების ეროვნულ მობილიზაციასა და კონცენტრაციას

უკანასკნელ ხანებში კიდევ ერთხელ შეიცვალა რუსული ტაქტიკა, ე.წ. პიბრიდული ომი აშკარა კონფრონტაციასთან ერთად (ქართული ტერიტორიების ოკუპაცია) ყველა მიმართულებით ტოტალურ შეტევასაც გულისხმობს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანების ფსიქოლოგიური განწყობის შესწავლასა და მასზე ზემოქმედებას, რადგან პიროვნება მისი ხასიათით, ტემპერამენტით, ფიზიკური მონაცემებით, ფსიქიკური წყობით საბოლოოდ ერთად აღებული ამა თუ იმ ხალხის აზროვნების, შემოქმედების, პოტენციალური შესაძლებლობებს ასახავს და აქედან გამომდინარე მათი ქცევის პროგნოზირების საშუალებას იძლევა. ამ ტიპის აქტივობას, რა თქმა უნდა რუსეთი თავისი გეოსტრატეგიული გათვლების განსახორციელებლად ხელიდან არ გაუშვებს.¹⁶²

მოსკოვის ”ახალი“ ნაციონალური პოლიტიკა, რუსული სახელმწიფოსა და საზოგადოების ნაციონალური (სახელმწიფოებრივი) ინტერესების უზრუნველყოფა საშინაო თუ საგარეო არენაზე,¹⁶³ ფაქტიურად, ცარისტული პოლიტიკის ტრანსფორმირებული ვარიანტია. მეფის რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენებულმა საბჭოთა სახელმწიფომ და მისმა ძირითადმა სამართალმქვიდრემ, რუსეთის

162 ფიფიანი პ. „ეთნოლოგიური მეცნიერების მეთოდოლოგიისათვის, ქრონიკა I, თბილისი, 2005, გვ. 67.

163 Тишков В. Как обновить концепцию национальной политики? //Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N48, 2003.

ფედერაციამ, მეტყვიდრეობით მიიღეს იმპერიის ხალხთა სრული ასიმილაციის ამოცანა. თუმცა, სიტუაციის დელიკატურობა იმაში მდგომარეობს, რომ საყოველთაოდ აფიშირებული ზოგადსაკაცობრიო პრინციპების აშკარა დარღვევების გარეშე უნდა მოხერხდეს ქართული სახელმწიფოს წარუმატებელ პროექტად ქცევა, რათა საკუთარ უსუსურობაში დარწმუნებულმა ქართველობამ თავად თქვას უარი პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე. კრემლის გათვლებით, პერსპექტივაში ეს უზრუნველყოფის, პირველ ხანებში, ქვეყნის რუსულ ორბიტაზე დარჩენას, მომავალში კი სრულ ასიმილაციას.

ამგვარი მიზნისათვის ყველაზე უპრიანად ჩაითვალა შიდაეთნიკური კონფლიქტების პროვოკირება და საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ”უცირესობების” გამოყენება კონფლიქტის გასაჩადებლად. იგულისხმება, რომ ამ დაპირისპირებაში მართვა-კონტროლს, მშვიდობისმყოფელი შუამავლის როლის მორგებით, თავად რუსეთი იყისრებდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ახალ ეპოქას კომუნისტური იდეოლოგიის კრახისა და ლიბერალურ ლირებულებათა დამკვიდრების გამო, ფრენსის უუკუამაშ ისტორიის დასასრული უწოდა¹⁶⁴. გაჩნდა პერსპექტივა, რომ დიდი სახელმწიფოების ინტერესთა პრიორიტეტულობა და შესაბამისად, სერიოზული კონფლიქტები წარსულს ჩაბარდებოდა. თუმცა გაირკვა, რომ კონფლიქტები არც ახალი მსოფლიოსთვის არ არის უცხო. მალე პიპოთება ერთპოლუსიანი მსოფლიოს არსებობის შესახებ ეჭვეჭვეშ დადგა. საბჭოთა კავშირის ადგილზე პრეტენზია განაცხადა რუსეთმა. გაჩნდა შესაბამისი გეოპოლიტიკური თეორიაც, რომელიც აპრიორულად იღებს ორპოლუსიანი მსოფლიოს არსებობას, სადაც დაპირისპირება გარდაუვალია. ზოგადი გეოპოლიტიკური სურათი-დან გამომდინარე, ამ მოვლენებში კავკასიასაც გარკვეულ როლს ანიჭებენ. პოტენციურ კავკასიურ ომში ერთმანეთს უპირისპირდება ორი მეტოქე, ევრაზიული და ატლანტიკური პოლუსი.¹⁶⁵

ატლანტისტების (ცენტრით ვაშინგტონი) მიერ გაცხადებული მიზანი – „ახალი წესრიგის“ დამყარებაა. ამ ტერმინის უკან

164 Фукуяма Френсис, Конецстории? 1992.

165 Дугин А., (1999) Предисловие к грузинскому изданию “Основы геополитики” internet vesiia: Sep. 09, 1999, 04:41.

ანალიტიკოსთა ნაწილი მსოფლიოზე ბატონობის შენიღბულ სურვილს ხედავს, რისთვისაც საჭირო გახდა „ძველი წესრიგის“ ტოტალურ ქაოსამდე მიყვანა, მისი საძირკვლის დანგრევა, შემადგენელ ნაწილებად დაშლა, ატომიზირება და „ახალი წესრიგის“ მშენებლობისთვის საჭირო ნედლეულად ქცევა. ათვლის წერტილს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ინციატივით წამოწყებული ძველ სამყაროსთან კონფლიქტი წარმოადგენს. ამ კონფლიქტის პოლუსებს აერთიანებს ორი გეოსტრატეგიული ღერძი: (1) გაშინგტონი - ტოკიოს ღერძი, რომელიც ატლანტიკისა და წყნარი ოკეანების საზღვაო სივრცეს აკავშირებს; (2) მოსკოვი-თეირანის ღერძი, რომელიც ევრაზის სახმელეთო სივრცეს აერთიანებს. ამ ორი ღერძის გადაკვეთის წერტილია კავკასია.¹⁶⁶

ევრაზიული პარადიგმის ავტორი, ა. დუგინი, მიიჩნევს, რომ პოლუსების ირგვლივ სხვადასხვა ფაქტორების გავლენით გაერთიანებული ქვეყნები მომავალში ალიანსებს შექმნან. ევრაზიულ ალიანსში იგი მოიაზრებს რუსეთის ირგვლივ შექრებილ მეტ-ნაკლებად აქტიურ სახელმწიფოებს: ბელორუსს, სომხეთს, სერბეთს, უკრაინას, ტაჯიკეთს, ყირგიზეთს, ასევე ირანს, ინდოეთს, ჩინეთს და საბერძნეთსაც. ამ დაპირისპირებაში ჩამოჟღვია აღმოჩნდა საქართველოც, რომელიც განსხვავებული რელიგიური სპეციფიკისა და შესაბამისი გეოპოლიტიკური ორიენტაციის მქონე ქვეყნების და ხალხების გარემოცვაში იმყოფება. დუგინის თანახმად, ამგვარ სიტუაციაში საქართველოსთვის, რომლისთვისაც მართლმადიდებლობა გეოპოლიტიკური იდენტურობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტორად რჩება, ევრაზიული ალიანსი ბუნებრივი მოკავშირეა, თუმცა ამ ეტაპზე ეს მხოლოდ ევრაზიული კონცეფციის მიმდევართა სურვილად რჩება.

თანამედროვე მსოფლიო პროცესებს საფუძვლად უძევს არაერთგვროვანი მექანიზმები, გლობალური ინტეგრაციის და ლოკალური ავტონომიის (გლოკალიზაციის) ფაქტორები, ამიტომ დუგინი-სეული პარადიგმა სავარაუდო მოკავშირეების შესახებ, რეალობაში რთულად ინერგება და ზოგჯერ ამ სახელმწიფოებში სეპარატის-

166 Нухаев Х.-А., Чечния и Россия: одно ценностное пространство – две общественные системы, Россия и Чечня Поиски выхода, Санкт-Петербург, 2003. с. 120.

ტული მოძრაობების წაქეზებასა და ღია საომარ მოქმედებებში გამოიჩატება. სწორედ ასეთი ადგილია საქართველოს სეპარატისტული რეგიონები. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეწ. „სახელმწიფოები“ რუსულ ნაციონალურ პოლიტიკაში ახალ ფენომენს წარმოადგენს, რომელთა აღიარებითაც მოსკოვმა ერთგვარი რუბიკონი გადალახა და მსოფლიო სხვა რადიკალური ქმედებებისათვის შეამზადა. იმავდროულად, კრემლს ყურადღების მიღმა არც საქართველოს სხვა რეგიონები დარჩენა. სავიზო რეჟიმის ამოქმედების დროს დიფერენცირებული მიდგომა სასახლვრო რეგიონებისა და ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობის მიმართ, ეკონომიკური ემბარგო, პროსრუსულად განწყობილი პოლიტიკურად აქტიური ძალების დაფინანსება, საინფორმაციო საშუალებების გამოყენება იდეოლოგიური ზემოქმედებისათვის და ა.შ.

ბოლო საუკუნენახევრის განმავლობაში რუსეთის ჰეგემონობის არეალში ჩატარებული მასშტაბური იდეოლოგიური ექსპერიმენტები, რომელიც კომუნიზმის კრახით დასრულდა, გარკვეულად აისახა რუსულ საზოგადოებრივ აზრზეც და მას აბსურდული ფორმა მისცა. მაგ. სიტყვა „ფაშიზმი“ დღვევანდელი რუსული გაგებით აღნიშნავს არა იდეოლოგიას, არამედ ორიენტაციას. ფაშისტებს ეძახიან იმ ადამიანებს, რომლებიც რუსი ნაციონალისტების გაგებით თანამედროვე რუსული ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგნი არიან. როგორც ცნობილი რეჟიმისორი ა. ნეკრასოვი აღნიშნავს ფაშისტებს უწოდებენ პროდასავლელ ლიბერალებს, აწ გარდაცვლილი ბორის ნემცოვის ჩათვლით. სსრკს-ს დაშლის შემდეგ წარმოქმნილი იდეოლოგიური ვაკუუმი დასავლურ დემოკრატიულ ფასეულობებს უნდა შეეცსო, მაგრამ ამ ფასეულობების დისკრედიტაცია რუსულ საზოგადოებაში მოახდინა გასული საუკუნის 90-იან წლებში განხორციელებული პრივატიზაციის შემდეგ წარმოქმნილმა ეკონომიკურმა ოლიგარქიამ. მართალია, მზარდი ეკონომიკური აქტივობის ფონზე, ერთხანს ამ სიცარიელეს მოხსმარებლური იდეოლოგია ავსებდა, მაგრამ 2008 წლის ძვრების შემდეგ მკაფიოდ გამოიკვეთა ახალი ნაციონალური იდეოლოგია. იგი ნაციონალურ მობილიზაციას უცხოეთიდან მომდინარე საფრთხეების აფიშირებით ცდილობს, თუმცა საფუძველში დიდებული

წარსულის ნოსტალგიის, ოლიგარქებისადმი პრეტენზიის, წვრილ-ბურჟუაზიული მატერიალიზმის და ქსენოფობის ნაზავი უძებს.¹⁶⁷

რუსული ინტელექტუალური ელიტა ორმაგი სტანდარტებით უდგება ე.წ. ეთნიკური ჯგუფების უფლებებს რუსეთსა და და-სავლურ სამყაროსთან დაახლოების მსურველ მეზობელ ქვეყნებში. მაგ. ვ. ტიშკოვის აზრით, რუსეთის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები კონვენციის სუბიექტები ვერ იქნებან. ისინი სტატისტიკური უმცირესობები არიან, მაგრამ ადგილებზე უმრავლესობას წარმოადგენენ, აქვთ მმართველობის ორგანოები. არსებულ სიტუაციაში დაცვას საჭიროებენ ასეთ ადგილებში ფაქტობრივ უმცირესობაში მყოფი რუსები.¹⁶⁸ სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებაა რუსულ საზოგადოებაში უკრაინასა და საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში და ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებში, რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს საკუთარ ხელმძღვანელობას. როგორც ა. ნეკრასოვი წერს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ რუსეთში, თქვენ ნახავთ უსაზღვრო ეროვნულ სიამაყეს. დასავლეთისაგან გატარებული ეკონომიკური სანქციების მიერ მიყენებული ზარალის მიუხედავად, რუსები მხარს უჭერენ კრემლს¹⁶⁹.

ცნობილია, რომ ნაციონალისტური იდეოლოგიები გადამწყვეტ როლს თამაშობენ როგორც კონფლიქტისა და დაპირისპირების ინსპირირებაში, ასევე მათ დარეგულირებაში.¹⁷⁰ რუსული პოლიტიკა ამის ტიპურ ნიმუშად გვევლინება. ქვეყნის შიგნით რუსული ნაციონალური კონცეფციის ძირითად მიზანს წარმოადგენს სხვა-დასხვა ეთნიკური იდენტობის მქონე მოქალაქეთა საერთო რუსულ სახელმწიფოში ინტეგრაცია. ძირითადი აქცენტი ამ დროს კეთდება არა ამ ადამიანთა ეთნოკულტურული თავისებურებების შე-

167 Некрасов А., 2015, Russia looks to its history in search for a new ideology, ინტერნეტვერსაჲ <http://inosmi.ru/russia/20150330/227196328.html>

168 Тишков В. Что есть "национальные меньшинства"? (Меняющийся мир и меняющиеся рамки конвенции) //Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N46, 2002

169 Некрасов А., 2015, Russia looks to its history in search for a new ideology ინტერნეტ ვებსაჲ <http://inosmi.ru/russia/20150330/227196328.html>

170 სამთხოობა და, ნაციონალიზმი თვორია, დაკონკრეტული ისტორია, თბილისი, 2004 გვ. 22.

ნარჩუნებაზე, არამედ მათ სრულ ასიმილაციაზე. მიაჩნიათ, რომ ეს სტრატეგია თავად არარუსი მოქალაქეების ინტერესებში შედის, რომელთაც სურთ, რომ მათმა შვილებმა რუსულად უაქცენტოდ ისაუბრონ, უშეცდომოდ წერონ თხზულებები და კარგი განათლება მიიღონ. ობიექტურად კი, ამგვარი „ინტეგრაციის“ ხელის-შემშლელი უამრავი ფაქტორი არსებობს; ცალკეული ეთნიკური ერთეულების მისწრაფებამ თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, შეიძლება უკიდურესი ფორმებიც მიიღოს (შეიარაღებული გამოსვლები, რელიგიური დაპირისპირებები და ა.შ.).

რუსეთი რჩება ქვეყნად, სადაც ძალზე ინტენსიურია შრომითი მიგრაცია. შესაბამისად, საკმაოდ მაღალია ეთნიკურ დიასპორათა აქტივობის ხარისხი, რაც ისტორიულ სამშობლოსთან ეთნიკური და რელიგიური კავშირების შენარჩუნებისაკენ სწრაფვაშიც გამოიხატება. ყოველივე ეს, შეუსაბამობაში მოდის რუსეთის ნაციონალური პოლიტიკის მიზნებთან. „ქვეყნის დიასპორიზაცია უნდა შეჩერდეს. სახელმწიფოს მოქალაქეები არ შეიძლება დიასპორად ითვლებოდნენ, სხვაგვარად დიასპორას უნდა მიეწეროს სახელმწიფოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი“ – წერს ვ. ჭიშკავი.¹⁷¹

საგარეო პოლიტიკა კი პირიქით, ცალკეული პოსტსაბჭოური სახელმწიფოების რეგიონებში სეპარატისტული მოძრაობების აქტიურ შხარდაჭერასა და კონფლიქტის ინსპირირებაში გამოიხატება. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ა. ღუგინმა ლიად განაცხადა, რომ რუსეთი არ აპირებს ყველა სეპარატისტული რეგიონის აღიარებას, არამედ შხარს დაუჭერს შხოლოდ მათ, რომელთაც გეოპოლიტიკურ ასპექტში საკუთარ მოკავშირედ და აშშ-ს მოწინააღმდეგებდ მიიჩნევს. იმავდროულად, პოლიტოლოგმა გააკეთა ძალზე რეალისტური პროგნოზი, როგორი სცენარით განვითარდებოდა მოვლენები პოსტსაბჭოურ ქვეყნებში (მაგ უკრაინაში) ნატოსთან და აშშ-სთან დაახლოების შემთხვევაში.¹⁷²

171 Тишков В. Как обновить концепцию национальной политики? //Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N48, 2003.

172 Дугин А., (2008) Российский националист выступает за евразийский альянс против США ("LosAngelesTimes", США) internetvesia <http://inosmi.ru/world/20080904/243792.html>

Дугин А., (1999) Предисловие к грузинскому изданию “Основы geopolитики” internet vesia: Sep. 09, 1999, 04:41.

საქართველოსთვის, თავის მხრივ, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება რუსული პეგემონიისგან თავის დაღწევის, მისი ინტერესების დაბალანსების და აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხე-ხებისაგან თავდაცვის აღტერნატივის წარმოადგენს, რასაც ხელს უწყობს „ცივილიზაციური“ და პოლიტიკური ფაქტორებიც.¹⁷³

სეპარატისტულ რეგიონებს ორივე მხარის სტარტეგიული მიზნების მიღწევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ოუმცა, მოქმედების თავისუფლების თვალსაზრისით, საქართველო ბევრად შეზღუდულია, რადგან უკვე გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთმა შეძლო ამ რეგიონების ფაქტიური მოწყვეტა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სივრციდან, რაც 2008 წლის ომის შემდეგ ღია ოკუპაციით და ანექსიით დაასრულა. მოსკოვმა ვითარების შელამაზების მიზნით, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, ხოლო საკუთარი ქმედება აქ მცხოვრები აფხაზი და ოსი ხალხის დახმარების აქტად მონათლა. შექმნილი ვითარება თავად რუსული ინტერესებისათვის იქცა დილემად, გაჩნდა უამრავი გადაუჭრელი წინააღმდეგობა, მათ შორის:

რუსეთი ე.წ. მცირე ხალხების თვითგამორკვევის უფლებისათვის იბრძვის საქართველოში მაშინ, როდესაც საკუთარ საზღვრებ-ში დაუნდობლად ახშობს ამგვარ გამოვლინებებს;

ერთ შემთხვევაში (საქართველოში, უკრაინაში, მოლდოვაში) მხარს უჭერს სეპარატიზმს, ხოლო სხვა შემთხვევაში (მაგ. ყაზახეთში, სომხეთში და ა.შ) აღიარებს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს, რა თქმა უნდა, უნდობლობას იწვევს მის მოკავშირეებში;

ე.წ. დამოუკიდებელ, თუნდაც მარიონეტული სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის არ არსებობს ბაზა (ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური);

ახალი სტატუს-ქვის გავლენა გრძელვადიან პერსპექტივაზე არ არის გათვლილი და ზუსტად არავინ იცის, როგორ შეიძლება ეს ყოველივე აისახოს, თუნდაც, რუსეთის საშინაო ვითარებაზე.

იმავდროულად, გაჩნდა შექმნილი სიტუაციის გამართლებისათ-

173 მაისათ კ., შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ას-პექტები, პარიზი, 2003, გვ. 188-189.

ვის არგუმენტების მოძიების საჭიროება. პირველ რიგში, უნდა დასაბუთებულიყო, რომ აფხაზური და სამხრეთ ოსური სახელმწიფოების შექმნისათვის არსებობდა ისტორიული და სოციალ-კულტურული ბაზისი, რადგან ნაციასახელმწიფოს ფორმირება გარკვეული წინაპირობების გარეშე წარმოუდგენელია. ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნაციებსა და ეთნიკურ ერთობებს (ზოგი მკვლევარ მაგ. ე. სმითი ამ ტიპის ერთობების აღსანიშნავად იყენებს ტერმინს – ეთნიე). შორის განსხვავება, ერთი შეხედვით, არც თუ ისე მკაფიოა. ე. სმითი ნაციას განსაზღვრავს, როგორც ადამიანთა ერთობას, რომელსაც აქვს თვითდასახელება, უჭირავს სამშობლო-ტერიტორია, გააჩნია საერთო მითები და საზიარო ისტორია, ასევე, საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი. ხოლო „ეთნიეს“ უწოდებს ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობას, რომელიც დაკავშირებულია სამშობლო მიწასთან, აქვს საერთო მითები წინაპართა შესახებ, საზიარო მახსოვრობა, კულტურის ერთი ან მეტი საზიარო ელემენტი და გარკვეული სახის სოლიდარობა ელიტის შიგნით მაინც.¹⁷⁴ ამ ფორმულირებიდან აშკარაა, რაოდენ მნიშვნელოვანია ოფიციალური ისტორიული მეცნიერების და პროფესიული კულტურის როლი ნაციის ფორმირების პროცესში.

დადგენილია, რომ კულტურათაშორის ინტერაქციის მართვის საშუალებით შესაძლებელია, შეიცვალოს ინტერკულტურული სენ-სიტიურობა, ანუ ინდივიდის უნარი, მიღლოს განსხვავებული ენისა და კულტურის მქონე ადამიანების მსოფლხედვა, გაითავისოს ის და შეძლოს მათთან ეფექტური კომუნიკაცია¹⁷⁵, რაც საშუალებას იძლევა, ხელოვნურად მოხდეს ჯგუფის ერთი ნაციონალური კულტურისაგან დისტანცირება და სხვასთან დაახლოება ან პირიქით დაშორება.. ამგვარ მექანიზმებს საკმაოდ ეფექტურად იყენებდა რუსეთი ჯერ კიდევ ცარიზმის ეპოქაში, რასაც კარგად გრძნობდა მაშინდელი ქართველობა. „ოსებს უქმნიან ლიტერატურას და მფარველობას უწევენ მათ 60 წლის განმავლობაში, რომ ოლსტერი მოგვიმზადონ“ – წერდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართუ-

174 სმითი ენტინი დ., ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია, თბილისი, 2004, გვ 36.

175 წერეთელი მ., ქართველ, სომებს და აზერბაიჯანებს სტუდენტთა ინტერკულტურული სენ-სიტიურობა საქართველოში, თბილისი, 2015, გვ. 8.

ლების ურნალის „კლდის” რედაქტორი ირ. გაბაშვილი.¹⁷⁶ უნდა ითქვას, რომ კრემლი დღესაც ფართოდ იყენებს სხვადასხვა დარგის მეცნიერთა გამოკვლევებსთავისი გეოსტრატეგიული გაოპლების განსახორციელებლად.¹⁷⁷

საბჭოთა კავშირის დაშლის პირველი წლებიდანვე, გეოსტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, მოსკოვი ცდილობდა სახელმწიფო საზღვარი საქართველოსთან კავკასიის წყალგამყოფი ქედის გასწვრივ დაეფიქსირებინა. 2008 წლის ომის შემდეგ, მარიონეტული აფხაზური და ოსური სახელმწიფოების საშუალებით, პლაცდარმი წყალგამყოფის სამხრეთითაც გადმოიტანა.¹⁷⁸ კრემლი აპირებს კიდევ უფრო შეზღუდოს ქართველთა ისტორიული სამკიდრო და რაც შეიძლება სამხრეთით გადმოსწიოს საზღვარი. რისი გაკეთებაც პირველ რიგში ფავორიტად მიჩნეული ოსების ტერიტორიის გაფართოების ხარჯზე შეიძლება მოახდინოს. ამგვარი ინტერესის სფეროში მოხვდა ყაზბეგის რეგიონიც. თერგის ზემო წელში ოსური ეთნოსის მრავალსაუკუნოვანი მკვიდრობის და ეთნიკური პეტემონობის დამტკიცება ამ ტერიტორიაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოს პრეტენზიების ლეგიტიმაციის საუკეთესო საშუალება იქნებოდა.

საქართველოში XX საუკუნის ბოლოს შექმნილი სიტუაცია (ეკონომიკური კრიზისი, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე სამხედრო შეტაკებები, მწვავე კრიმინოგენული ვითარება, ქვეყნიდან გასული ასობით ათასი ადამიანი), ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა ქვეყნის დეზინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისათვის. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია იყო კონფლიქტის ზონებსა და მის მოსაზღვრუ რეგიონებში. მრავალი ათასი ადამიანი იქცა ლტოლვილად; კონფლიქტში უშუალო მონაწილე ჯგუფების წარმომადგენლები (რუსები, ოსები აფხაზები) მასობრივად ტოვებდნენ

176 საითიძე გ. ქართული პილიტეკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (19.05-19.17) თბილისი, 2005, გვ. 275.

177 ყოფიანი პ., ეთნოლოგიური მეცნიერების მეთოდოლოგისათვის, ქართული ეთნოლოგია I, თბილისი, 2005, გვ. 67.

178 არემძე მ., საქართველო რუსეთის საზღვარი – არსებული საფრთხეები და გმოწვევები, ომის შემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები, ინტერნეტ ვერსია <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-00-1---0-10-0---0prompt-10-TI-4---Doc---0-11--10-ka-50---20-home>

საქართველოს. ისინი მიდიოდნენ არა მარტო უშუალოდ კონფ-
ლიქტის ზონებიდან, არამედ სხვა რეგიონებიდანაც. მეტად რთული
ვითარება შეიქმნა ყაზბეგის რაიონში, აქაური ოსური სოფლებიდან
მოსახლეობა მხოლოდ რამდენიმეში დარჩა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არსებული ეთნოდემოგრაფიული
სიტუაცია მჭიდროდ უკავშირდება მის სასაზღვრო მდებარეობას.
ამგვარ რაიონებში "ეთნიკური უმცირესობა", ყოველთვის ითვლება
პოტენციური კონფლიქტის (ირიდენტული ან სეპარატისტული)
რისკის მქონედ.¹⁷⁹ ექსტრაორდინალური (კონფლიქტური) სიტუა-
ცია განაპირობებს ერთის მხრივ ამ ჯგუფების მაღალ მობილურო-
ბას და კონსოლიდაციას, მეორე მხრივ მათ მიმართ განსხვავებულ
დამოკიდებულებას როგორც ოფიციალური ხელისუფლების, ისე
ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ასეთი ჯგუფები ხშირად
იქცევიან პოლიტიკური პროცესების ინდიკატორებად. ცალკეული
ძალები მათი გამოყენებით ცდილობენ საკუთარი მიზნების მიღ-
წევას. მატერიალური რესურსებით (სამსედრო ძალა, იარაღი, ფი-
ნანსები) მომარაგების გარდა ანტიქართულ ძალები იდეოლოგიურ
ფრონტზეც აქტიურობენ. ქვეყნის მარგინალიზაციისათვის თეო-
რიული წანამდლვრების შესაქმნელ ქმედით იარაღად იქცა ისტო-
რიოგრაფია. ფსევდოსტორიული ნაშრომები ემსახურება ერთის
მხრივ საქართველოს ტერიტორიაზე ახალგამოცხვარი "დამო-
უკიდებელი სახელმწიფოებისათვის" ისტორიული საფუძვლების
შექმნას, მათი ტერიტორიის გაფართოებას და ანტიქართული ელე-
მებრტების კონსოლიდაციას, მეორე მხრივ კი ქართული საზოგადო-
ების დაქსაქსულობას და პერმანენტული დაბაბულობის შენარჩუ-
ნებას. ეს თეორიები წარმოადგენს არა ისტორიული რეალობის
კონსტრუირების, არამედ თანამედროვე ვითარებაზე ზემოქმედების,
კონფლიქტის ტერიტორიის გაფართოების, ან ახალი კერის წარ-
მოქმნის საშუალებას. თეორიული ბაზისის შექმნის შემდეგ, ახა-
ლი იდეები მასშედის საშუალებით ვრცელდება ხალხში.

179 Горовиц Д., Ирредентизм, сепаратизм и самоопределение, в сборн. Национальная политика в Российской Федерации, М, 1993, с.145-146.

§2. ისტორიული რეალობის ფალსიფიკაცია, როგორც მოსახლეობაზე ზემოქმედების იარაღი

ეთნოსთაშორის ურთიერთობაზე ისტორიული ლიტერატურის გავლენა ლოგიკურად აჩენს ცდუნებას “პატრიოტული” საფანელით გაღვივდეს ეთნოცენტრისტული მისწრაფებანი. მეცნიერები ობიექტურადაც განიცდიან საზოგადოების ღია თუ ფარულ გავლენას, რაც ბუნებრივად აისახება მათ შემოქმედებაზე. ეს კარგად იყო ცნობილი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელიც პროცესების სასურველი მიმართულებით მართვის მიზნით საქმაოდ ეფექტურ კონტროლის ახორციელებდა ისტორიული ხასიათის ლიტერატურაზე. ოფიციალური ცენტურის გარდა ხელნაწერი გამოქვეყნებამდე გადიოდა სამეცნიერო განხილვას, ხოლო ავტორი მუდმივად განიცდიდა კოლეგების ზეწოლას და თვითცენტურას.¹⁸⁰

კომინისტური სისტემის მოშლის შემდეგ მეცნიერებას საშუალება მიეცა ხსნებული კონტროლისაგან განთავისუფლებულიყო, მაგრამ გაჩნდა საშიშროება რომ სრული უკონტროლობის პირობებში გახშირდებოდა არაპროფესიონალ პოპულისტთა პუბლიკაციები, ხოლო პატრიოტული და კონიუნქტურული ტენდენციების ზეგავლენით აკადემიური წრეები ვერ შეძლებდნენ ტენდენციური მიღებომებისგან თავის არიდებას, რაც კიდევ უფრო დაძაბავდა სიტუაციას. უფრო მეტიც, ღია კონფრონტაციის პირობებში არსებობს რისკი რომ რომელიმე მხარის დაკვეთით მოხდეს ისტორიული ფაქტების ფაბრიკაცია-გაფალბება. თანამედროვე ოსურ-ქართული ურთიერთობის კველვის დროს ამას ემატება ობიექტურად არსებული ინფორმაციის ნაკლებობა და ჩამოყალიბებული სტერეოტიპები მეორე მხარის მიზნების შესახებ.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ოსური მხარის წარმოდგენა ქართულ-ისური პერსპექტივის შესახებ ასეთია: საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობას თავს ახვევს დესპოტურ თავადურ იდეოლოგიას, ხოლო ხელმძღვანელ ელიტას ღირებულებით ორიენტაციას ნატოზე (დასავლეთ ევროპა, აშშ) და დღევანდელი მთავრობისადმი სამ-

180 Шнилерман В.А., Войны Памяти, М. 2003, с. 20.

ხედრო მხარდაჭერაზე. სამხრეთ ოსეთს სრულიად განსხვავებული ღირებულებითი ორიენტაცია აქვს, ესაა ორიენტაცია ოსი ხალ-ხის გაერთიანებაზე, რუსეთზე, მასთან დაკავშირებულ მოდერნიზა-ციაზე და მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში ჩართვაზე.¹⁸¹ განსხვავებულია ქართული მხარის წარმოდგენა ამ საკითხებზე. ეკრანატლანტიკური არჩევანი უკავშირდება პირველ რიგში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და ადამი-ანის უფლებების განტკიცებას. ეროვნული პოლიტიკის არსი კი ასეთია: ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია და განსხვავე-ბული ჯგუფების ერთიან სახელმწიფო ორგანიზმში ინტეგრაცია. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით, როდესაც ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ხაზად აღი-არა არა ეთნიკური, არამედ სამოქალაქო იდენტიფიკაცია. ასეთი მიღომით ”ქართველია” ყველა საქართველოს მოქალაქე, მიუხედა-ვად მისი წარმომავლობისა. ავტოქთონობა – არავტოქთონობა და ტრადიციული კულტურული მსგავსება – განსხვავები გვევლი-ნება მხოლოდ ისეთი ფუნქციების მატარებლად, როგორიცაა – შე-მეცნებითი (აღრმავებს ცოდნას წარსულის შესახებ), დიდაქტიკური (ასწავლის დადგებითი და უარყოფითი მაგალითების საშუალებით), ეთნოკულტურული (აძლიერებს ადამიანის მენტალურ კავშირს წინაპრებსა და ტრადიციულ კულტურასთან) და მსოფლადებითი (თითოეული ადამიანის, ჯგუფის და საერთოდ კაცობრიობის თვით-შემეცნებისათვის იძლევა საზრდოს).¹⁸²

ისტორიული ხასიათის არგუმენტების მოხმობა, ზემოთქმულის მიუხედავად ძალზე გავრცელებულია, როგორც პოლიტიკური ქმე-დებების ასახესნელად, ისე ცალკეული გადაწყვეტილებების გასამარ-თლებლად. 2012 წელს, როდესაც რუსულ-ოსურმა ხელისუფლებამ ცხინვალის მიმდებარე ქართული სოფლების ნგრევა დაიწყო, ოსურ პრესაში გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომ ლიახვის ხეობაში ქართუ-

181 Дзугаев К., Плиев А., Культурологические особенности грузино-осетинских отношений. [обტერნეტვერსია](http://do.gendocs.ru/docs/index-128984.html#3787057), <http://do.gendocs.ru/docs/index-128984.html#3787057>; Блиев М. Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений, М.2006.

182 Шнилерман В.А., Войны Памяти, М. 2003, с.12.

ლი სოფელები საერთოდ არ ყოფილა.¹⁸³

ამგვარ ვითარებაში ჩნდება საშიშროება ურთიერთობა გამწვავდეს ყაზბეგის რაიონში მცხოვრებ ქართველებსა და აქედან წასულ ოსებს შორის. არის ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ქართველებისა და ოსების დაპირისპირების საფრთხეები. მდგომარეობას ართულებს ის, რომ, როგორც ოსებში, ისე ქართულ მოსახლეობაში არსებული ეთნოცენტრისტული განწყობა, უკავშირდება შეხედულებას, რომ ტერიტორიის პოლიტიკური კუთვნილების განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპი ისტორიული კუთვნილებაა.

ეთნიკური და განსაკუთრებით ოსური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ქართული ნაშრომები ძირითადად ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათისაა, ნაკლებადა წამოჭრილი კულტუროლოგიური და კონფლიქტოლოგიური პრობლემები, შეზღუდულია ამ ნაშრომების გავრცელება და მათი უცხო ენებზე თარგმნა. მართალია ქართველი ავტორები გარკვევულ სიასტორიო ტრადიციებს ეყრდნობიან და მოვლენათა ანალიზს ისტორიული წყაროებისა და ლოგიკური არგუმენტების მეშვეობით ცდილობენ, მაგრამ გვხვდება ეთნოცენტრისტული მიდგომები და ცალკეული უზუსტობებიც. რუსულენოვანი (ოსი და რუსი) ავტორების ერთი ნაწილი ცდილობს მეცნიერული ეთიკის დაცვას, თუმცა ხშირად კონიუნქტურის მსხვერპლი ხდება. უფრო ხშირია პუბლიკაციები, სადაც ნათლად იკვეთება რუსული პოლიტელიტისათვის სასურველი ახალი რეალობის შექმნის მექანიზმები. ამის მაგალითა, ინტერნეტში გავრცელებული მოსკოვის „სტრატეგიული კონიუნქტურის ცენტრის“ ერთერთი ხელმძღვანელის მიხაილ ჩერნოვის მოსაზრება, რომ ცენტრალურ საქართველოში ოსური პოლიტიკური ერთეულის გაფართოების გზით (იგულისხმება ყაზბეგის რაიონის და თრიალეთის ეწ. სამხრეთ ოსეთთან მიერთება) უახლოს მომავალში რუსეთ-სომხეთს უშუალო საზღვარი ექნებათ.¹⁸⁴ ამ ტიპის თეორიები ამავე დროს, ქართული საზოგადოების ეთნიკური დეზინტეგრაციის მიზანსაც ისახავენ.

183 Коцты Х., 2012, Юго-Осетинская газета «Республика», Грузинских сёл в Лиахвском ущелье нет и никогда не было, ინტერნეტგვერსია, <http://cominf.org/node/1166494486>

184 <http://www.voskanapat.info/?p=5051>.

ქართულ-ოსური/რუსული კონფლიქტი მრავალშრიანი მოვლენაა. ამ კონფლიქტის ინსპირირებაში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ ეთნოკულტურული ასპექტების გვერდით, ზეგავლენა აქვს თითოეული მხარის პრეტენზიას, დაიბრუნოს მისთვის ისტორიულად მინიჭებული ადგილი. ამრიგად, მცნიერთა ნაწილს საშუალება ეძლევა კონიუნქტურის შესატყვისი გეოპოლიტიკური დაკვეთა შეასრულოს და ამა თუ იმ ხალხის ისტორიული როლის გაზვიადებით ზემოქმედება მოახდინოს ეთნოცენტრისტულ განწყობებზე.

კომუნისტურ პერიოდში უცხოურ სამეცნიერო წრეებში გავრცელებული იყო მიდგომა, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი მოდელის ძირითადი არსი მდგომარეობდა რუსულისა და არარუსულის დაპირისპირებაში. ცენტრის ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო რუსიფიკაციის განხორციელებისაკენ, რასაც პერიფერია თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივი ენისა და ეთნიკური კულტურის განვითარების გზით¹⁸⁵: სინამდვილეში, პერიფერიებში ყოველთვის არსებობდა რუსიფიკაციის მომხრე ძალა, როგორც ნაციონალურ ინტელიგენციაში, ისე იმ ეთნიკურ ერთობებში, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკურ მოწყობაში უფრო დაბალი იერაქია (ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი) ეკავა. ამ უკანასკნელთ, ცენტრი საკუთარი მიზნების განხორციელებაში ბუნებრივ მოკავშირედ მოიაზრებდა და მათთან რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებაც უფრო უადგილდებოდა. ამ გზაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეწ. მცირე ხალხებისათვის (მაგ. აფხაზებისა და ოსებისათვის) არსით რუსული და ფორმით „ნაციონალური“ სახელმწიფოებრივი, კულტურული და სხვა სახის ატრიბუტების მიცემას. იქმნებოდა ილუზია, რომ საკავშირო ცენტრი რესპუბლიკურზე მეტად ცდილობდა ეთნიკურ ავტონომიებში ადგილობრივი პოლიტიკური და კულტურული ინსტიტუტების განვითარებას. თუმცა, საბჭოთა რესპუბლიკებისა-გან განსხვავდებოთ, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში საქმეთა წარმოება და უმაღლესი განათლების სისტემა ძირითადად რუსული იყო.

185 Шнирелман В.А., Войны Памяти, М. 2003, с. 10.

ეთნიკურობის განსაზღვრისას შეიძლება გამოვიყენოთ ტრადიციული (პრიმორდიალური), ან ინოვაციური კონსტრუქციული მიდგომა. პრიმორდიალური მიდგომის თანახმად, ეთნიკურობა ავტომატურად აღმოცენდება ისეთი ობიექტური მახასიათებლების საფუძველზე როგორიცაა: ენა, გარეგნული ფიზიკური ნიშნები, რელიგია, ტრადიციული და ყოფითი კულტურის თავისებურებანი. კონსტრუქციული მიდგომით კი აქცენტი კეთდება ადამიანების მიერ არსებული რეალობის აქტიურ შემოქმედებით ინტერპრეტაციაზე. ამ თვალსაზრისით, ობიექტიური მახასიათებლები წარმოადგენებ მხოლოდ ინტერპრეტაციის ნედლეულს. ერთი და იგივე ობიექტურ საფუძველს ადამიანებმა შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა მიანიჭონ, მიმდინარე ინტერესების და კონკრეტული სიტუაციის მიხედვით, აქცენტი ხან ენაზე გააკეთონ, ხან რელიგიაზე, ხან კი კულტურულ თავისებურებებზე.¹⁸⁶ ამ მიდგომით ეთნიკურობის განსაზღვრაში კულტურის კომპონენტების როლი განსხვავებულად წარმოჩინდა. ეს უმნიშვნელოვანესი ნიშანი განიხილება, არა როგორც პირველადი ან განმსაზღვრელი, არამედ როგორც ეთნიკური ორგანიზაციის შედეგი.¹⁸⁷

არსებობს მოსაზრება, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთნიკური თვითშემეცნების ანუ თვითიდენტიფიკაციის საკითხებს ენიჭება. რაც უფრო მაღალია კონსოლიდაციის ხარისხი, უფრო მეტია ეთნიკური თვითშემეცნება. იგი მნიშვნელოვან განმსაზღვრელს წარმოადგენს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეთნიკური კუთვნილების გამოხატვა შეზღუდული არ არის.¹⁸⁸ როგორც ზემოთ აღინიშნა, ისტორიული მეცნიერება დიდ როლს თამაშობს ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბებაზე. ღია კონფლიქტების დროს კი ეთნიკური კონსოლიდაციის მიზნით ხშირად იყენებენ ცალკეული ისტორიული ფაქტების პიპერბოლიზაციას, ზოგჯერ კი გაყიდებასაც არ ერიდებიან. ხანდახან პოლიტიკური მოღვაწე-

186 Шнилерман В.А., Войны Памяти, М. 2003, с. 11-12.

187 Барт Ф, 2006, Введение, Этнические группы и социальные границы, под редакцией Фредерика Барта, Новое издательство, 2006, с.13.

188 Джуссоев Р. И.К вопросу национальной идентификации осетин (к итогам Всероссийской переписи населения 2002), обぢрбىぢ ۋەرسىءا, WWW.ethnonet.ru 2004-12-10.

ებიც უბიძგებენ ისტორიკოსებს ფსევდომეცნიერული არგუმენტების ფაბრიკაციით ემსახურონ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას. ამ ბოლო ხანგბში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ისტორიული ხასიათის ნაშრომთა ერთი ნაწილი კავკასიოლოგიაში ასწლეულობით გაბატონებულ დებულებათა ახლებულად ინტერპრეტაციის მცდელობას წარმოადგენს. ეს დებულებები ხშირად ოდიოზური პოლიტიკური ქმედების არგუმენტაციისათვის გამოიყენება. ამგვარ ხერხს ხშირად მიმართავს რუსეთის პრეზიდენტი.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამერიკული ტელეკომპანია CNN – ისათვის მიცემულ ინტერვიუში ვ. პუტინმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა ფსევდოისტორიული ჰიპოთეზა, რომლითაც საქართველოში რუსული აგრძესია ისტორიული სამართლიანობის აღდგენად წარმოაჩინა. ამ შემთხვევაში, იგი იმ ტიპის ფალსი-ფიცირებულ ნარატივს ეყრდნობა, რომელის დადასტურებაც ისტორიული წყაროებით შეუძლებელია. 1. კავკასიური სახელმწიფო წარმონაქმნები, სხვადსხვა დროს, თავისი ნებით შევიზნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. პირველი – 1745-1747 წლებში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ოსეთი. მაშინ ეს იყო ერთიანი სახელმწიფო ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი. 2. მე-19 საუკუნის შუა ხანებში მიიღეს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთი თბილისის გუბერნიისათვის გადაეცათ, თუმცა ერთიან სახელმწიფოში ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა. 3. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერია დაიშალა, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ოსეთმა კი რუსეთის შემადგენლობაში დარჩენა ისურვა, 1918 წელს ამის გამო საქართველომ იქ ჩაატარა ძალიან სასტიკი სადამსჯელო ოპერაცია, რაც 1921 წელს კიდევ ერთხელ გაიმურა. 4. როდესაც საბჭოთა კავშირი ჩამოყალიბდა სტალინმა ეს ტერიტორია საბოლოოდ დაუქვემდებარა საქართველოს; ცნობილია, რომ იგი ქართველი იყო. ამრიგად, ვინც ამტკიცებს, რომ ეს ტერიტორია საქართველოს მიეკუთვნებოდა – სტალინისტია, სტალინის გადაწყვეტილებას იცავს.¹⁸⁹ ისტორიული წყაროების მოშველიება

189 Путин В. Интервью Председателя Правительства Российской Федерации В.В.Путина американской телекомпании "Си-Эн-Эн" Сочи, 28 августа 2008 г.,

არაა საჭირო პუტინისეული დებულებების აბსურდულობის და-სამტკიცებლად, ამისათვის მათში არსებული წინააღმდეგობებიც საკმარია¹⁹⁰. ზემოხსნებული თეზისები ოს და რუს ისტორიკოს-თა იმ ნაშრომებს ემყარება, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ოსი ხალხის ეთნიკური თვითშევნების აძლლება და კონსოლი-დაცია ისტორიული ინსინუაცების საშუალებით მოახერხოს.

არსებობს ისტორიული სინამდვილის დამახინჯების სხვა გზებიც: ისტორიკოსს შეუძლია გვერდი აუაროს უხერხულ ფაქ-ტებს ან გაკვრით შეჩერდეს მათზე, დიდი როლი მიანიჭოს მეო-რეხარისხოვან ცნობებს, უფრო მნიშვნელოვანს კი ყურადღებაც არ მიაქციოს, გამოიყენოს არაერთმნიშვნელოვანი ტერმინები, რაც მოვლენათა აღქმას გაართულებს და ა.შ.¹⁹¹.

შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით მიმდი-ნარეობს საბჭოთა პერიოდში რუსულ ისტორიოგრაფიაში გა-ბატონებული თავად რუსოფილური შეხედულებების რევიზიაც. ეჭვქვეშ დგება მრავალი დებულება, რომელიც რუსული სახელ-მწიფოს პევემინობისა და რუსი ხალხის რჩეულობა-პროგრესუ-ლობის ისტორიულ საფუძვლად იყო მიჩნეული.¹⁹²

ფსევდოისტორიულ არგუმენტებზე დამყარებული ოსური ეთნო-ცენტრისტული კონცეფციები სულ უფრო ცნობილი ხდება მსოფ-ლიოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის. უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურებაც – რიგი (ოსური და აფხაზური) დებულებები-სა რუსეთის აკადემიური წრების ნაწილობრივი მხარდაჭერით სარგებლობს, რუსულ ენაზე გამოიცემა და ხშირად რუსეთის გა-მომცემლობებში. ცალკეული, აშკარად ფსევდომეცნიერული ნაშ-რომის¹⁹³ კრიტიკის ფუნქცია იმავე რუსულ აკადემურ წრებს

ინტერნეტგვრხია, <http://www.polemics.ru/articles/?articleID=12234&hideText=0&itemPage=1>

190 Лордкипанидзе М., Мусхелишвили Д., Открытое письмо премьер-министру российской федерации в. Путину, Некоторые вопросы истории осетин Шида картли Тбилиси 2010, с. 10-15.

191 Шнилерман В.А., Войны Памяти, М. 2003, с.13

192 Верещагин М., 2015, Пять главных Советских мифов о Второй Мировой Войне, internetversia, <http://fakeoff.org/history/pyat-glavnikh-sovetskikh-mifov-otvoroy-mirovoy-voyne>

193 ЧочиевА. Р., Нарты-ариииарийскаяидеология, М., Акалис, 1996 г.;

აქვთ თავის თავზე აღებული. ამრიგად, იქნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ობიექტურნი არიან ხსენებული პრობლემატიკის განხილვისას, წარმოჩინდებიან „მიუკერძოებელ” მხარედ, კისრულობები არბიტრის ფუნქციას და საშუალება ეძლევათ კავკასიური პრობლემები მათთვის სასურველ ჭრილში წარმოაჩინონ. ქართველი მეცნიერების მცდელობა, წინ აღუდგნენ სიცრუის მანქანას, ნაკლებად წარმატებულია. ქართული ისტორიული მეცნიერების აქილევსის ქუსლად ბოლო ხანებამდე რჩება ის, რომ ნაშრომთა ტირაჟირება შეზღუდულია, ხოლო მათი უცხო ენგზე თარგმნა და გავრცელება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ვერ ხერხდება. გარკვეული აქტივობა, რომელიც ამ მიმართულებით შეინიშნება მხოლოდ ავტორთა ან ცალკეული პირების ინციატივებს ემყარება. ამის მიუხედავად, მოხერხდა რამდენიმე საინტერესო გამოკვლევისა და კრებულის რუსულ ენაზე თარგმნა და მათი ერთი ნაწილის ინტერნეტში განთავსება.¹⁹⁴ ცალკეული უზუსტობებისაგან არც ქართველი ავტორები არიან დაზღვეული, მაგრამ უდავოა, რომ ისინი, გარკვეულ საისტორიო ტრადიციებს ეყრდნობიან და მოვლენათა ანალიზს ისტორიული წყაროებისა და ლოგიკური არგუმენტების მეშვეობით ცდილობენ.

ყაზბეგის რეგიონის ნაწილის ისტორიულ ოსეთად გამოცხადების ტრადიცია ოსურ საისტორიო მწერლობაში სათავეს გასული საუკუნის შუა ხანებიდან იღებს. ბ კალოევი უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნევდა, რომ ორუსოს ხეობა და კობის ქვაბული ისტორიული ცენტრალური ოსეთის ნაწილს წარმოადგენდა და დასახლებული იყო “Tyal”-ებით, რომლებთა ფორმირების ცენტრს წარმოადგენდა ნარის, ზრუგის, ზაქისა და კასარის ხევები. მოგვიანებით ეს სახელწოდება გავრცელდა ცენტრალური და სამხრეთ ოსეთის სხვა რაიონებზეც. თუმცა, თუაღები თავს მკაფიოდ განასხვავებენ “სამხრეთელი ოსების ანუ” “хусаират” -ებისაგან.¹⁹⁵

ЧочиевА.Р., Нарты-арийская идеология, Кн.2, М., Акалис, 2000.

194 Осетинский вопрос, (Сб). Тб 1994; Топчишвили Р, Грузино-осетинские этноисторические очерки, Тб. 2006; Топчишвили Р, (Сб) О Об осетинской мифологеме истории, Тб. 2005; Некоторые вопросы истории Шида Картли, (Сб), Тб. 2010.; Топчишвили Р, «Осетинская этнографическая энциклопедия» в контексте грузино-осетинских отношений, Тб.. 2016; Топчишвили Р. Осетини и грузини: миф и реальность, Тб. 2009.

195 Калоев Б. Осетины, (историко-этнографическое исследование), М. 1967, с.49.

საქართველოს სამხედრო გზის მიდამოებში მდებარე თრუსოს ხეობა, კობის ქვაბულთან ერთად შეიძლება ჩაითვალოს ცენტრალური ოსეთის ნაწილად, მის აღმოსავლეთ სანაპიროდ – წერს ბ. კალოევი. თრუსოს ხეობა მთლიანად აღან-ოსებით იყო დასახლებული მონღოლთა შემოსევამდე დიდი ხნით ადრე. ამ დებულების გასამყარებლად ოსი ავტორები იმოწმებენ აღანური ყაიდის “ცარ-ციატების” სასაფლაოების არსებობას ხეობის რამდენიმე სოფელში, ქართული საისტორიო წყაროს “ძეგლი ერისთავთა” მონაცემებს და ხეობაში აღმოჩენილ “სირიულ-ნესტორიანულ” წარწერას, რომელიც “შედგენილია ირონულ დიალექტზე” და დათარიღებულია 1326 წლით.¹⁹⁶

„ავტონომიების შოვინიზაციისათვის,“ რათა ცენტრიდანული პროცესების განვითარების შემთხვევაში რუსეთიდან გამოყოფის მსურველ რესპუბლიკებს საკუთარი ავტონომიები დაპირისპირებოდა. საბჭოთა რესპუბლიკებისაგან განსხვავდით, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში საქმეთა წარმოება და უმაღლესი განათლების სისტემა რუსული იყო და რუსიურიკაციის პროცესიც უფრო შორს წავიდა.

შეიძლება ითქვას, რომ ისტორიის გაზრების ოსურ//რუსულ კონტექსტში მთლიანად ჯდება მათ მიერ ყაზბეგის რეგიონის ოსური მოსახლეობის ისტორიის ინტერპრეტირება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თანამედროვე ოსი ავტორების ნაშრომების თემატიკა, საქართველოსთან დაკავშირებით, მირითადად კონცენტრირებულია სამი მიზნის მისაღწევად – ოსი ხალხის ავტოქ-თონობის დასამტკიცებლად მათი ეთნოგენეზის არეალში შიდა ქართლის და ყაზბეგის რეგიონის ტერიტორიის მოქცევა; ოსურ-ქართული ურთიერთობის განხილვა სოციალურ პრიზმში, იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი ფეოდალები შეუბრალებლად აწიოკებდნენ და ჩაგრავდნენ ოს გლეხებს; ოსი ხალხის ისტორიული და ბუნებრივი მისწაფება გაერთიანდეს რუსულ სოცი-ოპოლიტიკურ სისტემაში.

196 Калоев Б. Осетины, (историко-этнографичеекое исследование), М. 1967, с. 53ж Ванеев З. И. К вопросу о Двалах, общехристианский зеиса http://www.bulgari-istoria-2010.com/booksRu/Z_Vaneev_Dwaly.pdf

საბჭოთა პერიოდის ისტორიულ ნაშრომებში ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ძირითადად ხალხთაშორის მეგობრობისა და ხან-გრძლივი თანაცხოვრების ჭრილში იკვლევდნენ. 1990-იან წლებიდან მიღვომები შეიცვალა და წინა პლანზე წამოიწია ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიულად არსებული კულტურული და ეთნოსოციალური წინააღმდეგობების, მათ მიერ რუსული სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის განსხვებულად აღქმის და სხვა ტიპის დაპირისპირებათა ცალკეული ასპექტების კვლევამ. ამგავარ ცვლილებას ზოგი ავტორი (მაგ. ძუგაევი, პლიევი) იმით ხსნის, რომ რადგან საქმე ეხება კონფლიქტის პოტენციურ კულტუროლოგიურ შინაარს, აუცილებელია, იგი საონადო (ე.ი კულტურულ-ისტორიული ლ.ჯ.) მეთოდებით ვიკვლიოთ .

ოსი ავტორები, კულტურულ-ისტორიული ხასიათის შემდეგ პრობლემებს გამოყოფენ:

- **კლასობრივი ხასიათის დაპირისპირება.** ბოლო ხანებში გამოცემულ ნაშრომებში გაანალიზებულია ქართველი ფეოდალების და საქართველოში მცხოვრები ოსების დაპირისპირების ფაქტები. ცალკეული ოსი ავტორი მიიჩნევს, რომ ირანელთა სამასწლოვანი ბატონობის გამო სპარსეთში გავრცელებული ქსენოფობია საქართველოს ფეოდალურ ფენას და სამეფო კარსაც გადაედო. ქსენოფობია ქართული ზედაფენის იდეოლოგიურ სისტემად იქცა. მისთვის დამახასიათებელი გახდა კაცთმოძულე ფსიქოლოგია, სისასტიკე და “უცხოელთა” ძალადობრივი დისკრიმინაცია¹⁹⁷ შპპის სპარსეთში აღმოსავლეთ ქართული საზოგადოების ხანრძლივი ცხოვრების შედეგი იყო ის რომ საქართველოში ჩამოყალიბდა სპარსული ფეოდალიზმის მსგავი სოციალური ორგანიზაცია. ფეოდალიზმის ამგვარმა მოდელმა შვა ტირანია, როგორც სახელმწიფოებრიობის და იდეოლოგიის ღრმად კონსერვატიული ფორმა. ამას ვერც რუსეთის იმპერიაში შესვლამ უშენებელა. ცხადი იყო, რომ ერთმორწმუნეობის მიუხედავად ქართულ ფეოდალურ ზედაფენაში გაბატონებულ იდეოლოგიად დარჩა აღმოსავლური

197 Блиев М. Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений, М.2006 ; Дзугаев К., Плиев А.,Культурологические особенности грузино-осетинских отношений. инტერნეტვერსია, <http://do.gendocs.ru/docs/index-128984.html#3787057>

დესპოტიზმი. ოსეთში და უპირველესად კი მის მთიან ნაწილში, საზოგადოებრივი მოწყობის სრულიად განსხვავებული იდეოლოგიური მექანიზმები მოქმედებდა. “სამხრეთ ოსური” საზოგადოება ვერ ურიგდებოდა ფეოდალთა მისწრაფებას ემართათ თავისუფალი თემი. ამის დასტურად მოჰყავთ ქსნის ერისთავთა ამბავი, რომელიც აღწერილია “ქსნის ერისთავთა ქრონიკებში”. აი როგორაა ინტერპეტირებული გვიან შეუა საუკუნეების ქსნის საერისთავოს ისტორია: ჩრდილოეთის დაბლობის ოსეთში ხელისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლაში სამეფო საგვარეულოს დამარცხებული შტოს სამმა წარმომადგენელმა (როსტომმა, ბიბილამ და წითლოსმა შვილებთან და მსახურებთან ერთად) დატოვა სატახტო ოლქი და გადასახლდა მთიან ოსეთში – თუალგომში (ქართული მატიანეების დავალეთი). თუალგომა მიიღეს ისინი, მაგრამ როდესაც როსტომმა მეუღლე(მმართველად) გახდომისურვილი გაამჟღავნა, ოსმა მთიელებმა მას თუალგომის დატოვება აიძულეს. როსტომი ძმებთან ერთად გადავიდა ქსნის ხეობაში. აქ იგი მმართველი გახდა, ხოლო მოგვინებით გაავრცელა გავლენა არაგვის ხეობასა და სხვა მიწებზე ქალაქ ქორამდე, მიიღო ერისთავის წოდება (ქართული “ერისთავიდან” – მმართველი) და შევიდა ქართულ ზედაფენაში. ოსური გადმოცემით ისინი მიეკუთვნებოდნენ ოსური ხეთი მთავარი გვარიდან ერთ-ერთს სიდამონებს. გახდნენ რა ქართული ელიტის წევრები იწოდნენ სიდამონის შთამომავლებად, სიდამონ-ერისთავებად. ქსნის ერისთავები თაობიდან თაობამდე თუალგომ-დვალეთს თავიანთ კანონიერ სამფლობელოდ მიიჩნევდნენ და მის დაპყრობას ცდილობდნენ. მოგვიანებით ამგვარი მცდელობები ჰქონდათ ქართული საგვარეულოს, მაჩაბლების წარმომადგენლებსაც. ცხინვალის მიდამოებში მთისწინეთის დაბლობების დამორჩილება მაჩაბლებმა შეძლეს, თუმცა საბოლოო მიზანს ვერ მიაღწიეს. რაც შეეხება “ოსეთის მთას”, აქ მცხოვრები მთიელები სამხედრო-გვაროვნული დემოკრატიის პირობებში ცხოვრობდნენ, დამპყრობლებს გააფრთვებულ წინააღმდეგობას უწევდნენ და არა-სოდეს დამორჩილებიან უცხოელთა ბატონობას. ამრიგად, ჩვენ უფლება გვაქვს გავაკეთოთ ისტორიული არგუმენტებით კარგად

გამყარებული დასკვნა თავისუფლების გაგების ქართველი და ოსი საზოგადოებების მსოფლმხედველობების კარდინალური განსხვავებულობის შესახებ – წერენ ოსი ავტორები – ქართველ თავად-ფეოდალს გულწრფელად სწამდა, რომ ოსები რომელებზეც მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა, ვალდებული იყვნენ ეხადათ ხარკი, ოსებს კი ასევე გულწრფელად ვერ გაეგოთ რატომ უნდა მიეცა მისი ნაწარმი პროდუქტი და ემუშავა მოსული ადამიანისათვის, რომელიც თავს მის პატრონად აცხადებდა. ეს იყო განსხვავება მსოფლაღქმაში და საზოგადოებრივ წყობილებაში – ქართული საზოგადოება მოწყობილი იყო აღმოსავლური დესპოტური ფეოდალიზმის, ხოლო ოსური (მთური) სამხედრო გვაროვნული წყობის ყაიდაზე. ოსები ქართველებს არასდროს ემორჩილებოდნენ, ოსეთის მაგალითზე ქართველი დარიბებიც იბრძოდნენ მემამულების წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ.¹⁹⁸

ქართულ-ოსური ურთიერთობის მტკიცნეული ეპიზოდების კლასობრივი კონფლიქტის ჭრილში განხილვის ტრადიცია ძირითადად საბჭოთა პერიოდში დამკვიდრდა. როგორც ვას. ითონიშვილი აღნიშნავს ქართველებისა და ოსები დაპირისპირების ყველა ფაქტს 1918-1920 წწ. კონფლიქტის ჩათვლით ქართველი თავადების და მათგან ჩაგრული ოსი გლეხების დაპირისპირებად ნათლავდნენ, ზოგ შემთხვევაში კი ოსთა ფართო მასების ბრძოლად სამშობლოსა და ბოლშევიკური იდეალებისათვის, ქართველი ფეოდალების ძალმომრებობისა და ქართველ შოვინისტ ნაციონალისტთა ექსანტისის წინააღმდეგ.¹⁹⁹ კლასობრივი და სოციალური ურთიერთობის ჭრილში მნიშვნელოვნად მიიჩნევა ხიზნობის საკითხი, რაც მჭიდროდ უკავშირდება საქართველოში ოსთა ინფილტრაციის ეტაპებსა და დინამიკას.

198 Блиев М. Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений, М.2006 ; Дзугаев К., Плиев А.,Культурологические особенности грузино-осетинских отношений. инტერნეტგვერსაი, <http://do.gendocs.ru/docs/index-128984.html#3787057>

199 ითონიშვილი ვას. ოსანობა, კრ. ოსთა საკითხი, თბილისი, 1996; გვ. 228.

კულტურულ-რელიგიური განსხვავების ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირება

ეთნოკულტურული დაპირისპირების ინსპირაციის თავისებურ მეთოდს წარმოადგენს რეალური ფაქტების იმგვარად ინტერპრეტირება, რომ ადამიანებს ნაციონალური თავმოყვარეობა შეელახოთ. ამ მიმართებით ძალზე საყურადღებოა კულტურულ-რელიგიური მსგავსება-განსხვავებების კვლევა ოსურ და ქართულ ისტორიოგრაფიაში. ოსი ავტორების თანახმად შეუძლებელია კულტუროლოგიური განსხვავებების სრულყოფილად გარკვევა, თუ სულიერ რელიგიურ განსხვავებებს არ გამოვიკვლევთ. თითოეული კულტურის ბირთვს წარმოადგენს რელიგიური კულტი, მისი ძირითადი ელემენტების ერთიანობით. აქ ყურადღებას გავაძახვილებთ ორ გარემოებაზე. პირველი ეხება ოსების მრავალსაუკუნოვან წარმართობას და ქრისტიანობის ზედაპირულად ათვისებას, რაც რეალობას არ შეეფერება. უფრო პირიქითაა ხალხმა ათეულობით თაობაში შემოინახა რწმენა ერთიანი უხილავი ღმერთის, შემოქმედი ყოვლისმპრობელის შესახებ, მაშინაც კი როდესაც კანონიკური საეკლესიო ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაშინაც კი როდესაც კომუნისტური ხელისუფლება ეკლესიებს ავიწრობდა და სასტიკად დევნიდა ხმადაბლა მაგრამ დარწმუნებით ამბობდნენ “Хутицая, ბაეს्टისფალდისაგ” ქვეყნის შემოქმედი ღმერთის სადღეებოლოს. ხშირად გაგვიგონია გამოთქმა, რომ ასწლეულობის განმავლობაში ოსები არ ასრულებდნენ ღვთისმსახურების კანონს და ქრისტიანული სარწმუნოების სხვა ფორმალურ-კანონიკურ რიტუალებს. მაგრამ თავს უფლებას მივცემთ აღვნიშნოთ, რომ არა ადამიანია შაბათისათვის არამედ შაბათია ადამიანისათვის და მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ მიღებული დადგენილებები, მათი უდავო მნიშვნელობის მიუხედავად, არ დგას უფრო მაღლა ვიდრე თაობების მიერ შენახული ღმრთის რწმენა, რომელსაც ხალხი ისტორიულად იძულებით ჩამოყალიბებული ფორმით გამოხატავს. მეორე მხრივ გამორიცხული არაა, რომ გარკვეულად გადაჭარბებული იყოს მოსაზრება ქართველთა საუკუნოვანი, ყოვლისმომცველი და განუყოფლად გაბატონებული

მართლმადიდებლური რწმენის შესახებ. ამის შესახებ წერდნენ ავტორები, რომლებიც ქართული სულიერი ცხოვრების გულში გაიზარდნენ. ასე მაგალითად, ქართველი “საკულტო” მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ბრწყინვალე ლიტერატურული ნიჭიერებით აკეთებს საინტერესო დასკვნას რომან “ჯაფოს ხიზნების” პერსონაჟის, გაკრეჭილი მღვდლის, ივანეს პირით. ამ დასკვნის ანალიზი მოცემული აქვს პუბლიცისტ ა. ჯიოვეს, როგორ მორალურ საფუძვლებზე, ისტორიულ არჩევანში ხედავს ივანე საქართველოს და ქართველების, როგორც ნაციის გადარჩენას? ჩვენ წარმართები ვართ, წარმართები ვიყავით და წარმართებად დავრჩით ამბობს იგი თეიმურაზ ხევისთვის საუბარში. ქართველების მიერ ოსთა წინააღმდეგ ჩადენილი მხეცობები, რომლის შესახებაც დოკუმენტურად დასაბუთებული ათეულობით ტომი არსებობს, უნებურად გარწმუნებს ამ დასკვნის სინამდვილეში. რაც შეეხება, ქრისტიანული რწმენისათვის თავდადებული მილიონობით ქართველს, რწმენა ქრისტეს შესახებ იყო მხოლოდ ფარი, რომლითაც ქართველები ნაციონალურ დამოუკიდებლობას იცავდნენ, ქართველები სემიტები არიან და ამიტომაც მათთან უფრო ახლოა მუსულმანური ან იუდეური რელიგია. ამიტომაც ასე ადვილად გამუსულმანდა ქართველების თითქმის მესამედი.²⁰⁰

ისტორიული დოკუმენტების თავისუფალი ინტერპრეტაციის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ 1782 წელს არაგვის საერისთავოს მცხოვრებთათვის მიღებული განჩინება, რომლის მესამე თავში წერია “თუ რომელიმე ქრისტიანე კაცი ოსს ქალს მიცემს და დაუმოყვრდება, იმას ჩვენ მუხანათობისათვის მოვკითხავთ და დიდადაც გადავახდევინებთ. და თუ ოსმა ქალი მოგცეს, ის კი ითხოვთ, მაგრამ უნდა მონათლოთ, მოუნათლაობა არ იქნება”.²⁰¹ აშკარაა აქ საუბარია ქრისტიანის განსხვავებულ კონფესიის წარმომადგენელთან ქორწინებაზე. ოსი ავტორები წერენ – ბოლო სამი-ოთხი თაობის მანძილზე მიუღებლად ითვლებოდა იმის გახსენება, რომ 1782 წ. საქართველოში მიიღეს საგანგებო კანონმდებლობა, რომე-

200 Дзугаев К., Плиев А., Культурологические особенности грузино-осетинских отношений. ინტერნეტგრანა, <http://do.gendocs.ru/docs/index-128984.html#3787057>

201 სოდეულაშვილი ა., “სამხრეთ ოსეთი” საქართველოში?!?, თბილისი, 2009, გვ. 179.

ლიც ქართველებსა და ოსებს შორის ქორწინებას კრძალავდა, რა თქმა უნდა პირველი რაც თავში მოგივა, ესაა ანალოგია რომელიც ფაშისტურ გერმანიაში მიიღეს და ებრაელებთან გერმანელების დაქორწინებას კრძალავდა.²⁰²

ქართველი ავტორები მიუთითებენ ქართველი მოღვაწეებისა და სახელმწიფოს გავლენაზე ოსთა და სხვა კავკასიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. ოსურ ენაში თითქმის მთელი ქრისტიანული ტერმინოლოგია ქართულიდანაა შესული (დზუარ-ჯვარი, კულირი-კვირა, მორხო-მარხვა, ბარასკა – ბარასკევი, მიჯელოზ-მთავარანგელოზი, მიკალგაბრიე-მიქელგაბრიელი, ჩირისტი-ქრისტე, დეკამოზ-დეკანოზი, მაირამ-მარიამობა, სანიბა-სამება, ალარდი-ალავერდი, ჯეორგუბა-გიორგობა და ა.შ.²⁰³ ამასთანავე მოაქვთ დიდი ოდენობით ფაქტობრივი მასალები მათ ყოფაში მე-19 საუკუნის ბოლომდე შემორჩენილ წარმართული ელემენტების შესახებ. ქართული კულტურის ცხოველმყოფელი გავლენა დიდი იყო ასევე განათლების კერძის დაფუძნების, წერა-კითხვის გავრცელების, დამწერლობის შექმნის და სხვა მიმართულებებით. თუმცა, მოსკოვის პოლიტიკური ნებითკულტურული გარემო თანდათანობით ტრანსფორმირდა, რაც ქართული გავლენების რუსულით ჩანაცვლებაში გამოიხატა.

ოსურ-ქართული ურთიერთობების შეფასება რუსეთის იმპერიის პოლიტიკის შუქზე

ოსი ავტორები წერენ, მას შემდეგ რაც სულთმობრძავი საქართველო რუსეთის იმპერიის მხსნელი სკიპტრის ქვეშ გაერთიანდა, მისი ხსნისთვის ბრძოლამ რუსეთი ჩაითრია ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებში, როდესაც ქართველი თავადები, რუსული სამხედრო ძალის დახმარებით ცდილობდნენ დაეძლიათ ოსების გააფრთხებული ბრძოლა თავისუფლებისათვის. 1802 წ. სამხრეთ

202 Дзугаев К., Плиев А., Культурологические особенности грузино-осетинских отношений. №бърнбрътвръба, <http://do.gendocs.ru/docs/index-128984.html#3787057>

203 Итонишвили В., осетины (краткий историко-этнографический очерк), Некоторые вопросы истории осетин Шида картли Тбилиси, 2010, с. 245.

ოსეთში მეფის ჯარების პირველი ექსპედიციას შემდეგ მოჰყვა 1803, 1807-1808, 1809, 1810, 1812-1813, 1817, 1820-1821, 1830, 1836, 1838, 1839-1840, 1841-1841, 1848, 1850 წლის სადამსჯელო ექსპედიციები, ვიდრე 1852 წ, ბოლოსდაბოლოს სამხრეთ ოსეთის გლეხები სახაზინო გლეხების კატეგორიაში არ გადაიყვანეს და ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობისაგან არ იხსნეს. არსებითად სამხრეთ ოსები 50 წლის განმავლობაში აწარმოებდნენ განმათავისუფლებელ ბრძოლას ქართულ პოლიტიკურ ზედაფენასა და მის მხარდამჭერ კლასობრივ მოკავშირებთან რუსეთთან. თუმცა ბრძოლა ამით არ დასრულებულა და ზოგჯერ შეიარაღებულ ხასიათსაც დებულობდა, მაგალითად 1883-1884 წ.წ. სამხედრო ეგვზეგუცია იდგა სამხრეთ ოსეთის 125 სოფელში.

ოსების გენოციდი და მათი დეპორტაციის მცდელობა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. ქართველი არისტოკრატიის გულის მოსაგებად რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო სამხრეთ ოსების დეპორტაცია ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ სტავროპოლის გუბერნიაში, ჩერქეზების მსგავსად მათ დაუმუქრა ისტორიული სამშობლოდან საბოლოოდ განდევნა²⁰⁴. “ამასთან ისინი არასდროს ღალატობდნენ რუსულ მმართველობას.” პირიქით, როგორც მ. ბლიევი წერს “ქართულ-რუსული ურთიერთობის ისტორიაში ქართული პოლიტიკური ელიტა ყოველთვის დეკლარირებდა მეგობრობის პუმანიტარული ღირებულებებით, სამხედრო თანამშრომლობით და მართლმადიდებლური ნათესაობით, ამასთანავე შეთქმულებას აწყობდა და რუსულ ინტერესებს ჰყიდდა. ამგვარი პოლიტიკური ამპლიტუდის ნეგატიური გამოვლინებები, როგორც წესი, გამოიხატებოდა თავადური ფანატერით რომელიც ხშირად ქსენოფობის და რუსოფობის ფორმებს იღებდა.” ამ პრიზმში განიხილება 1918-1920 წლების ოსურ-ქართული დაპირისპირება.

1918-1920 წლის მოვლენების აღწერისას ქართველი ავტორების შეხედულება შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს: ამ დროს “სამხრეთ ოსეთში” ძირითადად ოს ექსტრემისტთა პოლიტიკური ავანტურიზმის შედეგად მოეწყო აჯანყებები საქართველოს დამო-

204 Блиев М. Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений, М.2006, с. 7.

უკიდებლობის წინააღმდეგ, რომლის მთავარი მიზანი იყო საქართველოდან ქართული ტერიტორიების გამოყოფა. ამიერკავკასიის კომისარიატმა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაიცვეს თავიანთი კანონიერი უფლებები. ამის შედეგად “ოსთა მიერ დაღვრილ ქართულ სისხლს, ქართველთა მიერ დაღვრილი ოსური სისხლიც დაემატა.”²⁰⁵

ეთნოფსიქოლოგიური ხასიათის დაპირისპირება ოსი ავტორების თანახმად ქართულ-ოსური განსხვავება კიდევ უფრო ღრმა იყო ყოფით დონეზე და გამოიხატებოდა ოსების მეომრულ და ქართველთა არამეომრულ ბუნებაში. ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა გამოავლინა სამხრეთ ოსებში შემონახული სამხედრო-გვაროვნული რეაქცია სამხედრო საფრთხეზე. პირველსავე შეტაკებებში ოსებმა გამოამჟღავნეს თვითორგანიზების ფენომენალური უნარი და მყისვე შექმნეს ქმედუნარიანი სტრუქტურები ქართველთა ნაციონალ-ექსტრემისტული ფორმირებების საწინააღმდეგოდ. როგორ შემოინახა ეს თვითშებები საბჭოთა წყობილების პირობებში? ფაქტია რომ ოსებს პირველი ადგილი ეჭირათ დიდი სამამულო ომის დროს საბჭოთა კავშირის გმირთა პროცენტული ოდენობით, ეს ცნობილია თოთოუელი ოსისათვის და დიდი ზემოქმედებას ახდენს ნაციონალურ თვითშეგნებაზე. ოსთა მეომრული ხასიათის შესახებ მრავალჯერ აღუნიშნავთ ქართულ ისტორიულ ქრონიკებში და სხვა მეზობელი ხალხების გადმოცემებსა და მატიანეებში. მაგ. 1851 წ. ოსეთის მონახულების შემდეგ ნ. ბერძნოვი აღნიშნავდა, რომ ოსები თავს ქართველებზე კარგ მეომრებად თვლიან და დაცინვით მოიხსენებენ მათ. ოსების მეომრული სული გამოიხატებოდა ოსური მენტალიტების თავისებურებებითაც: გულადობა, თვითშეწირვის უნარი, სიმტკიცე, ერთგულება და ა.შ. “საკუთარი ეთნიკური არსებობისათვის ბრძოლაში ალან-ოსებს წარსულში უზარმაზრი სირთულეების გადატნა და ურიცხვი მსხვერპლის გაღება მოუხდათ”, წერდა პროფესორი ბ. პლიევი გამოკვლევაში დიდი სამამულო ომის შესახებ. მათ შეძლეს შემოენახათ თავი, როგორც ხალხმა მათ მიერ შექმნილი ძლიერი სამხედრო ორგანიზაციის, შექმნილი მეომრული ვაჟკაცობის და თავადაცვის

205 ოთახე ა., ოსები ქართულ მიწა-წყლზე, ქ. რ. ოსთა საკითხი, თბილისი, 1996, გვ. 218.

უნარით. ამ თვისებების აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ ფიცს, რომელსაც ახალგაზრდა მამაკაცები წინაპრების ხსოვნის წინაშე დებენ. ამ ფიცს რელიგიური ფორმა ჰქონდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგი ჭაბუკებს მნიშვნელოვან მოვალეობებს უწესებდა გვარის წინაშე. ოსებისათვის დამახასიათებელი ფიცის ერთგულება აღნიშნული იყო რუსი ადმინისტრაციის და მკვლევარების მიერ. ბუნებრივია დამოუკიდებლობისათვის მუდმივი ბრძოლების შედეგად ჩამოყალიბდა იარაღთან ურთიერთობის სათანადო ეთიკა. ხაჯალი იყო ოსი მამაკაცის განუყრელი ნაწილი. სიტყვიერი კამათის დროს, როდესაც ვინმე ხაჯალზე ხელ იტაცებდა, მიუხდავად იმისა, რომ იარაღი ჯერ კიდევ ვადაში იყო, ეს წარმოადგენდა ნიშანს, რომ კონფლიქტი სიტყვიერი ფაზიდან შეიარაღებულ სტადიაში გადადიოდა. ჯერ ცარისტული, შემდგომში კი საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ოსთა განიარაღებას, მაგრამ მნიშვნელოვან წარმატებას ვერც ერთმა მიაღწია. სამხრეთ ოსეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივის პოლიტიკურ განყოფილებაში ინახება 1925 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული დოკუმენტი, რომლითაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს სამხრეთ ოსეთის კომუნისტური პარტიის წევრებისაგან ჩააბარონ შაშხანები. 1925 წლის 3 ოქტომბრის სხდომაზე სამხრეთ ოსეთის ოლქომის პრეზიდიუმმა განიხილა ეს საკითხი და დაადგინა “ეთხოვოს საქართველოს კპ. ცენტრალურ კომიტეტს დაუტოვონ იარაღი სამხრეთ ოსეთის კომპარტიის წევრებს, რადგან იარაღი საუკეთესოდაა მოვლილი და აუცილებელია მთაში ნადირისაგან, რომლითაც მდიდარია სამხრეთ ოსეთის ტყეები, თავდაცვისთვის. მტაცებელი ნადირი ყოველწლიურად დიდ ზარალს აყენებს პირუტყვას.” რათქმა უნდა, აქ საქმე მტაცებელ ცხოველებს კი არ ეხება, არამედ საქართველოს ხელმძღვანელობისათვის უარის თქმის სურვილს, 1920 წლის გენოციდის სულ რაღაც 5 წელი აშორებდა, მით უფრო რომ ქართველი ბოლშევიკების ნაციონალ-უკლონისტური განწყობები ოსი ლიდერებისათვის პირადი პოლიტიკური გამოცდილებით კარგად იყო ცნობილი. ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ოსები ქართველებისაგან განსხვებით არა-

მოვაჭრე ხალხია. ოსურ ენაზე სიტყვა მოღალატე და ვაჭარი (გამყიდველი) ერთიდაიგივენაირად გამოითქმის რაც აირეკლება და წარმოშობს აზროვნების სათანადო სტერეოტიპს. სამხრეთ ოსეთში მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე, იქ სადაც ოსური მოსახლეობა იყო, განსაკუთრებით მთურ ზონაში, დიდი გაჭირვებით ვითარდებოდა საცალო ვაჭრობის სისტემა და სამომხმარებლო კოოპერაცია. ამგარი საქმიანობა მამაკაცისათვის სათაკილოდ ითვლებოდა – წერს ჩურსინი. ვიდრე მენშევიკები გაანადგურებდნენ, ჯავის მსგავს დიდ სოფლებში იყო სავაჭროები (ლუქები), მაგრამ ამის შემდეგ დაბრუნებულ ოსებს არსად ერთი სავაჭროც არ გაუხსნიათ და ასანთის კოლოფის ან სიგარეტისთვის იძულებულია ცხინვალში ჩავიდეს. დღეისათვის სამხრეთ ოსების ნაწილი ვაჭრობს, მაგრამ ჩვენის აზრით ამ საქმიანობის სათანადო იდეოლოგია და ფსიქოლოგია, რომ არაფერი ითქვას მსოფლმხედველობრივ დომინანტტებზე, საზოგადოებაში ჯერ არ ჭარბობს, თუმცა მნიშვნელოვნად განვითარდა. ბევრი ადამიანი ვაჭრობს იმიტომ რომ ცხოვრება აიძულებს.

ქართველი ავტორები მიიჩნევენ, რომ რადგან ოსთა წინაპრები მომთაბარეები იყვნენ, ომი, მეკობრეობა, ყაჩაღური თავდასხმები მათვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, ამიტომ მათი ცხოვრების წესი განსხვავდებოდა ინტენსიური ცხოვრების მიმდევარი ქართველების ცხოვრების წესისაგან.²⁰⁶ ოსთა მიერ განხორციელებული ძარცვა-რბევა და მწარმოებელი მოსახლეობის აწიოკება შენარჩუნებულია ტერმინებში “ოსობა”, “ოსიანობა” (ითონიშვილი). ეს მოვლენები რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შეძლებაც გრძელდებოდა ოსურ და ქართულ საზოგადოებებს შორის განსხვავებზე მიუთითებენ ქართველი ავტორებიც, თუმცა აქ იგივე რუსულ წყაროებზე დაყრდნობით საუბარია ოსების მიერ ქართული სოფლების ძარცვაზე და უიარაღო მოსახლეობის აწიოკებაზე. 1809 წელს გენერალმა ტორმასოვმა ავაზაკობისათვის ჩამოხრიბა მიუსაჯა 5 ოსს. მოგვიანებით გენერალმა ხონევმა უბატაკა გენერალ ერმოლოვს, რომ უპრიანი იყო აქაური მოსახლეობისათვის

206 ოფზიშვილი რ., ქართულ - ოსური ენობრივ - ეთნიკური ურთიერთობა და ენობრივი სიტუაცია საქართველოში მცხოვრებ ოსებში, ისტორიული ეტიუდები, ტ. 1. ობილისი, 2005, გვ. 13.

დაერიგებინათ იარაღი, რათა მათ ისევე დაეცვათ თავი მოთარაშე ისებისაგან, როგორც კახეთის მოსახლეობა იცავდა თავს ლეკებისაგან. ჩავაგონოთ, როგორც მემამულებს ისე გლეხებს, რომ ისინი პასუხს არ აგებენ ბოროტმოქმედთა და ავაზაკთა მკვლელობისათვის, მხოლოდ მათ უნდა დავაკისროთ ვალდებულება, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესახებ აცნობონ ადგილობრივ ხელისუფლებას.²⁰⁷

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ზემოხსენებული მიღ- გომებისადმი შემდეგი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა – ოსურმა პატრიოტიზმა დეფორმაცია განიცადა. ეროვნული ქედმაღლობისა და უპირატესობის შესახებ მითებით გაივსო ოსური პრესა. ლა- მის ყველა ქართული გვარი ოსურად მონათლეს, ბევრი ქართველი მოღვაწე ოსად გამოაცხადეს, თვით გიორგი სააკაძეც კი წარმო- შობით ისად მიიჩნიეს. აღნიშნავენ რომ ოს ხალხს აქვს უძველე- სი და ბევრად მდიდარი ისტორია, ვიდრე მეზობელ ან ევროპელ ხალხებს. ამის დასასაბუთებლად მიმართავენ დემოგრაფიულ, ტო- პონიმიკურ, ანთროპონიმურ, არქელოგიურ და სხვა სახის ისტო- რიულ ინსინუაციებს (თოთამე, თოფჩიშვილი, აფხაზავა, ოთხმეზური, ხარამე და სხვა).

ამრიგად, 2008 წლის მოვლენების შემდეგ მოსკოვმა საკუთარი აგრესის შელამაზების მიზნით აფხაზეთი და ეწ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, ხოლო საკუთარი ქმე- დება აქ მცხოვრები აფხაზი და ოსი ხალხის დახმარების აქტად მონათლა, მაგრამ შექმნილი ვითარება მრავალასპექტიან წინააღ- მდეგობრივ დილემად იქცა. რუსულ ნაციონალურ პოლიტიკაში ეს აღიარება ახალ ფენომენს წარმოადგენს, მოსკოვმა ერთგვარი რუსიკონი გადალახა და მსოფლიო მომავალში სხვა რადიკალური ქმედებებისათვის შეამზადა. ერთგვარი ცვლილება განიცადა ევ- რაზიულმა პარადიგმამაც, სავარაუდო მოკავშირეებთან ინტერესთა აშკარა კონფლიქტის გამო იგი რეალობაში წინააღმდეგობრივად ინერგება და ამ სახელმწიფოებში სეპარატისტული მოძრაობების წაქეზებასა და ღია საომარ მოქმედებებში გამოიხატება.

რუსული ინტელექტუალური ელიტა ორმაგი სტანდარტებით უდგება ეთნიკური ჯგუფების უფლებებს რუსეთსა და დასავლეთ-

207 თოთამე ა., ოსები ქართულ მიწა-წყლზე, ქრ. ოთა საკითხი, თბილისი, 1996, გვ. 215.

თან დაახლოების მსურველ მეზობელ ქვეყნებში. რუსული ნაციონალური კონცეფციის ძირითად მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ეთნიკური იდენტობის მქონე მოქალაქეთა საერთო რუსულ სახელმწიფოში ინტეგრაცია. რუსული საგარეო პოლიტიკა, პირიქით, ცალკეული პოსტსაბჭოური სახელმწიფოების რეგიონებში სეპარატისტული მოძრაობების აქტიურ მხარდაჭერი და კონფლიქტის ინსპირატორია. საქართველოსათვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება რჩება რუსული და აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხეებისაგან თავდაცვის აღტერნატივად, რასაც ხელს უწყობს „ცივილიზაციური” და პოლიტიკური ფაქტორებიც.

პოლიტიკური რადიკალიზმის გამართლება ხშირად ისტორიული ფაქტების გაყალბებით ხდება. იმავდროულად, ისტორიული ინსინუაციების გზით ეთნოცენტრისტული განწყობების გაღვივება ეთნიკური მობილიზაციის და კონსოლიდაციის საშუალებად ითვლება. ამიტომ კონფლიქტში მონაწილე მხარეები ხშირად მიმართავენ ნეგატიური ეპიზოდების ტირაჟირებას ურთიერთობის ისტორიიდან, ზოგი მეცნიერი კი ფალსიფიკაციასაც არ ერიდება.

დასკვნა

გასული საუკუნის ბოლომდე ყაზბეგის რეგიონში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ ოსები. ამჟამად ეს მხარე ოსური მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად დაცლილია. შექმნილი ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია, ყაზბეგის რეგიონიდან ჩრდილოეთ ოსეთში (რუსეთის ფედერაცია) გადასული ოსების თემით სპეცულირების შესაძლებლობას და აქ ახალი დაპირისპირების წარმოქმნის საშიშროებას ქმნის. განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ამ მიმართებით, ანიჭებენ ეთნიკურ ისტორიას.

ქართულ და რუსულენოვან საისტორიო საზოგადოებებში ოსთა ეთნოგენეზის, მათი პოლიტიკური ისტორიისა და საქართველოში მიგრაციის შესახებ განსხვავებული მოესაზრებები არსებობს. განსაკუთრებით მწვავე პოლემიკის საგანია ოსთა საქართველოში ჩამოსახლებისა და დამკიდრების ეტაპები. XX საუკუნეში ოს მკვლევართა ნაწილი მათი მიგრაციის „უძველეს დროდ“, III-IV ან VI-VII სს. მიიჩნევდა, სხვანი საქართველოში ოსთა ინფილტრაციის პირველ პერიოდს ჩრდილოკავკასიაში მონღილოთა გაბატონებას უკავშირებდნენ. იყო ცდა, ოსური გვარების გენეალოგიებზე დაყრდნობით მათი მიგრაცია XV-XVI სს-ით განესაზღვრათ. ქართველი და რუსი მეცნიერების ნაწილის კვლევათა შედეგები მიუთითებენ, რომ ქართლის მთიანეთში ოსების დასახლება ძირითადად XVII ს-ში მოხდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში მიგრაცია მიმდინარეობდა XVIII ს-ში. თანდათანობით კომპაქტური დასახლებები გაჩნდა შიდა ქართლის ჩრდ. ნაწილში, ძდ. ლიახვისა და ქსნის ხეობებში, თუმცა ოსების დიდი ნაწილი დისპერსულად განსახლდა მთელ საქართველოში.

უნდა ითქვას, რომ ეთნოგრაფების: ბ. კალოევის, ზ. ვანეევის, ლ. ჩიბირვის და სხვათა საველე-ეთნოგრაფიული მასალა გარკვეულ ცნობებს გვაძლევს თერგის ხეობის ზემო წელში ოსთა ჩამოსახლების დროის დასაზუსტებლად. თუმცა, ამ მასალის ინტერპრეტირების დროს იგივე ავტორიები ტენდენციურობას ამჟღავნებენ, რაც მათ დასკვნებში აისახება. ეს დასკვნები კი, ახალი ცრუ ეთნოგენეტიკური კონცეფციების საფუძვლი გახდა.

ერთიდაიმავე არქეოლოგიური მონაცემების, წერილობითი წყაროების და ეთნოგრაფიული მასალის განსხვავებული ინტერპრეტაციის გამო ქართველი და ოსი ავტორები რადიკალურად განსხვავებულ დასკვნებამდე მიღიან.

ისტორიული წყაროების მიხედვით საკვლევ რეგიონში მეორე საუკუნეში წანარები მკვიდრობდნენ, რომელთაც, მოგვიანებით, მათ მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებდათ არაბთა წინააღმდეგ ბრძოლასა და კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების საქმეში. წანარების ეთნიკური კუთვნილების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული. მკლევართა ნაწილი მათ ქართული წარმოშობის სვანურ ან ქალდეურ-ჭანურ ტომებად მიიჩნევს, ნაწილი კი – ჩრდილო კავკასიურად, ვაინახური ან დაღესტნური მოდგმის ხალხად.

წანარები ადრეფეოდალურ ეპოქაში ასრულებდნენ ქართული სამყაროს ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთაგან დაცვის და ქართული პოლიტიკური ერთულის (კახეთის საქორეპისკოპოსოს) მაორგანიზებელ ფუნქციას, მათი განსახლების ტერიტორიაზე დარჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები ყველა ნიშნით მსგავებას ამჟღავნებენ იმავე პერიოდის კახეთის ძეგლებთან, ხოლო ეპიგრაფიკული მასალა მთლიანად ქართულია. ყოველივე ეს კი ცხადყოფს, რომ არაბთა შემოსვების დროისათვის წანარები მთლიანად და განუყოფლად ეკუთვნოდნენ ქართულ ეთნოკულტურულ სამყაროს.

დაახლოებით XIII-XIV საუკუნიდან თერგის სათავეში, დღევანდელ თრუსოში, შემოსვლას იწყებენ დვალები (ქართული წარმომავლობის ეთნოგრაფიული ჯგუფი). თავდაპირველად ადგილი უნდა ჰქონოდა ბუნებრივ მიგრაციას, როდესაც ნამატი მოსახლეობა თერგის ზემო წელს ითვისებდა. XVI საუკუნიდან ამ პროცესმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. კავკასიის მთიანეთში და, მათ შორის დვალეთშიც, მონღოლებისაგან ჩრდილოკავკასიის ველებიდან გამოდევნილი ოსები მკვიდრდებოდნენ და ავიწროებდნენ იქაურ მოსახლეობას, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში და პირველ რიგში კი მეზობელ თრუსოში გადადიოდა. თავადპირველად მაღრან-დვალეთიდან შემოსულმა კონტინგენტმა, როგორც ჩანს, დაიკავა სივრცე კასარამდე. მოგვიანებით კი, ოსთა ზეწო-

ლის გამო ისინი თერგის ხეობის გასწვრივ უფრო აღმოსავლე-
თითაც გადმოვიდნენ.XVII საუკუნეში თერგის სათავეებში ოსები
შემოვიდნენ და აქ გადმოსული დვალების ასიმილაციის პროცესი
დაიწყო. უფრო გვიან კი მათ დაიკავეს ტერიტორია უფრო აღ-
მოსავლეთითაც სოფ. კობამდე. პრალელურად ოსები ჩასახლდნენ
ხევის რამდენიმე სოფელშიც (კობი, აჩხოტი, უხათი, თოთი). მათი
ჩასახლების ინციატორებად ხშირად დაწინაურებული ღუდუშაუ-
რები, შემდეგ კი ყაზბეგები გვევლინებიან. ოსთა მიერ სრულიად
ასიმილირებული დვალები ცალკეული ოსი მეცნიერების მიერ
ოსური წარმომავლობის ტომადა მიჩნეული.

ეთნოდემოგრაფიული ცვლილებები მიმდინარეობდა ქართული
სამეფო ხელისუფლების, ცალკეული ფეოდალური სახლების, ად-
გილობრივი თემების და უცხო ეთნიკური ჯგუფების ინტერესთა
დაპირისპირების ფონზე. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს
დაშლის შემდეგ სამეფო კარი სათანადო ყურადღებას ვეღარ იჩენ-
და მთის მიმართ, რაც ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებე-
ლი პოლიტიკური დაქაქესულობის, ეკონომიკური იზოლირების
და შეზღუდული კომუნიკაციის პირობებში ადგილობრივი თემობ-
რივი მმართველობის გაძლიერების საშუალებას ქმნიდა. ხევში
ჩამოყალიბებული ტერიტორიული თემის მმართველობის ცენტრი
იმავდროულად, რელიგიური ცენტრიც იყო. ამგვარი ცენტრი რამ-
დენჯერმე შეცვლილა და გერგეტის სამების აგების შემდეგ კი,
ტერიტორიულად იქ გადაუნაცვლებია.

XV საუკუნის 30-იან წლებში შექმნილი „გერგრეტელ საყ-
დრისშვილთა საბუთით“ ირკვევა, რომამ დროისათვის უკვე არსე-
ბობს ტერმინი „თრუსოელნი,“ რომელშიც, იმ დროისათვის, წანა-
რულ-დვალური სიმბიოზი უნდა იგულისხმებოდეს. თრუსოელნი
გარკვეულ ვალდებულებას კისრულობდნენ გერგეტელ საყდრისშ-
ვილთა წინაშე. მოგვიანებით, გერგეტის სამებისადმი თრუსოელთა
მსგავსი დამოკიდებულების დამადასტურებელი საბუთი უცნობია,
რაც იქ მოხდარი ეთნიკური ცვლილების შედეგად უნდა მი-
გიჩნიოთ. ოსურმა ელემენტმა შეძლო ეთნიკური დომინანტობის
მოპოვება და სავარაუდოდ, ცალკე ტერიტორიული თემის ჩამო-
ყალიბებაც. თუმცა პოლიტიკურად თრუსო ქართულ სახელმწი-

ფოებრივ სივრცეში რჩებოდა. მოგვიანებით რეგიონი ჯერ არაგვთა სერისთავოს შემადგენლობაში შევიდა 1743 წელს კი ქართულმა სამეფო კარმა უშუალოდ დაიქვემდებარა.

საქართველოში რუსთა გაბატონების დროისათვის თერგის ზემო წელზე მცხოვრები ოსები, ქართულ სოციალ-პოლიტიკურ სივრცეში სრულიად იყვნენ ინტეგრირებული და აქტიურად მონაწილეობდნენ აქ მიმდინარე პროცესებში. მდგომარეობა გარკვეულად შეიცვალა XIX საუკუნიდან, საქართველოში რუსეთის გაბატონების დროიდან. პირველ ხანებში ოსების აჯანყებები რუსთა მპყრობელობის წინააღმდეგ სისტემატურ და შეურიგებელ ხასიათს ატარებდა. ისინი ქართველ მეამბოხეთა მხარდამხარ იბრძოდნენ რუსული მმართველობის წინააღმდეგ. მოგვიანებით, რუსულმა სახელმწიფომ შესძლო მტრულად განწყობილი ოსები თავისკენ გადაებირებინა და დიდ კავკასიურ დაპირისპირებაში საკუთარ პოლიტიკურ იარაღად ექცია.

XX საუკუნეში დღევანდელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ინტენსიური მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა. სამეცნიერო ლიტერატურაზე და საკვლევ რეგიონში მოპოვებულ საველე-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება გამოიყოს ოსური იმიგრაციის განმსაზღვრელი ეკონომიკური, პოლიტიკური და ეთნო-კულტურული ფაქტორები. ტრადიციულადამ რეგიონში ძირითად დარგებს მესაქონლეობა (უფრო მეცხვარეობა) და მიწათმოქმედება წარმოადგენდა მესაქონლეობის უპირატესობით. რუსეთის საქართველოში გაბატონებამდე აქ ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მონაცემეობა არ დასტურდება. ამის მთავარი მიზეზი საზამთრო საძოვრების ძნელადმისწვდომობა იყო. კახეთის ველებზე აქაურები კონკურენციას ვერ უწევდნენ კახელებთან მჰიდრო სამეურნეო კონტაქტში მყოფ თუშებს, ხოლო ქართლის ზამთრის საძოვრებზე მთისწინა ზოლის მოსახლეობას. ბაგურ კვებაზე დიდი რაოდენობით ცხვრის შენახვა ყოვლად შეუძლებელია. თუ ოჯახს ორ ათეულ სულზე მეტი ცხვარი ჰყავდა უკვე ბართან კავშირზე უნდა ეზრუნა.

რუსეთის გაბატონების შემდეგ ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრების გამოყენების შესაძლებლობამ მნიშვნელოვნად გაზარ-

და მეცხვარეობის პოტენციალი. მეცხრამეტე საუკუნის 70-80-იანი წლებიდან ხევისა და თრუსოს მოსახლეობამ ფართოდ აითვისა ჩანარისა და ყიზლარის ზამთრის საძოვრები სადაც ცხვარს ოქტომბრიდან აპრილის ბოლომდე ამყოფებდნენ. კიდევ უფრო მოიმატა მეცხოველობის ხვედრითმა წილმა საბჭოთა პერიოდში. საკოლმეურნეო ფერმების და კერძო მეურნეთა საკუთრებაში მყოფ ცხვრის ფარებს ზაფხულში ინტენსიურად აძოვებდნენ მთის ფერდობებზე, ზამთარს კი ჩრდილოეთის ველებზე ატარებდნენ.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული კოლექტივიზაციის შედეგად რადიკალურად შეიცვალა რაიონის სამეურნეო გარემო. ცხვრის ფარები და მსხვილფეხა საქონელი ძირითადად კერძო საკუთრებაში იყო. კოლექტივიზაციის შემდეგ მოახდინეს საქონლის დიდი ნაწილის ნაციონალიზაცია და ისინი საკოლმეურნეო ფერმებში გააერთიანეს. ამის შედეგად მოახერხეს მეურნეობის ამ დარგის რენტაბელობის გაზრდა. ამასთან, გეგმაზომიერად ხდებოდა მეურნეობის სიმბიოზური ფორმის ტრანსფორმირება, რაც მთის ზონაში მიწათმოქმედების ხვედრითი წილის კიდევ უფრო შემცირებაში და საოჯახო მეურნეობებისათვის სავარგულებისა და სათიბი მიწების შეზღუდვაში მდგომარეობდა. შრომის ორგანიზაციის საბჭოური ფორმების პირობებში დავიწყებას ეძლეოდა ურთიერდახმარების საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ფორმები. მექანიზაციის ხვედრითი წილის გაზრდის შედეგად, იზღუდებოდა ყოფაში ძველი სამიწათმოქმედო იარაღების გამოყენება.

შემოსავლების გარკვეული ზრდის მიუხედავად, ყაზბეგის რეგიონის მძიმე კლიმატი, ცუდი კომუნალური პირობები და მნელად ხელმისაწვდომი განათლება განაპირობებდა აქედან მოსახლეობის მიგრაციის მაღალ ინტენსივობას ჩრდილოეთ ოსეთში. მიემგზავრებოდნენ ძირითადად ოსები, რადგან უკვე არსებობდა პლაციდარმი 1944 წელს აქედან გადასული ოსების სახით, რომელთანაც მათ მჭიდრო ნათესაური კავშირები გააჩნდათ. რეგიონის ოსურმა და-სახლებებმა თანდათან დაცლა დაიწყო.

განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ეს პროცესი თრუსოში. მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები და სოციალ-ეკონომიკური განვითარების ნაკლები პერსპექტივა უბიძგებდა ადამიანებს სამუშაო

და საცხოვრებელი ჩრდილოეთ ოსეთში ეძღვნათ. ზეობას გვერდი აუქცია საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დაწყებულმა ახალი ტიპის სახლების მასობრივა მშენებლობებმა. ამჟამად მოსახლეობისაგან მთლიანად დაცლილ თრუსოში, დაფიქსირებული საცხოვრებელი, სამეურნეო, თავდაცვითი საკულტო შენობები გვიჩვენებს, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან აქ თითქმის აღარაფერი აგებულა. ზევის სოფლებისაგან განსხვავებით არ განხორციელდა თრუსოს გაზიფიკაცია. ეს კი ზეტყით დარიბ ზეობაში კიდევ უფრო აძლიერებდა სურვილს საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესებინათ. შეიძლება ითქვას, რომ ორჯონიკიძეში კომფორტულად მოწყობის შესაძლებლობა თრუსოს ზეობის მცხოვრებლებისათვის გადასახლების მნიშვნელოვან მოტივაციას წარმოადგენდა.

ოსებში მიგრაციულ განწყობილებებს ზელს უწყობდა ეთნოკულტურული ვექტორის ცვლილებაც, რაც ქართული ორიენტაციის რუსულით ჩანაცვლებას გულისხმობდა. რუსეთის გაბატონებამდე ბუნებრივად ხდებოდა ოსების ქართულ სამყაროში ინტეგრაცია, რაც ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის კომპენსაციების თანდათანობით შესისხლხორცება-გათავისებას გულისხმობდა.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე თრუსოს ზეობისა და კობის ქაბულის მოსახლეობის უმრავლესობას ქართული ყაიდის (შვილზე დაბოლოებული) გვარსახელები ჰქონდა. მოგვიანებით შეიმჩნევა ქართული ანთროპონიმიული მოდელის თანდათანობით ოსურ//რუსული მოდელით ჩანაცვლების ტენდენცია. მოიმატა ოსურ//რუსული ყაიდის (ოვ-ევ დაბოლოებანი) გვარ-სახელებმა. 1905 წლიდან ეკლესიებში მეტრიკული წიგნების წარმოება და წირვა-ლოცვაც რუსულ ენაზე დაიწყო. ჩანს, დაგეგმილი იყო ქართული ენა, როგორც Lingua Franca თანდათან რუსულით შეცვლილიყო და საქართველოსაკენ მიმართული პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური ვექტორიც რუსულით ჩანაცვლებულიყო.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში თრუსოს ზეობას ოსები ძირითადად ზაფხულის საძოვრებად და სააგარაკოდ იყენებდნენ, ხოლო მუდმივად მცხოვრებთა რიცხვი საკმაოდ შემცირებული იყო,

კომუნისტური რეჟიმის კრახის შემდეგ, რაღიკალური პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ტრანსფორმაციის ფონზე, რეგიონისათვის წამყვანი დარგის, მეცხვარეობის მასშტაბი მნიშვნელოვნად შემცირდა. რუსეთის ფედერაციასთან ჩაკეტილი საზღვრის პირობებში, ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრები მიუწვდომელი გახდა. მთლიანად დაიცალა ეკონომიკური თვალისაზრისით სრულიად უპესპექტივო თრუსოს ხეობა, ხოლო ჩრდილოეთიდან მასობრივი გადმოსახლება დაიწყეს მოხევეებმა, რომელთაც ავიწროებდნენ აქ ჩასული ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ოსები.

90-იან წლებში მესაქონლეობის დაკნინებამ რეგიონის მოსახლეობა აიძულა შემოსავლის აღტერნატიული წყარო ეძებნა. რადგანაც ხევის სოფლებში ბუნებრივი გაზის საფასურს არ იხდიდნენ, განვითარება დაიწყო კერძო სასათბურე მეურნეობებმა, სადაც კიტრი და პომიდორი მოჰყავდათ. ამ საქმიანობით ძირითადად მოხევეები იყვნენ დაკავებული, თუმცა სავაჭრო ურთიერთობაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოდან წასული ოსები, რომლებიც რუსეთში გასატანი პროდუქციის მთავარ დისრიბუტორებად იქცნენ.

სახელმწიფოს მიერ რეგიონში უფასო გაზზე ლიმიტის დაწესებამ სასათბურე მერნეობებს აზრი დაუკარგა, მაგრამ, როგორც მთხრობლები აღნიშნავენ, ოსებს მოხევეებთან დღემდე აქვთ შენარჩუნებული საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები.

რეგიონის სამეურნეო პროფილის ცვლილება მტკიცნეულად შეეხო მოსახლეობის ყველა ფენას. მეცხოველეობას და მიწათმოქმედებას აღარ შეუძლია აქაური მოსახლეობის ცხოვრების მთლიანად უზრუნველყოფა. ერთადერთ პერსპექტიულ დარგად ტურიზმი რჩება. თუმცა ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ოდენობა დიდი არ არის. ასეთ პირობებში ხალხის უმეტესობა მიიჩნევს, რომ თრუსოს ხეობაში ოსების დაბრუნების პერსპექტივას ეჭვით უყურებს. მით უფრო, რომ სამეურნეო კონტაქტების ახალი მიმართულება იკვეთება, რაც ყაზბეგის რეგიონის და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მესაქონლეების მთაბარობას უკავშირდება. თრუსოს ხეობაში ბოლო ხანებში მოხევეებთან ერთად ზაფხულის საძოვრებით

სარგებლობენ იორ-მუდანლოს აზერბაიჯანელი მწყემსები, ხოლო ფაზბეგის რაიონის ცხვრის ფარების დიდი ნაწილი ზამთრის საძოვრებზე ქვემო ქართლის ველებზე მიჰყავთ. თრუსოს ყოფილი მკვიდრი ოსები კი უკვე ზაფხულობითაც იშვიათად სტუმრობენ ნასახლარებს, სალოცავებსა და მამა-პაპის სასაფლაობს.

ფაზბეგის რეგიონის ქართულ და ოსურ მოსახლეობას ხანგრძლივი კულტურული და სამუერნეო ურთიერთობის გამოცდილება აქვს. შერეულ სოფლებში, როგორც წესი, მათ საერთო (გაზიარებული) სალოცავები ჰქონდათ და რელიგიურ რიტუალებსაც ერთად აწყობდნენ. მონოეთნიკურ სოფლებში დღეობაზე ქართველებს ხშირად სტუმრობდნენ თი – ოსებს კი ქართველი მოკეთე-ნათესავები. კონფესიური, ეთნიკური, სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების და სახელმწიფო ინსტიტუტების ზემოქმედება განსაზღვრავდა ამ რიტუალების ხასიათს და დინამიკას (სინკრეტიზაცია, უნიფიკაცია, ნაციონალიზაცია და ა.შ.). მნიშვნელოვანია გაზიარებული სალოცავების კვლევა მიგრაციების მიმართულების განსაზღვრისთვის, რადგან სხვაგან გადასახლებულ ქართველ მთიელებს თითქმის ყველგან ჰქონდათ წესად წინაპართა სალოცავებში ჯვარ-ხატობებზე სიარული და რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა.

საველე მასალიდან ირკვევა, რომ ამ ბოლო ხანებში სულ უფრო მცირდება ტრადიციულ დღესასწაულებზე ჩამოსული ოსების ოდენობა. სავარაუდოდ, მათმა უმეტესობამ ახალი საცხოვრებელი გარემოსთვის დამახასიათებელ რიტუალებში მონაწილეობით ჩაანაცვლა ძველი დღეობები. პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური გარემოს ტრანსფორმაცია მკაფიოდ აისახა ტრადიციულ რიტუალებზე. „ვაჩილობა“, რომელიც ადრე სოფელ თოთში მცხოვრები ოსების დღესასწაულად ითვლებოდა, ამჟამად მეზობელ სოფელში ჩასახლებული ქართველების ორგანიზებით ტარდება, ისინი წარმოადგენენ ძირითად აქტიორებს (დეკანზი, მედროშე, სუფრის წინამდობლი და ა.შ.) ოსები კი სტუმრის სტატუსით ესწრებიან. შეცვლილია რიტუალის ცალკეული ელემენტები (მაგ სალოცავზე მოაქვთ არა ამისათვის საგანგებოდ განკუთვნილი, არამედ საქართველოს სახელმწიფო დროშა), ქალები მამაკაცებთან ერთად უსხდებიან სუფრას და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებული

ტრადიციული რიტუალების ტრანსფორმაციის ხასიათი მჭიდროდ უკავშირდება ლოკალურად მომხდარ კონკრეტულ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს ერთი მხრივ და მსოფლიოში მიმდინარე ზოგად სოციოკულტურულ ტენდენციებს, მეორე მხრივ.

მოხევები ერთმანეთისაგან დაამეტრალურად განასხვავებენ ჩრდილოეთ ოსებს “ირონცებს” და ე.წ. ცხინვალის რეგიონიდან და სხვა ქართული ტერიტორიებიდან მიგრირებული ოსებს, “კუდარცებს”. ინტერვიურების დროს აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელი ჯგუფის მიმართ მოხევეთა უმრავლესობა უარყოფითადაა განწყობილი. ისინი ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოსებს აკრესიულებად და უსამართლოებად აფასებენ. საინტერესოა ისიც, რომ მოხევების აზრით ანალოგიური დამოკიდებულება აქვთ ”კუდარცების” მიმართ ჩრდილოელ ოსებსაც და მათ შორის არც თუ ისე კარგი ურთიერთობაა.

ინდივიდების ან ეთნიკური ჯგუფების ხანგრძლივი ურთიერთობის პირობებში ინტეგრაციას თან სდევს მათი კულტურული მოდიფიკაცია ანუ აკულტურული როდესაც ორივე ჯგუფის ამოსავალი კულტურული ნიმუშები მეტ-ნაკლებად იცვლება და ვლებულობთ გარკვეულ კულტურულ უნიფიკაციას. ჩვეულებრივ, ეს პროცესი თავისთავად მიმდინარეობს და ღირებულებითი ორიენტაციის, როლური ქცევებისა და სოციალური განწყობის ცვლილებებით ხასიათდება. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ გამოკითხულების ნაწილის აზრით საქართველოდან წასული ”კუდარცები” კულტურულად “ჩრდილოელ ოსებზე” ბევრად მაღალ საფეხურზე დგანან, რადგან მათ ქართული კულტურის გავლენა განიცადეს და მრავალი ელემენტი მიიღეს და სწორედ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსების მიგრაციის შემდეგ ”ამაღლდა” ჩრდილოეთ ოსების კულტურა, რომელიც მანამდე უფრო ჩამორჩენილი და წარმართული იყო.

ოსი ეროვნების ადამიანთა პიროვნული შეფასებისას გამოვლინდა, რომ გამოკითხულები მირთადად ოსებს ტრადიციების მიმდევარ, მეგობრულ, სტუმართმოყვარე, უფროს-უმცროსობის წესის დამცველ ერთობად მიიჩნევს. თუმცა, შედარებით მცირე ნა-

წილი თვლის, რომ ოსები არასანდო, ნაკლებად კულტურული, აგრესიული ხალხია.

ყაზბეგის რეგიონში ქართულ-ოსური თანაცხოვრების პერს-პექტივასთან დაკავშირებით შემდეგი სურათი გამოიკვეთა: გამო-კითხულ რესპონდენტთა 46% შეუძლებლად მიაჩნია ემიგრირებუ-ლი ოსების საკუთარ სახლებში დაბრუნება. 27% მიიჩნევს, რომ შესაძლებელია მათი ნაწილობრივ დაბრუნება (მაგ. ზაფხულის პერიოდში), თუმცა მათი უმრავლესობის აზრით, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ შეიცვლება პოლიტიკური რეალობა (მთავრობის კეთილი წება, ოსებისთვის საქონლის შემოყვანის უფ-ლების მიცემა და ა.შ.) ან გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირო-ბები. ქართულ-ოსური კონფლიქტის გამომწვევ მთავარ მიზეზად გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (ქართველებიც და ოსებიც) ასახელებს რუსეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებს, რო-მელიც სეპარატისტული პროცესების წაქეზებით ხელს უშლის საქართველოს დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფოს ფორ-მირებას სამხრეთ კავკასიაში. ხშირია პოზიტიური მაგალითების მოტანა (დავით სოსლანის ოსობა, ოსთა მონაწილეობა ქართველი მეფეების ლაშქარში და ა.შ.) ქართულ-ოსური ურთიერთობის ის-ტორიიდან, რათა აჩვენონ ამ ხალხთა თანაცხოვრების პერსპექტი-ვა, თუმცა გვხვდება საპირისპირო ტენდენციაც (მაგ. ქართველები იხსენებინენ ოსების მოღალატურ საქციელს მონღოლურ პერი-ოდსა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს. ოსები ვალიკო ჯულელის სადამსჯელო ექსპედიციას ოსების წინააღმდეგ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში, 1990-ინ წლებ-ში განვითარებულ მოვლენებს და ა.შ.)

ქართველ რესპონდენტებში დაფიქსირდა ოსებზე და მათი ყო-ფისა და კულტურის ნიუანსებზე ნეგატიური შეფასებებიც. ოსი ეროვნების წარმომადგენლები, ამ მხრივ უფრო თავშეკავებული არიან, თუმცა მათი მონათხრობებიც შეიცავენ ნეგატიურ კონატა-ციას ქართველთა მიმართ. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ საქარ-თველოში ოსების ტერიტორიული პრეტენზიები სამართლიანია.

უმეტესობა დარწმუნებულია, რომ საქართველოდან მიგრირებუ-ლი ოსების დაბრუნება მოსალოდნელი არაა რადგან მათ საკმოდ

კარგად მოახერხეს ინტეგრირება ახალ საცხოვრებელ ადგილებში (ძირითადად რუსეთში). საუბარი იმის შესახებ, რომ ყაზბეგის ტერიტორია, ქვემო ქართლი (ე.წ. თრიალეთის ოსეთი) და ა.შ ოსურ სახელმწიფოს უნდა მიუერთდეს, არის რუსული პოლიტიკური წრეების ინსპირირებული და ცალკეული ორგანიზაციების მაგ „დარიალის“ აქტივობა მხოლოდ მისი ლიდერების ფინანსურ ინტერესებს ემსახურება.

მართალია, ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალაზე ოსების მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ ლოიალურია, მაგრამ ზემოხსენებული პროცესების შედეგად განახევრდა იმ მოხევთა რიცხვი ვისაც ოსებთან რაიმე სახის ინტენსიური კონტაქტები გააჩნია. მოიშალა სამეურნეო კავშირები, რელიგიურ რიტუალებში თანამონაწილეობის პრაქტიკა. ინტერკულტურული სენსიტიურობა მიმართულია ეთნორელატიურიდან ეთნოცენტრისტულისკენ. გასული საუკუნის 80-იან წლებში დაწყებულმა ეთნოპოლიტიკურმა პროცესებმა ადამიანები აიძულა მოეხდინათ მკაფიო ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია.

გამოკვლევით დადგინდა, რომ უმრავლესობა შეუძლებლად მიიჩნევს ყაზბეგის რეგიონში ოსების დაბრუნებას და ამ თემის წამოწევა რუსეთის მორიგ პროვოკაციად მიაჩნია.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომია და რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებამ აქტუალობა შესძინა კრემლის სამხედრო თეორეტიკოსების მიერ შექმნილ, ჰიბრიდული, „მომავლის ომის“ მოდელს. ჰიბრიდული ომის თეორია სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად შეიქმნა და მოწინააღმდეგებებები, მრავალმხრივ, კომპლექსურ ზემოქმედებას გულისხმობს. ლიად და ფარულად იყენებენ: დიპლომატიურ, სამხედრო, ეკონომიკურ, საინფორმაციო და კონვენციურ, არარეგულარულ (პარტიზანული და ასიმეტრიული), ტერორისტულ, კრიმინალურ და კიბერ მეთოდებს.

”ახალი“ ნაციონალური პოლიტიკა, რუსული სახელმწიფოსა და საზოგადოების ნაციონალური (სახელმწიფოებრივი) ინტერესების უზრუნველყოფა საშინაო თუ საგარეო არენაზე ფაქტიურად, ცარისტული პოლიტიკის ტრანსფორმირებული ვარიანტია. მეფის რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენებულმა საბჭოთა სახელმწიფომ და მისმა

ძირითადმა სამართალმექვიდრემ, რუსეთის ფედერაციამ, მექვიდ-რეობით მიიღეს იმპერიის ხალხთა სრული ასიმილაციის ამოცანა.

ხსენებული პოლიტიკის ახალი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საყოველთაოდ აფიშირებული ზოგადსაკაცობრიო პრინციპების აშკარა დარღვევების გარეშე მოხერხდეს ქართული სახელმწიფოს წარუმატებელ პროექტად ქცევა, რათა საკუთარ უსუსურბაში დარწმუნებულმა ქართველობამ თავად თქვას უარი პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე. კრემლის გათვლებით, პერსპექტივაში ეს უზრუნველყოფს, პირველ ხანებში, ქვეწის რუსულ ორბიტაზე დარჩენას, მომავალში კი სრულ ასიმილაციას. ამგვარი მიზნისათვის ყველაზე უპრიანად ჩაითვალა შიდაეთნიკური კონფლიქტების პროცესირება და საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ”უცირესობების” გამოყენება კონფლიქტის გასაჩაღებლად. ამ დაპირისპირებაში მართვა-კონტროლს, მშვიდობისმყოფელი შუამავლის როლის მორგებით, თავად რუსეთი იკისრებს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთმა შეძლო სეპარატისტული რეგიონების ფაქტიური მოწყვეტა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სივრციდან, რაც 2008 წლის ომის შემდეგ ლია ოკუპაციით და ანექსით დასრულდა. ვითარების შელამაზების მიზნით, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარეს ხოლო საკუთარი ქმედება აქ მცხოვრები აფხაზი და ოსი ხალხის დახმარების აქტად მონათლეს. შემდეგი ამოცანაა კიდევ უფრო შეიზღუდოს ქართველთა ისტორიული სამკვიდრო და რაც შეიძლება სამხრეთით გადმოსწიოს საზღვარი. რისი გაკეთებაც პირველ რიგში ფავორიტად მიჩნეული ოსების ტერიტორიის გაფართოების ხარჯზე შეიძლება მოხერხდეს. ამგვარად, ინტერესის სფეროში მოხვდა ყაზბეგის რეგიონიც. თერგის ზემო წელში ოსური ეთნოსის მრავალსაუკუნოვანი მკვიდრობის და ეთნიკური ჰეგემონობის დამტკიცება ამ ტერიტორიაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოს პრეტენზიების ლეგიტიმაციის საუკეთესო საშუალება იქნებოდა.

ხსენებული მიმართულებით განსაკუთრებით ეფექტურად შეიძლება ფსევდოსატორიული ნაშრომების გამოყენება. ისტორიული ლიტერატურის გავლენა ეთნოსთაშორის ურთიერთობაზე ბუნებრი-

ვია აჩენს ცდუნებას “პატრიოტული” საფენელით გაღვივდეს ეთნო-ცენტრისტული მისწრაფებანი. სურვილიც რომ არ ჰქონდეთ, მეცნიერები განიცდიან საზოგადოების ღია თუ ფარულ გავლენას, რაც ბუნებრივად აისახება მათ შემოქმედებაზე. ეს კარგად იყო ცნობილი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელიც პროცესების სასურველი მიმართულებით მართვის მიზნით საკმაოდ ეფექტურ კონტროლს ანხორციელებდა ისტორიული ხასიათის ლიტერატურაზე.

ქართულ-ოსური/რუსული კონფლიქტი მრავალშრიანი მოვლენაა. ამ კონფლიქტის ინსპირირებაში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ ეთნოკულტურული ასპექტების გვერდით, ზეგავლენა აქვს თითოეული მხარის პრეტენზიას, დაიბრუნოს მისთვის ისტორიულად მინიჭებული ადგილი. ამრიგად, მეცნიერთა ნაწილს საშუალება ეძლევა კონიუნქტურის შესატყვისი გეოპოლიტიკური დაკვეთა შეასრულოს და ამა თუ იმ ხალხის ისტორიული როლის გაზვიადებით ზემოქმედება მოახდინოს ეთნოცენტრისტულ განწყობებზე.

